თამაზ ნუცუბიძე

გრამატიკა ფილოსოფიაა ენისა

თბილისი
2019

წარმოდგენილ ნაშრომში თავმოყრილია და ფართო მკითხველისათვის გამოტანილია სხვადასხვა დროს სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნებული და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე წაკითხული მოხსენებები (ზოგიც თეზისების სახით) ფილოსოფიის, ფილოლოგიისა და პოლიტიკის აქტუალურ საკითხებზე.

მეცნიერ-რედაქტორი: პროფ. ქეთი ჯიჯეიშვილი

ტექნიკური რედაქტორი: ნონა ცაბაძე

თამაზ ნუცუბიძე
ISBN 978-9941-8-1595-9

წინასიტყვაობა

ვისაც კი ჰქონია შემთხვევა გაეშუქებინა იაკობ გოგებაშვილის თვალსაზრისი პატრიოტულ აღზრდაზე, სავსებით სამართლიანად მიუთითებენ შემდეგ ადგილს მისი თხზულებიდან: „ბევრმა არ იცის, რომ მამულის ჭეშმარიტი სიყვარული იმისთანა მაღალი გრძნობაა, რომლის აღზრდა ადვილი როდია. ზოგიერთს ჩვენებურს ვაჟბატონებს რომ ჰკითხოთ, ყოველ ადამიანს დედის მუცლიდანვე თან გამოაქვთ მამულიშვილობაო, რამდენადაც სამშობლო ქვეყნის სიყვარული ყველას ბუნებითვე თან ჰყვება და ამიტომ ამ გრძნობის აღზრდაზე ზრუნვა რა საჭიროაო. ეს რომ მართალი ყოფილიყო, დედა-მიწის ზურგზე უბედურს კუთხეს სანთლადაც ვეღარ იპოვიდით; ...ბუნება პატრიოტობაზე სრულიად არ ზრუნავს. იგი ჰსახავს ქვეყანაზედ არა საზოგადოებას, არამედ ინდივიდუმს, ცალკე პირს და არსებობის დაცვისათვის მას ანიჭებს ეგოიზმს, თავის-თავის მოყვარეობასა... პატრიოტობა საზოგადოებამ და ცალკე პირმა უნდა დანერგონ, აღზარდონ და დააყენონ ჯეროვან სიმაღლეზე“.

იაკობი ცხადყოფს, თუ როგორ პატრიოტიზმს შეიძლება ჰქონდეს ცხოველმყოფელი ძალა; მისი აზრით, პატრიოტიზმი უნდა იყოს „მხურვალე, ზაფხულის მზე“, „პრიალა, როგორც ცეცხლი“, „ღონიერი, როგორც ქარიშხალი“. ასეთი ქმედითი ძალის მქონე პატრიოტიზმი რომ დავნერგოთ მოზარდ თაობაში, იაკობის აზრით, „სრულიად საკმარისი არ არის, რომ კაცმა იცოდეს პატრიოტობა მშვენიერი რამ არისო...

ეროვნულს პატრიოტულს გრძობასაც დიდი ხნის ზრუნვა, მოვლა, ყურის გდება და ერთგულება ესაჭიროება“.

პატრიოტული აღზრდის ყველაზე ძლიერ და უპირველეს საშუალებად იაკობს მიაჩნია მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლება. ამას იაკობი ასაბუთებს განსაცვიფრებელი სიღრმით, იგი იზიარებს რუსული მეცნიერული პედაგოგიკის კლასიკოსის კ. დ. უშინსკის მოსაზრებას და აღრმავებს კიდეც მის თვალსაზრისს ამ საკითხზე საქართველოს ეროვნული მოძრაობის მდიდარი ისტორიული გამოცდილების პოზიციიდან. „ერის განვითარება პირდაპირ დამოკიდებულია ენის განვითარებაზე. თუ ენა ერთ წერტილზეა შეჩერებული, ერის წინ მსვლელობაც მოსპობილია. თუ ენა უკან-უკან მიდის და ღატაკდება, აზროვნებაც ერისა ქვეითდება, უძლურდება, ღარიბდება. სამაგიეროდ, თუ ენა წინ მიდის, დღითი-დღე იფურჩქნება, ვითარდება, მდიდრდება ფორმებითა, ერის აზროვნებაც წელში იმართება, ძალღონეს იძენს, აყვავების ხანა უდგება, ხოლო „სუსტი ენა ჰბადავს სუსტ გრძნობასა, სუსტ აზრსა, სუსტს ხასიათსა“.

იაკობი სვამს კითხვას: „რომელი მშობელი არა ნატრობს თავისი შვილისათვის გამჭრიახ ჭკუასა, ღრმა გრძნობასა, მტკიცე ხასიათსა, ერთი სიტყვით – კაცურს კაცობასა?“ ამ ნატვრის რეალური განხორციელება, იაკობის აზრით, სავსებით შესაძლებელია, თუ მოზარდებს ღრმად შევასწავლით მშობლიურ ენასა და ლიტერატურას, და ვასწავლით უწინარეს ყოვლისა მშობლიურ ენაზე. საქართველოს სკოლებში ქართველი ბავშვების პატრიოტული აღზრდის მძლავრი საშუალებაა მშობლიური ქართული ენის სწავლება იმიტომ, რომ „ქართული ენა მდიდარია და მრავალმხროვანი, რო-

გორიც არის ბუნება კავკასიონისა, სადაც ერთს პატარა მანძილზე პოლუსი, ტროპიკი და ზომიერი სარტყელი ერთად შეყრილან, სადაც საუკუნო თოვლით შემოსილი მთის წვერები ზევიდან ძირს დასცქერიან: ბროწეულს, ლეღვს, ვაზს, ლიმონს, ფორთოხალს და სხვა ტროპიკულს მცენარეულობას და სადაც რამდენსაც ნაბიჯს გადასდგამ, იმდენს ახალ-ახალს სურათს შეხვდები. ქართული ენა ისეთივე მრავალფეროვანია, როგორც არის ჩვენი ერის ისტორია, წარსული ცხოვრება, სავსე მრავალ-გვარის მოქმედებითა, თვისებითა, აზროვნებითა, გრძნობითა, დიდი სიხარულითა, ძლიერი მწუხარებითა და რომელიც წარმოადგენს იმ გვარს ღრმას და დაუსრულებელს დრამას, რომ ასი შექსპირიც ვერ ამოსწურავდა მას ძირამდის".

იაკობი ასწავლიდა ქართველობას, რომ „ის მშობელნი, რომელნიც თავისი შვილებსა ზრდიან გარეშე დედა-ენის გავლენისა, სწყვეტენ კავშირსა მათსა და სამშობლოს შორის, უკარგავენ თავისს ქვეყანასა მამულიშვილებს, ამცირებენ იმ რაზმს ქართველობისას, რომელნიც ემსახურებიან სამშობლოს წარმატებას, მის ბედნიერებას... ნამდვილის კაცურის გონებისა, გრძნობისა და ხასიათის აღზრდა ბავშვებში, მათი პირადი ბედნიერება, რომელიც ყველა მშობელსა სწყურის, შეუძლებელია მაშინ, როდესაც მათს აღზრდაში მეტნაკლებობით უარ-ყოფილია დედაენა, ეს ძირითადი ეროვნული ძალა, მთავარი ბურჯია ეროვნებისა".

იაკობი კიდევ უფრო აღრმავებს საკითხს პატრიოტულ აღზრდაში დედაენის მნიშვნელობის შესახებ; „დედა-ენა გარეგნობით როდია ადამიანის არსებასთან შეკავშირებული; იგი როდი ჰგავს ტანისამოსსა, რომლის გამოცვლა ადვილად

და უვნებლად შეიძლება. მას აქვს ღრმად გამდგარი ფესვები ადამიანის ტვინში, ნერვებში, ხმის ორგანოებში, ძვალსა და რბილში, მთელს მის ბუნებაში; იგი არის ძვირფასი იარაღი, რომელიც ბუნებას ზედ გამოუჭრია ადამიანის სულსა და ხორცზედ, მის ფსიქოლოგიურს და ფიზიოლოგიურს აგებულებაზედ. ყოველს ადამიანს დაბადებიდან ჰყვება მიდრეკილება და ნიჭი დედა-ენის ადვილად და ღრმად შესწავლისა... ბავშვის ყოველ აზრს, წარმოდგენას, გრძნობას და სულის მოძრაობას მხოლოდ დედა-ენა ჰხატავს სინამდვილით და სისრულით".

იაკობის აზრით, დედაენის დიდი ძალა აშკარავდება „მეტადრე ერთს ფრიად სიმპატიურს სფეროში... ეს გახლავთ ნაზის გრძნობის, ალერსის სფერო. ბავშვი, მოშორებული და მოკლებული დედა-ენას, ვერას დროს ვერ მიესიყვარულება თავის მშობელთა და ნათესავთა სრულის გრძნობის გამომხატველ სიტყვებით, ვერასოდეს ვერ იპოვნის იმისთანა ღრმად გულში მოსახვედრს გამოხატულებათა, როგორნიც არიან „შენი ჭირიმე, შენ გენაცვალე, შენ გეთაყვანე, თავ შემოგევლე, წამლად დაგედე და მრავალი სხვანი". ღრმად და სრულად დაუფლებულ დედაენას „იგივე ბავშვს დედობაში" აძლევს დიდ შესაძლებლობას არ „შეასუსტოს, შელახოს და შეურაცხჰყოს თავისი ძლიერი გრძნობა თავისი წმინდა გულის ტრფიალი" და გულის ენით განუცხადოს თავისსა გულის სატრფოს „თავისი მხურვალე გრძნობა და სიყვარული", რადგან „მხოლოდ დედა-ენა არის ენა სულისა და გულისა".

იაკობი მრავალჯერ უბრუნდება მშობლიური ენის დიდ აღმზრდელობით მნიშვნელობას სხვადასხვა ასპექტით და წერს, რომ ქართული ენა არის „განვითარებული, გაშლილი,

კულტურული, მდიდარი როგორც ლექსიკონით, ისე გრამატიკული ფორმებითა, ენა სრულის ორგანიზაციისა, უმაღლესი ხარისხისა“, ამიტომ „ენის შეთვისების შეყენებას მიუცილებლად მოსდევს აზრისა და გრძნობის შეფერხება და ამიტომ ამ გვარად აღზრდილნი ბავშვნი უკან რჩებიან როგორც მეტყველებაში, ისე აზროვნებაში“.

იაკობი განიხილავს ე. წ. „ენის ალღოს“, რომლის არსს განაპირობებს ის გარემოება, რომ „ბავშვიც კი სრულის გრამატიკულის კანონების დაცვით ჰთხზავს იმისთანა სიტყვებსა და ფრაზებს დედა-ენაზედა, რომელნიც არავისგან არ გაუგონია, არ უსწავლია და რომელნიც მის მშობლიურ ენის ბუნებას და ხასიათს სრულიად უთანასწორდებიან, ეთანხმებიან, ჰთხზავს თავისებურად და ავარჯიშებს თავის მეტყველების შემოქმედებით ძალას...

თუ ბავშვი ერთის მხრივ სწავლობს დედა-ენასა, ითვისებს მის გარეგან ზედ-გავლენის ქვეშ, მეორეს მხრივ შინაგანი მოთხოვნილებისა და მიდრეკილების წყალობით ჰქმნის მას, ბადებს, შობავს. ენის ალღო გახლავთ ერთადერთი წმინდა წყარო ენის გამდიდრებისა, მისის გაფურჩქვნისა, განვითარებისა, მრავლის თავისებურის სტილისა. მოაკელით ადამიანებს ეს ნიჭი, – და ერის ენის სიცოცხლე შესდგება, შეჩერდება, გაქვავდება და დაშრება წყარო ცოცხალის მეტყველებისა“.

იაკობი აფრთხილებს მშობლებს, „რომ ახალი თაობა, აღზრდილი თავისი ქვეყნის და ისტორიის უვიცობაში და აბუჩად აგდებაში, გულს იცრუებს დედა-მამასა და ნათესავებზედ და ხშირად შვილებრივის სიყვარულის მაგიერ სიძულვილს უჩვენებს მათ და ამ სახით ირღვევა ოჯახობა,

სახლობა, ეს ქვა-კუთხედი ყოველის ერის სიმტკიცისა და წარმატებისა". ამიტომ „პირველად, დედა-ენა უნდა მეფობდეს ქართულ ოჯახობაში სრულად და სავსებით და ყოველი პატარა ქართველი მხოლოდ მის ზეგავლენის ქვეშ უნდა იზრდებოდეს და ვითარდებოდეს მთელის შვიდის წლის განმავლობაში. ყოველ-დღიური ვარჯიშობა დედა-ენაში მშობლებმა უნდა დააწყებინონ თავის შვილებს მესამე-მეოთხე წლიდანვე. ქართული ენა მდიდარია მეტად მარტივი სახალხო ლექსებით და ზღაპრებით, რომელთა შეთვისება არ გაუჭირდებათ ჩვილ ქართველებსა, თუ დიდები გონივრულს ხელმძღვანელობას გაუწევენ მათ. მაგრამ ეს საკმარისი არ არის. საჭიროა სხვაგვარი საზრდოც, რეალური შინაარსისა". თუ რას გულისხმობდა იაკობი ამ „სხვაგვარ საზრდოში, რეალურ შინაარსში", ეს კარგად ჩანს მის მიერ შედგენილ სახელმძღვანელოებსა და საკითხავ წიგნებში, საუკუნეს რომ გაუძლეს და დღესაც ინარჩუნებენ ცხოველმყოფელ ძალას. მათ დაწვრილებით განხილვას ჩვენ აქ არ შევუდგებით, მათზე ბევრი დაწერილა, იწერება და კვლავ დაიწერება უფრო დიდაქტიკის ასპექტში.

მოზარდის პატრიოტული აღზრდისათვის მშობლიური ენის უდიდესი შესაძლებლობის საკითხზე იაკობი მთლიანად იზიარებდა კ. დ. უშინსკის მოსაზრებას, თვლიდა რა რომ პედაგოგიკის ეს კლასიკოსი იყო „დიდ პედაგოგად აღიარებული თვით მოწინააღმდეგეთაგანაც კი". კ. დ. უშინსკის პედაგოგიური თხზულებებიდან იაკობი აკეთებს შემდეგ ამონაწერებს: „ენა ერისა არის საუკეთესო ყვავილი მისის ცხოვრებისა, ყვავილი დაუმჭკნარი, რომელიც მუდამ, შეუწყვეტლივ იფურჩქნება. ენაში იხატება მთელი ერი და მისი სამ-

შობლო. ენაში, ერის შემოქმედების ძალის წყალობით, იქცევა აზრათ, სურათად და ხმად ცა სამშობლოსი, მისი ჰაერი, მისი ფიზიკური მოვლენანი, მისი ჰავა, მისის მინდორ-ველნი, მთანი და ღელენი, ტყენი და მინდორნი, ელვა-ჭექა და ქარიშხალნი, იხატება მთელი ის ღრმა, სავსე აზრით და გრძნობით ხმა სამშობლო ბუნებისა, რომელიც ისე ხმა-მაღლა ჰღაღადებს კაცის სიყვარულში მის ხშირად ველურის სამშობლო ქვეყნისადმი, სამშობლოს ჰანგებში, სიმღერებში, სახალხო პოეტების ლექსებში. გარნა დედა-ენის კამკამა სიღრმეში იხატება არა მარტო ბუნება სამშობლო ქვეყნისა, არამედ მთელი ისტორია ერის სულიერი ცხოვრებისა; თაობანი ერთი მეორის შემდეგ ჰქრებიან, მაგრამ ნაყოფნი მათის მოქმედებისა რჩებიან ენაში ჩამომავლობის საკუთრებად. დედა-ენის სალაროში სტოვებენ თაობანი ერთი მეორის შემდეგ ნაყოფსა: გულის ღრმა მოძრაობისას, ისტორიულის მოქმედებისას, რწმუნებისას, აზრისას, სტოვებენ კვალთა გამოვლილის სიხარულისას და მწუხარებისას. ერთი სიტყვით, მთელს ნაშთსა და ნაყოფსა თავისის სულიერის ცხოვრებისას ხალხი იცავს და ინახავს დედა-ენაში. დედა-ენა არის უცხოველესი და უმტკიცესი კავშირი, რომელიც აერთებს წარსულთა, ცოცხალთა და მომავალთა თაობათა და ჰხდის მათ ერთს დიდს, ისტორიულ ცოცხალ ორგანიზმად. იგი არამც თუ გამომხატველია ხალხის სიცოცხლისა, იგი არის თვითონ სიცოცხლე. როდესაც ჰქრება ერის ენა, ერი აღარ არსებობს..... დედა-ენა არის უდიდესი მოძღვარი ერისა. როცა რომელიმე თაობა სწავლობს დედა-ენასა, იგი იძენს აზრისა და გრძნობის ნაყოფს ათასთა წინანდელთა თაობათა, რომელნიც დიდი ხანია მიწად არიან ნაქცევნი. რაც კი უნახავთ და გამოუცდიათ,

რაც კი უგრძვნიათ და უფიქრიათ...ამ აურაცხელ წინანდელ თაობათა, გარდაეცემა ბავშვთა დედა-ენის შუამავლობით ადვილად და უშრომელად, და ბავშვი შედის ცხოვრებაში უდიდესი ძალით აღჭურვილი“.

ასეთი პრინციპული მოსაზრებები აქვს ამოწერილი ი. გოგებაშვილს კ. დ. უშინსკის ნაშრომიდან. ამ ამონაწერს იაკობი ასრულებს შემდეგი ამონაწერით კ. დ. უშინსკის თხზულებებიდან: „როდესაც ბავშვი სწავლობს დედა-ენას, მარტო გარეგანს ნიშნებს და ხმებს როდი ითვისებს. იგი სვამს სულიერ სიცოცხლეს და ძალას დედა-ენის მშობლიურ ძუძუთგან. დედა-ენა უხსნის ბავშვს ბუნებას ისე, როგორც ვერ აუხსნიდა ვერც ერთი ბუნების მეტყველი: იგი ასწავლის ხასიათს ადამიანებისას, რომელნიც ბავშვს გარს არტყიან, საზოგადოებისას, რომელშიაც იგი ტრიალებს, მის ისტორიას და მისწრაფებათა ისე, როგორც ვერ ასწავლიდა ვერც ერთი ისტორიკოსი. მას შეჰყავს ბავშვი ხალხის რწმუნებითა და პოეზიის ტაძარში ისე, როგორც ვერ შეიყვანდა ვერც ერთი ესთეტიკოსი. ბოლოს დედა-ენა შესძენს ბავშვის აზრს იმისთანა ლოგიკურს მოსაზრებათა და ფილოსოფიურს შეხედულებათა, რომელთაც მას ვერ შეაძენინებდა ვერც ერთი ფილოსოფოსი“.

იაკობი დაინტერესებული იყო სასკოლო სახელმძღვანელოებსა და საკითხავ წიგნებში შეეტანა ისეთი მასალა, რომელიც უშუალოდ შეუწყობდა ხელს მოსწავლეთა აღზრდას მხურვალე პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, განმსჭვალავდა ღრმა ჰუმანიზმით.

იაკობი აღნიშნავს, რომ მისი მოთხრობა „მეფე ერეკლე და ინგილო ქალი“ განსაზღვრული მიზნით არის დაწერი-

ლი...“ ჩვენს ახლანდელ მდგომარეობაში, როდესაც კავკასიის ერთა შორის გაცხარებული ბრძოლა არსებობისათვის ემუქრება ქართველობას საბოლოოდ დაცემას, სრულიად ეგოისტი უნდა იყოს ქართველი მწერალი, რომ მისდევდეს პრინციპსა: კაცია და გუნებაო, ხელოვნება ხელოვნებისათვისაო. მოთხრობაში მე მსურდა, თანახმად საინგილოს წარსულისა და აწმდგომისა, ხმა-მაღლა მეღიარებინა მათი ნამდვილი ქართველობა, ღვიძლი ძმობა ქართველებთან, სიყვარული საქართველოსი... მე ვგონებ, რომ ჩემს გულისწადილს, მიზანს მივაღწიე... მოვახერხე მოთხრობისათვის მიმეცა აღმზრდელი მიმართულება, რომელიც ისე ძლიერ უჭირს ჩვენს ხალხს აწინდელს მდგომარეობაში. ინგილო ქალები წინანდელ დროში სრულიად სხვა სკოლაში იზრდებოდნენ. ეს იყო სკოლა ცხოვრებისა, ძლიერ სასტიკისა, სკოლა შეუწყვეტელის ბრძოლისა მტერთა წინააღმდეგ, ბრძოლა დასაცველად თავისი მამულისა, კერისა, ოჯახისა, სჯულისა, ქართველობისა“.

იაკობი თვითონ დაუკვეთავდა ხოლმე საბავშვო ლექსსა თუ მოთხრობას დიდ ილიას, აკაკის, ვაჟას და სხვა ცნობილ ქართველ მწერლებს, მაგრამ ყოველთვის უცვლელად როდი შეჰქონდა ისინი სახელმძღვანელოებსა და საკითხავ წიგნებში. ზოგჯერ ხვეწავდა და სრულყოფდა მათ პედაგოგიკის მოთხოვნების შესაბამისად „დედა-ენაში არის დაბეჭდილი ათამდე პატარა ლექსი ჩვენი სახელოვანი პოეტის აკაკის რედაქციით. წინედ ეს ლექსები ჩემი რედაქციით იბეჭდებოდნენ, მაგრამ რადგან მათი ფორმა არ მაკმაყოფილებდა, ამის გამო ვთხოვე აკაკის ჩაეცმია მათთვის თავისებური პოეტური ტანისამოსი. მანაც დაუზარებლად ამისრულა თხოვნა და

ზოგი ძლიერ შეცვალა, ზოგი უფრო ნაკლებად. როცა მივიღე აკაკისაგან რვეული ამ ლექსების, მისი ხელით სუფთად გადაწერილი, მე ვთხოვე მას ნება მოეცა ცვლილებისა, თუ პედაგოგიური მოსაზრებით ამას საჭიროდ დავინახავდი და კიდეც მივიღე იგი. ამ ნებადართვით ვისარგებლე და შიგა და შიგ შევცვალე სიტყვები და ფრაზები სიმარტივის გასაძლიერებლად. როცა აკაკის თხზულებებს ბეჭდავდა გამომცემელი ამხანაგობა, ეს ლექსებიც ამოეწერა დედაენითგან და სხვებთან ერთად წარედგინა ავტორისათვის. აკაკის, რომელმაც თურმე არ იცოდა, საიდან იყო ეს ლექსები ამოწერილი, გადაეკითხა იგი და არცერთის ჩვენის ცვლილებისათვის ხელი არ ეხლო. ეს ცხადად ამტკიცებს, რომ ჩვენ იმდენად კარგად გვაქვს შესწავლილი ჩვენი სახელოვანი პოეტის თხზულებანი, რომ როცა ვცვლით ლექსსა, ისევ აკაკისებურს ლექსაა ვხმარობთ და ჰარმონიას არ ვარღვევთ“.

გრამატიკა ფილოსოფიაა ენისა

ჭეშმარიტი და არაჭეშმარიტი, ანუ მცდარი ცოდნის გარჩევის შესაძლებლობას ლოგიკური მსჯელობის უნარი გვაძლევს. ლოგიკური აზროვნების განვითარებისათვის კი იაკობ გოგებაშვილი ერთ-ერთ წამყვან მნიშვნელობას ანიჭებს ენის შესწავლას. „თვით ენის ბუნების შესწავლისა“ ისეთია, რომ „თუმცა ბავშვის გონება ამ მეთოდით („სინტეტურის მეთოდით“) ახლის ცოდნას ვერ იძენს, ახალ საზრდოს არ იღებს, მაგრამ ლოღიკური მსჯელობა კი მის ყოველ ნაბიჯზედ მოქმედებაში არის. როდესაც თქვენ ბავშვს შეადგენინეთ რამდენიმე სიტყვისაგან ფრაზები კანონიერს ყალიბზედ და ფორმაზედ, ის შემდეგ ახალ ფრაზებს უმორჩილებს ამავე ფორმებს თავის მოსაზრების ძალით, მისი გონება მოქმედობს სილოგიზმების კანონზედ. დასკვნის ნიჭს ივარჯიშებს. როდესაც ბავშვს ასწავლეთ რამდენიმე სიტყვის დაბოლოებათა შეცვლა წინადადებაში და იგი მრავალს სხვა სიტყვებს ამავე რიგისას ამ გვარათვე უცვლის დაბოლოებათა მსგავსავე შემთხვევაში, მას ეხსნება გონების ის მხარე, რომელსაც ინდუქტიური ნიჭი ჰქვიან“.

იაკობი ხშირად უბრუნდება ენის სპეციფიკური ბუნებისა და მისი სწავლების სხვადასხვა მეთოდების საკითხს: „ენა და რეალური ცოდნა სრულიად სხვადასხვა რიგის, სხვადასხვა გვარის საგნებს შეადგენენ, რა ნათესაური კავშირია, მაგალითად, ვაშლის ფერის, მისი ფორმის, სიმაგრისა და გემოს შუა, ერთი მხრით და მეორეს მხრივ იმ ხმებს შორის, რომლითგანაც შესდგება ამ ნაყოფის რუსული სახელი? არავითა-

რი. ეს აშკარად ჩანს იქითგანაც, რომ ამავე ნაყოფის ქართული სახელი შედგება სრულიად სხვა ხმებისგან, აიღეთ კანონი ვაშლის ზრდისა, აყვავებისა, დამწიფებისა და სხვა მისი ცვლილებებისა და შეადარეთ ამ ნაყოფის სახელის ცვლილებათა კანონთა, რა მსგავსებაა? არავითარი. ნაყოფი ემორჩილება თავის ცვლილებაში ერთგვარ კანონებს, მისი სახელი – მეორე გვარის კანონებსა. აქ ჩვენ ვხედავთ ორ შეუდარებელს რაოდენობათა... ამიტომ ამ რაოდენობათა შესწავლის მეთოდები სხვადასხვა გვარია. (რეალური) ცოდნის შეძენას აქვს თავისი საკუთარი მეთოდები, რომელნიც ენის შესწავლისათვის გამოუსადეგარნი არიან. ენის შესწავლა დამყარებულია იმისთანა მეთოდებზედა, რომელნიც საგნების შესწავლას სრულიად არ მიუდგებიან“, იაკობი ენის სწავლების ამ მეთოდს ასე წარმოგვიდგენს: „მოსწავლეებმა ჯერ საგნები უნდა შეისწავლონ, მერე უნდა შეუდნენ მათი... სახელების შეთვისებას და დაკავშირებას... ჯერ ნივთი, მერე სახელი. ჯერ საგნების ურთიერთობა, მერე დაკავშირება... სიტყვებისა ერთმანეთთან“.

ლოგიკური კანონები და თანმიმდევრობა სხვა არაფერია, თუ არა ლოგიკურ კატეგორიებში ასახვა საგანთა და მოვლენათა ურთიერთმიმართებაში არსებული იმ კანონებისა და თანმიმდევრობისა, რომელთაც ადგილი აქვთ ობიექტურ სამყაროში.

ენის გრამატიკასაც იაკობი გონების განვითარებასთან კავშირში განიხილავს: „გრამატიკა არის მხოლოდ დამხმარებელი ღონისძიება, რომელიც სარჩულად დაედება პრაქტიკულს ცოდნასა. მაგრამ გრამატიკამ რომ ეს სამსახური გაგვიწიოს, იგი უნდა იყოს შედგენილი ცოდნით და მარჯვედ

იპყრობდეს უტყუარს კანონებს ენისასა", „გრამატიკა ფილოსოფიაა ენისა, და როგორც მოგეხსენებათ, ყოველგვარი ფილოსოფია ითხოვს კარგს ცოდნას, გონების განვითარებას და საგანში ღრმად ჩაკვირვებას...".

გონების გახსნის, გაღვიძების, მის განვითარების საქმეში იაკობი ძალზე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მეხსიერების ვარჯიშს, მის გამდიდრებას სწავლებისას. ენის სწავლებისას „მართალია, სახსოვარს (ე.ი. მეხსიერებას – თ.ნ.) ბევრად მომეტებული სამუშაო ხვდება, მაგრამ ეს თვითონ ენის თვისების ბრალია და არა მეთოდისა... ენის შესწავლა ჰქვიან ლექსიკონისა და გრამატიკული ფორმების შეთვისებას, ეს შეთვისება კი შეიძლება დახსომებით, დასწავლით, რომელიც არის ფუნქცია, ვალი სახსოვარისა (მეხსიერება – თ.ნ.), რომელიც მეთოდიც არ უნდა აიღოთ ენის შესწავლისათვის, ვერც ერთი ვერ გაათავისუფლებს სახსოვარს (მეხსიერებას) იმ მომატებული ჯაფისაგან, რომელიც წილად ხვდება მას უცხო ენის შესწავლის დროსა, და ან განა საჭიროა ეს განთავისუფლება? რომ მისი მნიშვნელობის გაზვიადება შეუძლებელია. სახსოვარი არის ძვირფასი სალარო, რომელიც ინახავს და ზრდის ადამიანის გონების სიმდიდრესა. თუ სახსოვარი (მეხსიერება – თ.ნ.) უძლურია, გონებაც ღატაკია. მძლავრი გონების მქონენი, გენიოსები ყოველთვის ყოფილან მდიდარი სახსოვარის პატრონები. ამიტომ სახსოვარის ვარჯიშობა, მისი გამაგრება და გაძლიერება შეადგენს უმთავრეს მიზანს სწავლისასა და აღზრდისასა. მართალია, თუ სწავლა მხოლოდ ავარჯიშებს სახსოვარსა და ბავშვის სხვა ნიჭიერებას განუვითარებლად სტოვებს, სიმახინჯის მეტი აქედან არაფერი გამოვა. მაგრამ... როდესაც ერთი საგანი უფრო ერთ

ნიჭსა ხსნის, მეორე უფრო მეორესა და მესამე მომეტებულად ავარჯიშებს მესამე ნიჭსა, – აქედან ბოროტება და სიმახინჯე კი არ გამოდის, არამედ მრავალმხროვანი და ჰარმონიული გახსნა ბავშვისა“.

ბავშვის გონება რომ ლოგიკური თანმიმდევრობის, ლოგიკური წესის მიხედვით შეეჩვიოს აზროვნებას, იაკობი ურჩევს მასწავლებელს: „ამოირჩიეთ უფრო თვალნათელი ფაქტები, დალაგებით უამბეთ ბავშვებს, გადაუჭარბებლად, ურიტორიკოდ, საზოგადო ფრაზების მორიდებით და თქვენ მისცემთ მათ გონებასა და გულს საუკეთესო საზრდოს“.

ბავშვის გონებრივი აღზრდისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ცოდნის შეგნებულად შეთვისებას, უფრო ზუთხვის ნაცვლად უნდა მივაღწიოთ იმას, რომ მოსწავლეებმა მასწავლებლის ახსნისა და შედარებათა გზით, საუკეთესო აქტივობის პროცესში „შეგნებულად შეითვისონ გაკვეთილი“. იაკობი გვასწავლის: „სიმშვენიერე ქვეყნისა დასკვნაა, რომელიც ბავშვმა თვითონ უნდა გამოიტანოს რეალური, კონკრეტული სურათებიდან და ეს სურათები მას თვალწინ უნდა დაუხატოს ავტორმა...“ თვითონ ჩვენო, განაგრძნობს იაკობი, ვცხოვრობდითო მხოლოდ არსებითო, დამახასათებელი ნიშნებით „სრული წარმოდგენა გამოგვესახა ბავშვის გონებაში... ყურადღებას მივაქცევდით მასზედ, რაც უფრო შესანიშნავია..., რაც მის განსაკუთარებულის თვისებას, ფიზიოლოგიას შეადგენს, რითაც იგი განირჩევა სხვა მოვლენებისაგან, საგნებისაგან“.

როგორი მეთოდით ვასწავლოთ ანბანი, ყმაწვილის გონებაში რომ სწორი აზრები გამოიხატოს? იაკობის თანახმად, თუ მოსწავლეს ანბანის სწავლას ასოებით ვაწყებინებთ,

„ყმაწვილის თავში, რასაკვირველია, არა ჰაზრი იხატება, ამიტომ პირველსავე შეხვედრაზე ყმაწვილს სწავლა ეჩვენება, როგორც ერთი უაზრო საგანი“, უფრო სწორია, როცა „ანბანი იწყების სიტყვეისაგან... ყველა სიტყვა ჰხატავს რაიმე ჰაზრსა, აჩვენებს რომელიმე საგანსა, ... აი, ყმაწვილს მასწავლებელმა წააკითხა სიტყვა: დე-და. – ყმაწვილი წარმოიდგენს თავის დედასა, ამასთანავე თავის სახლს, მამას, ძმებს, ადგილს... ეს ერთი სიტყვა რამდენიმე საგანს მოაგონებს, რამდენიმე ჰაზრს წარმოუდგენს გონებაში ყმაწვილსა. მოსწავლე იგრძნობს მაშინვე კავშირს ბუნებასა, ცხოვრებასა და სწავლას შუა და რადგან ყოველ ყმაწვილს უყვარს ბუნება და ცხოვრება, სწავლაზედაც წახალისდება“.

იაკობი ანბანის სწავლებას დასაწყისშივე იმგვარად აგებს, რომ ბავშვს „გაუხსნას გონება“, „სწავლისათვის წაახალისოს“. ამისათვის საჭიროდ თვლის სწავლების დაკავშირებას ბუნებასთან და ცხოვრებასთან, სწავლებაში აღმზრდელობითი ფუნქციის გაძლიერებას. „ბავშვის გონების გახსნისათვის“, აღნიშნავს იაკობი, ბავშვს უნდა დავანახოთ და ვაგრძნობინოთ სწავლის კავშირი ბუნებასა და ცხოვრებასთან, ცხადია, სწალების დასაწყისშივე, და ამ გზით აღძრული სწავლის ხალისი ბოლომდე შევუნარჩუნოთ.

იაკობი დიდ მნიშვნელობას აძლევს იმ მოსამზადებელ მუშაობას, რომელიც წინ უნდა უძღოდეს ანბანის სწავლებას. იაკობის აზით, სანამ უშუალოდ ანბანიდან დაიწყებოდეს, მანამდე მასწავლებელი ჯერ „ყმაწვილებს თვითეულთა გაიცნობს და შეიტყობს იმათ გახსნის ხარისხსა, მერე გააცნობს სასწავლებლის და კითხვა-პასუხის წესსა, შემდეგ ესაუბრება იმ საგანზედ, რომლებსაც ყმაწვილები სასწავლებელში ან

ცხოვრებაში ხედავენ და იმათი შედარებით თვალოვნობას და დაკვირვებას დააჩვევს, და ბოლოს, როცა ყმაწვილები მასწავლებელს და სასწავლებელს შეეჩვევიან და მათი გონება გარეშემორტყმულ საგნებზედ დაკვირვებით მოძრაობას იწყებს, მასწავლებელი შეუდგება ანბანის სწავლებას". პირველმა საკითხავმა წიგნმა კი „მოსწავლეს უნდა მიაღწევინოს სამ მიზნამდის: უნდა გამართოს კითხვაში, გონება გაუღვიძოს და შეასწავლოს თავისი სამშობლო ენა, ე.ი. მეტყველი გახადოს". გონების განვითარებისათვის მასწავლებელმა უნდა შეავსოს და გაამდიდროს ბავშვის მეხსიერება ნამდვილი, სასარგებლო ცოდნის დუქნებისა და ცხოვრების მოვლენათა შესახებ და ამ მიზნით უნდა კრიტერიუმად ჰქონდეს არა გარეგნობა საგნისა, არამედ მათი შინაგანი გარემოებანი".

თავის „ბუნების კარზე" ი. გოგებაშვილი წერს, რომ ამ წიგნით ყმაწვილი შეიტყობს, თუ ბუნება რა მდიდარია სხვადასხვა ცხოვრებითა და ნიჭიერებითა; პირუტყვზედ ის თავის ჰაზრს შეიცვლის, უწინდებულად უგუნურ მაშინებით აღარ შერაცხავს და ცხადად იგრძნობს, რომ ზოგი მათგანი სულიერი სისრულით ახლოა თვითონ ადამიანზედ. ყმაწვილი მიხვდება, რომ ბუნება მრავალი გვარი სიცოცხლით დუღს და დაუსრულებელი ცოდნის წყაროა. თუ ამ წიგნის სტატიები ყმაწვილს ზედმიწევნით მაინც აგრძნობინებენ, რომ ბუნების გამოძიება არის წყარო ერთი მხრით ჭეშმარიტი სარგებლობისა და მეორე მხრით ღრმა სიამოვნებისა, მაშინ ჩვენ შრომას ამაოთ აღარ ჩავაგდებთ".

ესოდენ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს იაკობი საბავშვო წიგნებს და სახელმძღვანელოებს, მათ გონივრულ შედგენას. გულდასმით, საქმის ღრმა ცოდნით უნდა იქმნებოდეს ყოვე-

ლი სახელმძღვანელო, რომელიც მაქსიმალურად დაზღვეული უნდა იყოს მოძველებული ან მცდარი ინფორმაციისაგან.

იაკობი გვასწავლის, რომ ბავშვებისათვის დაწერილი ანბანის შემდეგ საკითხავი წიგნი უნდა შედგეს „იმისთანა სტატიებისაგან, რომლების კითხვა ყმაწვილისათვის ადვილი იქნება, გაგება მათი არ გაუჭირდება, ამათ კითხვაში იპოვნის სიამოვნებას, და თავის ცარიელ გონებას შესძენს იმ ცოდნებსა, რომელთაც ითხოვს მისი ბუნება. რომელი საგნები არიან ადვილი გასაგონი, სასიამოვნო და სასარგებლო ყმაწვილის გონებისათვის? – ბუნება, საზოგადოთ და ყოველი, რაც კი გარშემო არტყია ყმაწვილს, ვისაც ცოტაოდენი ყური მიუგდია ყმაწვილების კითხვებისათვის, ის ამ ჰაზრის ჭეშმარიტებას ცხადად იგრძნობს... ყმაწვილისათვის უფრო სასიამოვნოა პირუტყვის ცხოვრება, ზნეობა და ჩვეულება“.

ისეთი მძიმე და სერიოზული საქმიანობა, როგორიც არის სწავლა, მეცნიერებათა დაუფლება, იაკობის აზრით, ისე უნდა წარვმართოთ, რომ ბავშვები ხალისით ეკიდებოდნენ სწავლას, მაგრამ იაკობი მხოლოდ გაკვეთილით როდი იფარგლება, მთლიანად სკოლა, სასწავლო-სააღმზრდელო დაწესებულება უნდა ქმნიდეს ბავშვის ამ ხალისიან განწყობილებას და ინარჩუნებს მას ბოლომდე, რადგან ხალისი უპირველესი პირობაა სკოლის წარმატებისა..., სადაც „ხალისი არ არის, იქ ამაოა ყოველი ცდა“. თუ სკოლას სურს არ გახდეს ანტიპედაგოგიურ დაწესებულებად, უნდა იზრუნოს შეინარჩუნოს „რაც ბავშვს უყვარს“ და ამით ხელი შეუწყოს ბავშვთა ხალისიან განწყობილებას, სკოლა უნდა ჰგავდეს ბავშვებთან სათუთ ურთიერთობაში „ღვიძლ დედას... რომელიც ალერსით და სიყვარულით ექცევა თავის შვილებს“.

საინფორმაციო სივრცის გლობალიზაცია

მსოფლიოში ვერცერთ ქვეყანას არ შეუძლია ერთმანეთისაგან იზოლირებულად არსებობა. გლობალიზაცია და დემოკრატია ქმნის ახალ პერსპექტივებს სხვადასხვა ქვეყნების, ერების, ცივილიზაციათა და კულტურათა ურთიერთობისათვის და ეს პროცესი შეუქცევადია.

XX საუკუნის დასასრული გამოირჩეოდა ტელეკომუნიკაციების, ტექნოლოგიების პროგრესული განვითარებით. ჩამოყალიბდა გლობალური საინფორმაციო სივრცე, რომელიც გახდა არა მარტო თეორიულად საინტერესო, არამედ პრაქტიკულადაც აუცილებელი.

როგორც რ. შვარცენბერგი აღნიშნავს, „პოლიტიკური კომუნიკაცია არის პოლიტიკური ინფორმაციის გადაცემის პროცესი, რომლის წყალობითაც იგი მოძრაობს პოლიტიკური სისტემის ერთი ნაწილიდან მეორეში და ბრუნავს პოლიტიკურ სისტემასა და სოციალურ სისტემას შორის“.

ინტერნეტმა მოხსნა გეოგრაფიული შეზღუდვები, ეს მსოფლიოს კომპიუტერული ქსელია, რომელიც თითქმის ყველა ქვეყნის მილიონობით ლოკალურ და გლობალურ ქსელებს აერთიანებს.

თანამედროვე მსოფლიოსათვის დამახასიათებელია მსოფლიო ბაზრებისა და რეგიონული ეკონომიკური სტრუქტურების ინტეგრაცია. არა მხოლოდ განვითარებული, არამედ განვითარებადი ქვეყნებიც ახორციელებენ თავიანთი

ეროვნული მეურნეობების რეფორმირებას ზოგადი პრინციპების შესაბამისად.

კომუნიკაცია გახდა აუცილებელი სასიცოცხლო მნიშვნელობის საქმე ნებისმიერი სისტემისათვის.

ეკონომიკური გლობალიზაცია მიმდინარეობს ტექნოლოგიების უწყვეტი, მუდმივად მზარდი განვითარების ფონზე. კომუნიკაციების სტრუქტურები პოლიტიკური სისტემის პარალელურად ვითარდება.

ამავე დროს გლობალური ინფორმაციული ქსელის, ინტერნეტის გაჩენასთან ერთად კომპიუტერული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა საერთაშორისო პრობლემა გახდა.

რევოლუციური ცვლილებები მოხდა კომუნიკაციების გლობალური საშუალებების ჩამოყალიბების სფეროში. ამჟამად გლობალიზაცია განპირობებულია კომუნიკაციის საშუალებების ღირებულების შემცირებით. დღეისათვის ინტერნეტის ქსელით სარგებლობს დაახლოებით 400 მლნ ადამიანი და მათი რიცხვი დღითიდღე იზრდება.

თუ რამდენიმე წლის წინ შორ მანძილზე მოკლე ინფორმაციის გაგზავნას რამდენიმე დღე სჭირდებოდა და ღირებულებაც სოლიდური იყო, დღეს საუკეთესო ქსელებით ამავე მანძილზე ინფორმაციის გაგზავნას რამდენიმე წამი და უმნიშვნელო თანხა ესაჭიროება. ღირებულება თითქმის ათასჯერ დაეცა და სიჩქარე 300 ათასჯერ გაიზარდა. სიჩქარის კოლოსალურმა ზრდამ და ამავე დროს ღირებულების შემცირებამ, ინფორმაციის უსწრაფესმა გადამუშავებამ საშუალება მისცა ქვეყნებს ცხოვრების ყველა სფეროში მომავალი განვითარებისათვის.

ინტერნეტმა დაგვანახა, რომ ინფორმაციის შეგროვება, ინტერპრეტაცია და გავრცელება აღარაა სახელმწიფო ექსკლუზიური პრეროგატივა.

დღეს ინტერნეტის გავრცელება საქართველოში, ისევე როგორც მთელს მსოფლიოში, იძენს უფრო ბიზნესის სფეროს ინტერესებს, მათი სტიმულირება ხდება კომერციული ფირმების მიერ, რომლებიც კომპიუტერული ტექნიკისა და ინტერნეტის პროგრამებს ქმნიან.

ინტერნეტი, როგორც კომუნიკაციის ახალი ფორმა, მიზანმიმართულად ერთდროულად გამოასხივებს როგორც ნეგატიურ, ისე პოზიტიურ თვისებებს. ჩვენ შეგვიძლია ჩამოვთვალოთ ინტერნეტით გლობალური ქსელის ფუნქციონირების პოზიტიური მომენტები, მაგრამ ჩვენ მიზანშეწონილად ჩავთვალეთ, შეძლებისდაგვარად გადმოგცეთ მისი მოქმედების ნეგატიური შედეგების შესახებ.

როგორც ექიმები და ფსიქოლოგები გვიმტკიცებენ, ადამიანის ნორმალური განწყობისათვის აუცილებელია მუდმივი კონტაქტი სულიერად ახლო მდგომ სოციალურ სფეროსთან.

მეცნიერების დაკვირვებით, ინტერნეტის მუდმივი ზემოქმედება ადამიანზე იწვევს სოციალური აქტივობის დაქვეითებას, ინტერნეტთან ხანგრძლივი ჯდომა იწვევს დეპრესიას და მარტოობის გრძნობას, აქ არა აქვს მნიშვნელობა, რა სახის ინფორმაციას იღებს იგი.

ამდენად, ინფორმაციის გაცვლის ტექნიკური საშუალებების წყალობით ინტერნეტი აქტიურად გამოიყენება საარჩევნო პროცესის წარმართვისათვის

დღეს საარჩევნო ტექნოლოგიები არ არსებობს საკომუნიკაციო პროცესების გარეშე. ამავე დროს საარჩევნო ტექნოლოგია, როგორც საკომუნიკაციო ზემოქმედება, მანიპულაციის საუკეთესო საშუალებაა, რომლის მეშვეობითაც კანდიდატი და მისი პოლიტტექნოლოგი ახორციელებენ ელექტორატის მართვას – სასურველი პოლიტიკური ქმედების შესასრულებლად. ე. ი. პოლიტექნოლოგიები ელექტორატის სასურველ ქცევას წარმართავენ. როგორც ჩვენთან, ასევე მთელ რიგ მსოფლიოს ქვეყნებში ჩატარებული არჩევნების პრაქტიკა ცხადყოფს, რომ არჩევნებზე გამარჯვება მიიღწევა არა ღია კონკურენტუნარიანობით, არამედ ამომრჩევლებზე მანიპულირების გზით. დღეს ფართოდ გაიგონებთ ტერმინებს: „ჭუჭყიანი ტექნოლოგია“, „შავი პიარი“, „ანტიტექნოლოგია“ და სხვა კიდევ მრავალი...

ყურადღებას იპყრობს კომპიუტერის გამოყენება პოლიტიკური ბრძოლის ასპარეზზე. აქ საუბარია ინტერნეტსაიტებზე კომპრომატების დადების სისწრაფისა და ოპერატიულობის შესახებ. რიგ შემთხვევაში, ასეთი ინფორმაცია დაუზუსტებელია – ყალბია, მაგრამ მას ეგრევე იტაცებენ მასობრივი საინფორმაციო საშუალებების გასავრცელებლად, რაც გამავრცელებელს არაკეთილსინდისიერ პარტიას, კანდიდატს სასტარტოდ განსაკუთრებულ უპირატესობას ანიჭებს. ინტერნეტის სპეციფიკა იმაშია, რომ დადებულ საიტს არა ჰყავს პასუხისმგებელი პირი, ქალაქი, ქვეყანა. სიტყვის თავისუფლება, ანონიმურობა, რომელიც მთავარი პრინციპია აღნიშნული საიტისა, არასდროს ირღვევა.

ინტერნეტი კომუნიკაციის ორგანიზებისას ქმნის ახალ ენობრივ საინფორმაციო მახასიათებლებს, მიმართულს ანგ-

ლოენობრივ ექსპანსიაზე. თანმიმდევრულად შემოვიდა ჩვენს საყოველდრეო სიტყვიერებაში სიტყვები, როგორიცაა: „კომპიუტერი“, „ბიზნესი“, „მენეჯმენტი“, „მარკეტინგი“, „ოფისი“, „კონსალტინგი“ და ა. შ.

რა თქმა უნდა, აქ არის თავისებურებანიც. ჩვენ უნდა გამოვიდეთ რეალობიდან, დღესდღეობით აშშ გვევლინება, როგორც მსოფლიოს წამყვანი ქვეყანა სამეცნიერო-ტექნიკურ, საფინანსო, ეკონომიკურ, სამხედრო სფეროებში, მასობრივ-საინფორმაციო ტექნოლოგიებში. ინტერნეტის მომხმარებელი ძირითადად მსოფლიოში ანგლო-ამერიკული კულტურის მატარებელია.

აქედან ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თანამედროვე მსოფლიო კულტურა – გლობალიზაციის ეპოქისა, უმეტეს ხარისხში ამერიკანოცენტრისტულია.

მასმედია, როგორც საზოგადოებრივ ცნობიერებაზე მანიპულირების საშუალება

დღეს საქართველოს განსაკუთრებული პერიოდი უდგას. იგი განიცდის რთულ ავადმყოფურ, ამავე დროს ძალზე დინამიკურ ეტაპს თავისი ისტორიისა.

დაწყებული XX საუკუნის 90-იანი წლებიდან საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ეტაპობრივი ძვრები მოხდა. რადიკალურად შეიცვალა საზოგადოებრივი წყობა და სოციალური სტრუქტურები.

მიმდინარეობს ახალი გზების ძიება პოლიტიკაში, ეკონომიკაში, სოციალურ ცხოვრებაში. გაიზარდა მასების პოლიტიკური კულტურა. ბევრი პრობლემა დღესაც გადაუჭრელია და მხოლოდ იდეის დონეზე რჩება.

მედიასაშუალებები მკითხველს თავს ახვევენ კომენტარების მანიპულაციას, ფართო შრიფტით და ფორმატით ბეჭდავენ მყვირალა სათაურებს და ფოტოებს, რომლებსაც თვალშისაცემ ადგილებს ათავსებენ, აფორმებენ მათ მაღალპოლიგრაფიულ დონეზე.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს შეუძლიათ საზოგადოებრივი ცნობიერების კორექტირება, რეგლამენტირება და ზოგჯერ მათ ფსიქიკაზეც მოახდინონ ზეგავლენა. ამავე დროს აქცენტი კეთდება ფსიქოლოგიაში ცნობილი კანონების გამოყენებაზე, მასების მიერ პოლიტიკური გაუთვითცნობიერების აღქმაზე.

საზოგადოების გარკვეულ ნაწილს მიაჩნია, რომ ტელევიზია ინფორმაციის მიწოდების უფრო ზუსტი წყაროა. მას

გააჩნია თვალსაჩინოების გამოყენების ფართო საშუალებები, რაც უფრო დამაჯერებელს ხდის მათ მიერ მიწოდებულ ინფორმაციას. ამის გამო მას უკეთ შეუძლია ადამიანის ცნობიერებაზე მანიპულირება.

მოზღვავებული ინფორმაციის დამუშავება და მისი მიწოდება პოლიტიკური ელიტისათვის და მთლიანად მოსახლეობისათვის დამოკიდებულია თვით ჟურნალისტებზე, მაგრამ ყოველთვის როდი ხერხდება ჟურნალისტიკის ეთიკის ნორმების დაცვა, ფაქტების გამოყოფა საკუთარი აზრებიდან.

მასმედიას ფართო ასპარეზი აქვს არჩევნებისათვის მზადების წინა პერიოდში, ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის პოლიტიკური იმიჯის შექმნისა ან პირიქით.

დიდსულოვნება შეუძლებელია სრულყოფილების გარეშე

„ანტიკური პედაგოგიკის ისტორიის ნარკვევში“ ვკითხულობთ, რომ ძვ. წ. V-IV საუკუნის ათენური აღზრდის საბოლოო მიზანი ამ დროის საზოგადოებაში განისაზღვრებოდა ბერძნული ცნებით „კალოკაგათია“, რომლის პირდაპირი თარგმნა შეუძლებელია და მხოლოდ აღწერით თუ შეიძლება მისი შინაარსის გადმოცემა, რომ ეს ცნება გვხვდება ბევრ ბერძენ კლასიკოსთა შრომებში (ჰეროდოტესთან, ქსენოფონტესთან, პლატონთან, არისტოტელესთან).

ეს ცნება შედგება ორი ზედსართავისაგან „კალოს“ და „აგათოს“ და დამაკავშირებელი სიტყვის „კაი“-საგან. სიტყვა „კალოს“ უწინარეს ყოვლისა ნიშნავს ლამაზს, მიმზიდველს გარეგნულად, ხოლო შემდეგ მშვენიერს, სასარგებლოს – თავისი მიზნისათვის, შემდეგ მშვენიერი, კეთილშობილი (თავისი შინაგანი თვისებებით); იგივე სიტყვა – და ეს უნდა განსაკუთრებით აღინიშნოს – გულისხმობდა ადამიანს, რომელიც იყო მზად შეესრულებინა თავისი მოქალაქეობრივი მოვალეობა..., ადამიანს, რომელიც ღირსია ჯილდოსი ამ მოვალეობათა შესრულებისათვის.

არისტოტელეს თქმით, „ცხოვრებაში მხოლოდ ისინი აღწევენ კალოკაგათიამდე ამაღლებას, შესატყვის სრულყოფას, ვინც მოქმედებს. სამაგიეროდ, ამგვარი ადამიანების ცხოვრება თავისთავად სასიამოვნოა, რადგან ტკბობა – სულიერი მდგომარეობაა და თითოეულს სიამოვნებს მხოლოდ ის, რაც მას უყვარს“, რომ „დიდსულოვნება შეუძლებელია სრულყო-

ფილების გარეშე“ და რომ „საკმარისი არ არის მხოლოდ იცოდე სათნოება, საჭიროა ფლობდე მას და ცდილობდე ახორციელებდე კიდეც, ან სხვა გზით გახდე კარგი ადამიანი“.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ტერმინი „კალოკაგათია“ უკავშირდება ანტიკური საბერძნეთის სახელგანთქმულ პოეტ ქალს საფოს (ძვ. წ. VII-VI სს.) სახელს, მან შემოიღო პირველად აღნიშნული ტერმინი. რაც ცნებაში „ბედნიერება“ მოიაზრებოდა, ჰომეროსიდან საფომდე ერთგვარად იცვალა სახე. საფოსათვის მარადიული ბედნიერების გამომხატველია შემდეგ ფენომენთა ერთობლიობა: „ა) სწრაფვა მარადიული მშვენიერებისაკენ; ბ) საკუთარი პიროვნების უკვდავების შეგრძნება; გ) ნათელი და ლამაზი „ლამპიონ კაი კალონ“ ცხოვრების სურვილი; დ) სიყვარული.

საფოს მსოფლაღქმის სფეროს უკავშირდება მისი წარმოდგენა მშვენიერსა და მშვენიერებაზე და „მშვენიერისა და კარგის“ იმ ერთობლიობაზე, რომელიც შემდგომ გამოიხატა ტერმინით „კალოკაგათია“. „ბერძნულ ლიტერატურასა და ფილოსოფიაში მეტად გავრცელებული „კალოკაგათიას“ პრობლემა სწორედ საფოს პოეზიიდან იღებს დასაბამს.

როგორი იყო „კალოკაგათიის“ იდეის მიხედვით აღზრდილთა პრაქტიკული მოღვაწეობის შედეგები?

აღზრდაში მოზარდი თაობის ჰარმონიული განვითარების იდეამ ოპტიმალურად განხორციელება ჰპოვა ანტიკური საბერძნეთის დემოკრატიის აყვავების დროს, რაც განსაკუთრებით პერიკლეს მოღვაწეობას ემთხვევა. ამ დროს ათენელმა ბერძნებმა შექმნეს შედევრები ყველა მიმართულებით: არქიტექტურაში, სკულპტურაში, სახვით ხელოვნებაში, პოე-

ზიაში, მხატვრულ ლიტერატურაში, ფილოსოფიასა და მეცნიერების მრავალ დარგში.

როგორც პლუტარქე წერს, პერიკლე თავის ხალხს ასე მოძღვრავდა: „როცა სახელმწიფო საკმაოდაა აღჭურვილი ომისათვის საჭირო აუცილებელი სახსრებით, მისი ქონება იმ საქმეთაც უნდა მოხმარდეს, რომელთა აღსრულება საუკუნო სახელს მოუხვეჭს და რომელთა კეთება მაშინვე ქმნის კეთილდღეობას. თავს იჩენს მრავალგვარი სამუშაო და ნაირ-ნაირი საჭიროება, რომელიც ხელოსნობის ყოველ დარგს აღვიძებს, ყოველ ხელს ამოძრავებს, თითქმის მთელი სახელმწიფოს შემოსავალს ქმნის და ამის წყალობით კიდეც ირთვება და კიდეც იკვებება... (პერიკლემ) ხალხს შესთავაზა დიად მშენებლობათა გეგმა, რომლის ხორცშესასხმელი პირობა მრავალგვარი ხელობის ხანგრძლივი გამოყენება იყო...

ყველაზე საოცარი გმირში საქმის შესრულების სისწრაფე გახლდათ... სწორედ ამიტომაა კარგად რომ გვაოცებს მცირე დროში, მაგრამ ხანგრძლივი არსებობისათვის შექმნილი პერიკლეს ნაგებობანი. ყოველი ნაგებობა იმთავითვე ძველებური სილამაზისა გახლდათ, მაგრამ მშვენებითა და სიდიადით ისინი დღემდე ინარჩუნებენ სინორჩეს, თითქოს ახლახანს აუშენებიათო. დროისაგან ხელშეუხებელი ისეთი იერი აქვთ და მუდამ რაღაც ისეთი სიახლით ხასხასებენ, თითქოს ძალუმი სუნთქვა და უბერებელი სული იყოს შერწყმული მათში“.

ანტიკური ისტორიის სახელმძღვანელოებსა თუ დამხმარე სახელმძღვანელოებში ვკითხულობთ: „თვითონ პერიკლე და მისი გარემომცველი განათლებული მეგობრების ჯგუფი მიისწრაფოდნენ – გადაექციათ ქ. ათენი მაშინდელი სამყა-

როს კულტურის ცენტრად. პერიკლეს დროს გაზრდილმა და გამშვენიერებულმა ქ. ათენის ბრძყინვალებამ დაჩრდილა საბერძნეთის ყველა სხვა ქალაქი.

ფილოსოფოსები, მწერლები, მეცნიერები, მხატვრები და ა.შ., – ყველა მიეშურება ათენისაკენ და იქ პოულობდნენ თავიანთი მოღვაწეობისათვის ფართე არენას. ჰეროდოტე, სოფისტები პროტაგორა და გორგია და ელინური სამყაროს მრავალი სხვა სახელგანთქმული პირი ნამყოფი იყო ათენში“.

როგორც ვიცით, მოზარდი თაობის აღზრდის ზემოაღნიშნული კლასიკურ-ბერძნული პრაქტიკული გამოცდილება, რომაულთან ერთად, პირველად კვინტილიანემ (42-118 ახ. წ.). შექმნა დიდებული პედაგოგიური შრომა 12 წიგნად. ამ დიდებულ ნაშრომს ლათინურად ჰქვია „ინსტიტუციო ორატორია“, რასაც ასე თარგმნიან: „ორატორული განათლება“; „ორატორის აღზრდა“... (ყველა სახელმძღვანელოსა და დამხმარე სახელმძღვანელოში პედაგოგიკის თეორიასა თუ ისტორიაში). ასეთი თარგმანი არ უნდა იყოს სწორი, რადგან ამ ნაშრომში მ. ფ. კვინტილიანეს მიერ წარმოდგენილი აღზრდის მიზანი ვერაგზით ვერ მოთავსდება „მჭერმეტყველის“, „სიტყვაკაზმული მთქმელის“ შედარებით ვიწრო საზღვრებში.

აღნიშნული ლათინური სახელწოდების შედარებით სწორი თარგმანი მოცემულია „პედაგოგიურ ლექსიკონში“, „ორატორის დარიგებანი“. უაღრესად განათლებული, განსწავლული კვინტილიანე ასევე თავმდაბალი და მოკრძალებულია ფართო მკითხველთა წინაშე.

კვინტილიანე თავის ზემოხსენებულ ნაშრომში აღზრდის მიზნად სახავს „ბერძენი რომაელის მომზადებას. ამისა-

თვის მას საკმარის ნიმუშად არ მიაჩნია არც ციცერონი, დემოსთენე და არც ცეზარი, თუმცა სამივე ბრწყინვალე ორატორები იყვნენ. კვინტილიანე თვლის, რომ რომის იმპერიის სასწავლო-აღმზრდელობითმა დაწესებულებებმა უნდა ცხოვრებისათვის მოამზადონ ისეთი „ბრძენი რომაელი“, როგორიც იყო საბერძნეთისათვის პერიკლე:

პერიკლეს გონებრივი განვითარება-განათლება უფრო ფართო იყო. პერიკლეს დროინდელ ათენში შრომა იყო ქვეყნის სიმდიდრის ძირითადი წყარო. დაუსაქმებელი არ შეიძლება ვინმე ყოფილიყო და ამაზე უწინარეს ყოვლისა ზრუნავდა თვით პერიკლე: დაუსაქმებელთ ქვეყნის გარედ აგზავნიდა და კოლონიებად ჩაასახლებდა ხოლმე მოხერხებულ და ცხოვრებისათვის ხელსაყრელი პირობების მქონე ადგილებზე, ეხმარებოდა და მხარს უჭერდა მათ.

პერიკლეს მჭევრმეტყველების მსმენელებზე, ხალხზე დიდი ზეგავლენის „მიზეზი უბრალოდ სიტყვის ძალა კი არ გახლდათ, არამედ... პერიკლეს ცხოვრების სიდიადე და ამ კაცისადმი უანგარო ნდობა. ყველასათვის ცხადზე ცხადი იყო მისი უანგარობა და მოუსყიდაობა“. პერიკლე „მრავალ ღარიბ კაცს შემწეობას უჩენდა“. „ოლიმპიელს ეძახდნენ ესოდენ სათნო ხასიათის კაცს, რომლის ცხოვრება სახელისუფლო ძლიერებაშიაც წმინდა და შეუბღალავი დარჩა“ და ა.შ.

მაღალი იყო პერიკლეს ესთეტიკური გემოვნება, ის ზრდიდა ხალხს მშვენიერების იმ გაგებით, რაც იგულისხმებოდა ტერმინში – „კალოკაგათია“, რაზედაც გვქონდა საუბარი ზემოთ. ათენში ხელოვნების ყველა დარგი ვითარდებოდა პერიკლეს მხარდაჭერითა და ზრუნვით. პერიკლემ „ხმის მიცემით შემოიღო პირველად მუსიკალური შეჯიბრებების

გამართვა პანათენურ დღეობებზე... მაშინ და მომდევნო ხანებშიც ოდეონში განუწყვეტლივ იმართებოდა მუსიკალური შეჯიბრებები“.

როგორც ვიცით, პერიკლეს დროს ათენურ სკოლებში ფიზიკური აღზრდა ისეთ დონეზე იყო, რომ ათენელები ამ მხრივ არ ჩამოუვარდებოდნენ და ხშირად სჯობნიდნენ კიდეც სპარტელებს, რაც არაერთხელ დაამტკიცეს პერიკლეს ხელმძღვანელობით. თავად პერიკლე ამ მხრივ „სრულიად უზადო გახლდათ“, „ლაშქრობათა ჟამს მამაცი ვაჟკაცი იყო და საფრთხეს არ გაურბოდა“...

როგორც ვხედავთ, აღზრდის შემადგენელი ყველა კომპონენტია აქ წარმოდგენილი: გონებრივი, ზნეობრივი, ესთეტიკური და ფიზიკური, რომელთა ერთდროულმა პრაქტიკულმა განხორციელებამ უნდა უზრუნველყოს ჰარმონიული, ყოველმხრივი განვითარება.

მ. ფ. კვინტილიანე აღზრდის ერთიანი პროცესის ამ აუცილებელ და ერთმანეთისაგან განუყოფელ კომპონენტებს (ერთი მათგანის უგულებელყოფა ან შეუფასებლობა აღზრდას საბოლოოდ მიცემს ცალმხრივ, მაშასადამე, მცდარ მიმართულებას) ასე გამოკვეთილად და თანმიმდევრობით კარგადაა წარმოდგენილი პერიკლეს თვისებებში, ხოლო თავისუფალი რომაელი მოქალაქე იმთავითვე აღზრდას ბერძნული ენის დაცულობით იწყებდა, კვინტილიანეს დროინდელი რომის იმპერიის თავისუფალი მოქალაქეები თეორიული საკითხებით დაინტერესებულნი უშუალოდ ბერძნული წყაროებიდან იცნობდნენ.

აღზრდის არსის, მისი შემადგენელი კომპონენტების კვინტილიანესეული გაგების საილუსტრაციოდ ამონაწერები

პერიკლეზე გავაკეთეთ უმთავრესად პლუტარქეს „რჩეული ბიოგრაფიებიდან“. ცხადია, გაცილებით მეტი რაოდენობის ფაქტების მოტანა შეიძლებოდა, მაგრამ მოტანილი ამონაწერებიც, ვფიქრობთ, საილუსტრაციოდ საკმარისია.

გლობალიზაცია და დემოკრატია

შეიძლება ბევრი ვისაუბროთ თვითმყოფადობის შერჩევაზე, კერძოდ, თანასწორობის და სამართლიანობის განაწილების პრობლემებზე, რომლებსაც აუცილებლად შევეჩეხებით ინდივიდის იდენტიფიკაციის პროცესზე კულტურული ჩართვის და კულტურული მრავალფეროვნების ზეგავლენის გამოკვლევის პროცესში.

უამრავი ადამიანი შეშფოთებულია ამჟამინდელ გლობალიზირებულ სამყაროში, დასავლური კულტურის, განსაკუთრებით მოხმარების კულტის, ძლიერი ზეგავლენის წინაშე კულტურული თავისუფლების გარანტიებზე ფიქრით. ხშირად სახელდება სრულიად დამარწმუნებელი (დამაჯერებელი) არგუმენტი იმის შესახებ, რომ თანამედროვე სამყაროში ცხოვრების წესის შერჩევის თავისუფლება სინამდვილეში არ ნიშნავს თავისუფალი არჩევანის რეალურ შესაძლებლობას. ასევე საეჭვოა, შეუძლიათ თუ არა ნაკლებ გავლენიან ცივილიზაციებს გაუწიონ წინააღმდეგობა დასავლურ ზეგავლენას. უეჭველია, რომ ეს შეშფოთება საყურადღებოა, განსაკუთრებით, რადგან ადგილობრივი კულტურული ტრადიციები აშკარად დაუცველნი არიან, რადგან იმყოფებიან ასეთი გამაყრუებელი დასავლური ზეგავლენის ქვეშ.

აქ ინტერესს წარმოადგენს სულ მცირე ორი საკითხი. პირველი, არსებობს საბაზარო კულტურის ძალაუფლება და ძალა, რომელიც წარმოადგენს იმ მოდელის განუყრელ ნაწილს და ფორმას, რომელსაც იღებს სულ უფრო და უფრო ეკონომიკური გლობალიზაციის პროცესი. ისინი, ვისაც ბა-

ზარზე ორიენტირებული კულტურის ფასეულობები და უპირატესობები ვულგარულად და ღარიბად ეჩვენება, თვლიან, რომ ეკონომიკური გლობალიზაცია თავისთავად სრულიად მიუღებელია. ამასთანავე ისინი ხშირად განიხილავენ გლობალიზაციას თავისუფალი ბაზრის ბაზაზე როგორც შეუკავებელ პროცესს, საბაზრო ეკონომიკის შეღწევადი ძალის და სიმძლავრის გათვალისწინებით, ასევე რესურსების უდიდესი მოცულობის გათვალისწინებით, რომლებიც მას შეუძლია ჩართოს ქვეყნის გარდაქმნაში.

მეორე პრობლემა ეხება დასავლეთს და სხვა ქვეყნებს შორის ძალაუფლების ასიმეტრიას, ასევე იმის ალბათობას, რომ მას შეუძლია გადაიზარდოს ადგილობრივი კულტურული ტრადიციების, პოეზიის, დრამატურგიის, მუსიკის, ცეკვის ხელოვნების, კულინარული ჩვეულებების (ადათის) ნგრევაში.

უეჭველია, რომ მსგავსი საშიშროება არსებობს და მისგან თავის დაღწევა ძნელია. არ ღირს თავის მოტყუება იმით, რომ პრობლემის გადაწყვეტა თითქოს და შეიცავს ვაჭრობის და გაცვლა-გამოცვლის გლობალიზაციის შეწყვეტას, – სინამდვილეში, საერთაშორისო ვაჭრობას შეუძლია მოგვიტანოს ისეთი ეკონომიკური უპირატესობები, რომლებსაც ძალიან უფრთხილდება უამრავი ქვეყანა. ასევე თანამედროვე ურთიერთდამოკიდებულ სამყაროში პრაქტიკულად შეუძლებელია დაუპირისპირდე ეკონომიკური გაცვლა-გამოცვლის და შრომის გაყოფის ძალას.

მიუხედავად ამისა, პრობლემის გადაწყვეტის სრულიად მისაღებ ფორმად შესაძლებელია გადაიქცეს კონსტრუქციული შესაძლებლობების გაძლიერება და სტიმულირება, რაც

ახასიათებს ადგილობრივ კულტურულ ტრადიციებს, მათი დაცვის და კულტურული თავდასხმის გარე ძალებთან დაპირისპირების მიზნით. თუ იმპორტული პროდუქცია დომინირებს რადიოეთერის ტალღებზე, ტელეპროგრამებში და ა.შ., მაშინ, უეჭველია, რომ დაპირისპირების პოლიტიკამ უნდა გამოიყენოს ისეთი შესაძლებლობები, რომლებიც დაეხმარებიან ადგილობრივ კულტურას მისი მიღწევების პრეზენტაციაში როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ. ამასთან დაკავშირებული ხარჯები არ არის ისეთი დიდი, როგორც ჩვენ გვეჩვენება, იმიტომ რომ თანამედროვე სამყაროში კომუნიკაციის საშუალებები სულ უფრო იაფდება. ეს შესაძლებელია გამხდარიყო პოზიტიური პასუხი, ხშირად წარმოქმნილი ცდუნებისაგან განსხვავებით, რომ კანონმდებლობითი გადაწყვეტილებებით ან აღმსრულებელი ხელისუფლების დეკრეტებით საერთოდ აიკრძალოს უცხოური ზეგავლენა.

ადგილობრივი კულტირის რეალური მხარდაჭერა არა მარტო ხელს შეუწყობდა მის გამაგრებას, არამედ უზრუნველყოფდა კონკურენციის უფრო სამათლიან პირობებს.

აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს დემოკრატიას. ფუძემდებელ ფასეულობას უნდა წარმოადგენდეს გადაწყვეტილების მიღების ისეთი პროცესი, რომელიც განსაზღვრავს საზოგადოების ცხოვრებას და რომელშიც ადამიანებს ეძლევათ საშუალება მიიღონ მასში მონაწილეობა და რომელიც ეყრდნობა ღია განხილვას და ითვალისწინებს უმცირესობის აზრის გამოთქმის შესაძლებლობას. კულტურული თავისუფლების უზრუნველყოფისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს პოლიტიკური ჩართულობის უზრუნველყოფის

საკითხს. არ შეიძლება მიესწრაფებოდე დემოკრატიისაკენ და ერთდროულად უარი თქვა ცხოვრების განსაზღვრულ წესზე. დემოკრატიის ფასეულობა შედგება პოლიტიკური ხელისუფლების შესაბამისი დირექტივების გამოცემის გზით არჩევანის თავისუფლების შეზღუდვის დაუშვებლობაში, მიუხედავად იმისა, თვლის თუ არა ხელისუფლება, რომ ახალი საზოგადოებრივი ძლიერი მიდრეკილება შესაფერისია თუ არა. უამრავი დარგებიდან მხოლოდ ამ ერთში შეიძლება, რომ კულტურული თავისუფლება ეფექტურად დაემატოს პოლიტიკურ თავისუფლებას.

თვით დემოკრატიის იდეა როგორც წარმოსაჩენი საზოგადოებრივი დისკუსია წარმოიქმნა სხვადასხვა ცივილიზაციებში მსოფლიო ისტორიის სხვადასხვა პერიოდებში. VII საუკუნის დასაწყისში იაპონელი პრინცი-ბუდისტი სიოტოკუ, მისი დედის – იმპერატორ (ქალის) სუიკოს რეგენტმა, მიიღო საკმაოდ ლიბერალური კონსტრუქცია კემპო. კემპოში დამკვიდრდა ის, რომ მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტა არ უნდა ხდებოდეს ერთი ადამიანის მიერ. ისინი უნდა განიხილოს ბევრმა ადამიანმა. შემწყნარებლობის შესახებ მასში იყო ნათქვამი: „ჩვენ არ უნდა გვწყინდეს ის, რომ სხვებს გააჩნიათ ჩვენი მოსაზრებისაგან განსხვავებული მოსაზრება. ყველა ადამიანს აქვს გული, ხოლო ყველა გულს – თავისი მიდრეკილება. მათი სიმართლე ჩვენთვის – ცდომილებაა, ხოლო ჩვენი სიმართლე – მათთვის არის ცდომილება“.

მსოფლიოს სხვა ქვეყნებში, როგორც დასავლეთში, ასევე მის ფარგლებს გარეთ, ასევე შესაძლებელია საჯარო კამათის წახალისების მაგალითების პოვნა, ზოგჯერ კი ერთმანეთის-

გან განსხვავებული (საპირისპირო) აზრები. ეს მაგალითები დღესაც აქტუალურია, როდესაც განიხილება ტოლერანტული დემოკრატიის განხორციელების შესაძლებლობა.

მდიდრებსა და ღარიბებს, სხვადასხვა კლასების და პროფესიების წარმომადგენლებს, სხვადასხვა პოლიტიკური მრწამსის მომხრეებს, განსაზღვრული ეროვნების და ტერიტორიების წარმომადგენლებს, ენობრივი ჯგუფების და სხ. შორის ზღვარი არ არსებობს, ადამიანებს შორის სხვაობის განსაზღვრა ხდება ვითომ და ამ დახვეწილი ხერხის მეშვეობით. ამის გარდა, ის, ვინც გლობალური დაპირისპირების ან ლოკალური კონფლიქტის პროვოცირებას ახდენს, ცდილობს თვითმყოფადობის გრძნობა თავს მოახვიოს ხალხს, თითქოსდა დასაბამიდან ის აერთიანებდა და გამოყოფდა დანარჩენი სამყაროდან, ახდენდა მათ დაქირავებას, როგორც პოლიტიკური ძალადობის რიგით ჯარისკაცებს. ამასთანავე ისინი კიდევ იღებენ დაფარულ მხარდაჭერას თეორიისაგან, რომელიც ახდენს მსოფლიოში არსებულ ყველა ადამიანის დაყოფას ერთადერთი ნიშნით.

ინდივიდუმის მიერ ამა თუ იმ ჯგუფში გაერთიანების ან მისი თვითიდენტიფიკაციის ფორმის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაში, გასაკვირია არჩევანის როლის და გონიერების ეს უგულველყოფა! ადამიანების განსხვავების ერთადერთი და თითქოს და ჭარბი ხერხი, ცივილიზაციების განსხვავების კონცეფცია ხელს უწყობს მსოფლიო კონფლიქტის გამწვავებას. არჩევანის აღიარების უარყოფა იქ, სადაც ის ნამდვილად არსებობს – ეს უბრალოდ გარშემო არსებული სამყაროს არსის გაუგებრობაა. ეს – ეთიკური გადაცდომა და და-

ნაშაულებრივი დაუდევრობაა თავისი პოლიტიკური პასუხისმგებლობის მიმართ.

ჰუმანური და სამართლიანი საზოგადოების აშენების (ჩამოყალიბების) წინა პირობას წარმოადგენს საერთოდ ადამიანური თავისუფლებების მნიშვნელობის აღიარება და, კერძოდ, კულტურული თავისუფლების. ამისთვის საჭიროა ადამიანების შესაძლებლობების უზრუნველყოფა და ეტაპობრივი გაფართოება, რათა მათ შესძლონ თავისი ცხოვრების წესის განსაზღვრა და მისი ალტერნატიული ვარიანტების განხილვა. ასეთი არჩევანის პროცესში მნიშვნელოვანი როლი შესაძლებელია ითამაშოს კულტურული ხასიათის მოსაზრებებმა.

კულტურულ თავისუფლებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მინიჭება არ არის კულტურული მრავალფეროვნებისთვის ბრძოლის ტოლფასი. გასაგებია, რომ კულტურული მრავალფეროვნების გამომჟღავნება (გამოვლენა) შესაძლოა აღმოჩნდეს ძალზე მნიშვნელოვანი, რადგან მასზეა დამოკიდებული კულტურული თავისუფლების რეალიზაცია. მაგრამ ეს არ არის კულტურული მრავალფეროვნების დაცვის შესატყვისი. ბევრი რამ დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ რეალიზდება კულტურული მრავალფეროვნება და რამდენად შეუძლიათ ამ პროცესში მონაწილეებს მოახდინონ საკუთარი თავისუფლების რეალიზაცია. სერიოზული შეცდომა იქნებოდა კულტურული თავისუფლების მნიშვნელობის განხილვა არა იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ ხდება მისი განხორციელება. სინამდვილეში, არ უნდა შეფასდეს კულტურის მრავალფეოვნება, განსაკუთრებით ადამიანების განვითარების კონცეფციის ფარგლებში, მასთან და-

კავშირებული პროცესების და იმ როლის გათვალისწინებით, რომელსაც თამაშობენ ადამიანის თავისუფლებები გადაწყვეტილების მიღებაში.

კულტურული მრავალფეროვნების გაფართოვება შესაძლოა გახდეს კულტურული თავისუფლების ყველა ასპექტის რეალიზაციის შედეგი, მათ შორის ეთნიკური, სექსუალური ან სოციალური უმცირესობების მიერ რეალიზირებული. ამასთან დაკავშირებით, ჩნდება მნიშვნელოვანი საბაბი, რათა წახალისდეს კულტურული მრავალფეროვნების და ყველაფერი გაკეთდეს მისი შენარჩუნებისთვის. ამ თვალსაზრისით, მრავალფეროვნების ფასი გამომდინარეობს კულტურული თავისუფლებიდან, რომელიც საერთოდ მთლიანად შეესაბამება ადამიანის თავისუფლებების მნიშვნელობას.

საზოგადოების კულტურული მრავალფეროვნების წყალობით ყველა მის წევრს, მიუხედავად მისი წარმოშობისა, ეძლევა კულტურული არჩევანის ფართო სპექტრის გამოყენების საშუალება. ესეც საბოლოოდ დამოკიდებულია კულტურულ თავისუფლებაზე, მაგრამ ამ შემთხვევაში – კულტურული თავისუფლების რეალიზაციასთან შედარებით უფრო არაპირდაპირი, ვიდრე პირდაპირი შედეგი. კულტურული მრავალფეროვნება აქაც იმსახურებს მოწონებას: უშუალოდ მისი მეშვეობით ფართოვდება სოციალური ცხოვრების ფართო სპექტრი და ფართოვდება არჩევანის გაკეთების საშუალებები (შესაძლებლობები).

ზოგ შემთხვევაში, როდესაც კულტურული თავისუფლების განხორციელებამ შესაძლებელია მიგვიყვანოს კულტურული მრავალფეროვნების შემცირებამდე და არა გაფართოვებამდე. ეს ხდება მაშინ, როდესაც ადამიანები ეგუებიან

(ეწყობიან) სხვა ადამიანების ცხოვრების წესს და შეგნებულად აკეთებენ თავის არჩდევანს ამ მიმართულებით. ასეთ შემთხვევაში კულტურული თავისუფლების წინააღმდეგ გამოსვლა იქნებოდა უხეში შეცდომა იმის საფუძველზე, რომ მას მივყავართ კულტურული მრავალფეროვნების შემცირებამდე, რადგან აქ თავისუფლება თავის თავად, მრავალფეროვნებისგან განსხვავებით, ფლობს განუყოფელ შინაგან ფასეულობას.

ეს ყველაფერი ერთად აღებული თავისუფლების პოზიციიდან წარმოადგენს კულტურული მრავალფეროვნების დაცვის შემადგენელ ნაწილს.

წილი ნაყარია – დასავლეთი

საქართველოს მიმართ აგრესიული ქმედებები რუსეთის მხრიდან, საკმაოდ შორეული წარსულიდან იღებს სათავეს, თუმცა თანამედროვე რუსეთი ყველაზე მეტად, თითქმის საუკუნის წინ დაწყებული პოლიტიკის ერთგული რჩება.

დღეს საქართველო თავისი ბედკრული ისტორიის ერთ-ერთ ურთულეს პერიოდში იმყოფება. ერთი მხრივ, განხორციელდა ქართველი ერის სანუკვარი ოცნება – აღდგა ქვეყნის დამოუკიდებლობა, მეორე მხრივ, ვერ მოხერხდა ამ ფაქტის რეალური განხორციელება. რუსეთის საოკუპაციო ჯარის მიერ დროებით დარღვეულია ტერიტორიული მთლიანობა. მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებს იძულებით გადაადგილებულთა სიმრავლე.

დღევანდელი გადასახედიდან საქართველო მდებარეობს არა მხოლოდ გეოგრაფიულად – დედამიწის ოთხივე მხრის გზაჯვარედინზე – არამედ, გზაჯვარედინზე ქრონოლოგიური თვალთახედვითაც – ძველ ტოტალიტარულ და ახალ დემოკრატიულ სამყაროს შორის.

ორივე ეს გზაჯვარედინი ამავე დროს ერთმანეთთან არის გადახლართული: ამიერკავკასიის ჩრდილოეთითა და აღმოსავლეთით, ჯერ ისევ არიან ტოტალიტარული ქვეყნები, ხოლო დასავლეთით დემოკრატიულ გარდაქმნების გზაზე მდგომნი. სწორედ საქართველოს ოდინდელი მდგომარეობა იყო ძირითადი მიზეზი მასზე ბარბაროსული საზოგადოებიდან მომდინარე მუდმივი თავდასხმები.

დღეს პრორუსული გადახრა ფაქტიურად ნიშნავს საქართველოს ძველ ტოტალიტარულ სამყაროში უკან გამობრუნებას, სახელმწიფოებრიობის შენების გზიდან აცდენას და რუსეთის მადააღძრული „ხახის“ მიერ საბოლოო შთანთქმას, რაც რუსეთის პოლიტიკური წრეების საუკუნოვანი ზმანებაა.

რაც შეეხება გლობალიზაციის პროცესს, მასთან დაპირისპირება ქარის წისქვილთან ბრძოლას თუ შეედრება, რომელთა სასიკეთო დანიშნულებისამებრ გამოყენება აჯობებდა.

როგორც პროფესორი გიორგი ქავთარაძე აღნიშნავს: „გლობალიზაციური“ სახის პროცესმა – ელინიზმმა განაპირობა ამჟამად არსებული ქართული სახელმწიფოებრიობის წარმოქმნის დაჩქარება, ხოლო უმნიშვნელოვანესი მსოფლიო მოვლენის – ქრისტიანობის საქართველოში შემოსვლამ, ჩამოაყალიბა ქართული კულტურა, მენტალიტეტი და მნიშვნელოვნად განაპირობა ქვეყნის ისტორიული ბედი და მომავალი. ამავე დროს მრავალი ქვეყანა, ვინც ვერ შესძლო შეგუება დროის მოთხოვნებთან, „აღიგავა პირისაგან მიწისა“.

რუსეთს, რა თქმა უნდა, ხელს აძლევს ისეთივე არადემოკრატიული, კორუმპირებული და ოლიგარქული ნომენკლატურის მქონე გარემოს აღორძინება, როგორიც თვით რუსეთშია; ამისათვის რუსეთს წინაპირობად საქართველოს გარე სამყაროდან იზოლირება ესაჭიროება, ამიტომ მათი სპეცსამსახურები ცდილობენ გლობალიზაციის „მავნე“ პროცესებისაგან ჩვენს ერთადერთ გადამრჩენლად წარმოგვიდგნენ. თუ ჩვენ ყველა ფხიზლად არ ვიქნებით, ისეთივე მდგომარეობაში აღმოვჩნდებით, როგორც XX საუკუნის პირველ ნახევარში დაგვემართა, როდესაც ერი და ქვეყანა ხელიდან

გვეცლებოდა, ქართველი სოციალისტები კი მსოფლიო რევოლუციის ბედზე ზრუნავდნენ.

მსოფლიო საზოგადოების თვალში საქართველოსთან ამჟამინდელი დაპირისპირება რუსეთისათვის წამგებიანია. ეს არ არის მხოლოდ დიდი და პატარა ქვეყნის კონფლიქტი. იგი სულ უფრო იღებს იმპერიული აზროვნების განხორციელების ხასიათს დემოკრატიული გარდაქმნების გზაზე მდგომი ქვეყნის წინააღმდეგ. ასეთი პოზიცია საქართველოს განუზომლად დიდ მორალურ უპირატესობას ანიჭებს და მსოფლიო თანამეგობრობის მხარდაჭერას ჰპოვებს.

რუსეთს არა იმდენად აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის შთანთქმა და სრული გაკონტროლება ესაჭიროება, არამედ საქართველოს მსოფლიო თვალში როგორც არშემდგარ სახელმწიფოდ წარმოჩენა, თუ არა დასავლეთის, პირველ რიგში შეერთებული შტატების დახმარება, თბილისი უკვე დიდი ხანია იქნებოდა რუსეთის გენერალიტეტის მსხვერპლი.

პროფესორი გიორგი ქავთარაძე აღნიშნავს: გაკვირვების გარდა, არაფერს იწვევს ზოგიერთ ჩვენს ვითომ „პარტიულ“ წრეებში გავრცელებული გამოთქმა, რომ „ოსმანა და ალია, ორივე თათარია“, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენი ეროვნულობისა და თავისუფლების შესანარჩუნებლად, ორივემ რუსეთმაც და ამერიკამაც, თავი უნდა დაგვანებონ. თითქოს ამერიკაც რუსეთის მსგავსად შემოჭრილია ჩვენს ქვეყანაში, მოწყობილი აქვს სამხედრო ბაზები, სადაც განლაგებული ჰყავს ფაქტობრივად საოკუპაციო ჯარი, ხოლო „ჩვენგანვე მიტაცებული რეგიონები“ დაცული აქვს ვითომდა თავისი „მშვიდობისმყოფლებით“ და ამასთანავე ტოტალური ძირგამომთხრე-

ლი საქმიანობით დღენიადაგ ჩვენს დაქცევას და ამოძირკვას ცდილობს, თითქოს ჩვენ მათგან ორივესაგან (ოსმანასა და ალიასაგან) ჩვენი სამშობლო განთავისუფლებას უნდა ვეს-წრაფვოდეთ. რაც ყველაზე უფრო საინტერესოა, ეს გამოთქმა თითქმის ყოველთვის მხოლოდ ამერიკელების მიმართ არის ნათქვამი, როგორც ჩანს „მთქმელები“ იმედოვნებენ, რომ „ოსმანა“ (ანუ პირობითი ამერიკა) წავა „თავის სახლში“ ანუ საბოლოოდ ზურგს შეგვაქცევს და ალიას (ანუ პირობითად რუსეთი) დარჩება „ბურთი და მოედანი“.

ეს გაკვეთილი „ნეიტრალიტეტობანას“ თამაში უკვე ჩაგ-ვიტარეს 1920 წელს, როდესაც ე.წ. ინგლისელი იმპერიალის-ტები განვდევნეთ და ამის შემდეგ მხოლოდ ნახევარი წელი გავძელით, როგორც დამოუკიდებელმა სახელმწიფომ. ამის შემდეგ საქართველოში სისხლის გუბეები დადგა.

როგორც ჩანს, რუსეთის მმართველ წრეებს ჯერ ისევ ეიმედებათ საქართველოში მომხრეების გამოჩენა, მაგრამ „ორჯონიკიძის სინდრომი“ ქვეყანაში არსებითად დაძლეუ-ლია. დღეს პუტინის რუსეთის რეიტინგი იმდენად დაბალია ჩვენში, რომ ძნელად თუ დავიჯერებდით რომელიმე მოღა-ლატე გაბედავდა მისი მიმდევრისა და ამდენად საკუთარი ქვეყნის აშკარა მოღალატის იარლიყით იაროს, თუმც თითო-ორ-ორი ხელაღებული მაინც მოიძებნა, რომელიც მუდმივად ეწევა თვითლუსტრაციას, რაც იმავე დროს, სამწუხაროდ, ლუსტრაციის ერთადერთ საშუალებას წარმოადგენს ჩვენს ქვეყანაში.

აქვე გთავაზობთ შალვა ნუცუბიძის წარმოთქმულ სიტყ-ვას პარლამენტის სხდომაზე, გამოქვეყნებულს 1921 წლის 17

თებერვალს ჟურნალ „სახალხო საქმეში“. 1921 წლის 23 თებერვალს კი, რაც მოხდა, მკითხველმა თავად იცის.

„... დღეს უნდა ჩაიგოს ქარქაშში პარტიული ხმალი, ვინაიდან ამას გვაიძულებს მდგომარეობა.. ისე, როგორც წარსულში, როდესაც საქართველოს საფრთხე დაუდგებოდა – საქართველოში არ არსებობს პარტიული სხვადასხვაობა, არ არსებობს პარტიული ბრძოლა, არც ერთი მეორეზე ხმლით მისვლა, საქართველოში არსებობს ერთი – საქართველოსთვის თავდადებულ მამულიშვილთა პარტია... როდესაც დავინახავთ ამ მთლიანობის სურვილს, მაშინ მთელ ჩვენ ენერგიას, უნარს, ფიზიკურს და გონებრივს, მივიტანთ სამშობლოს სამსხვერპლოზე. და თუ საქართველოს ხსნა უწერია – და ამაში დარწმუნებული ვართ, – ეს არის მხოლოდ ამ ერთსულოვნების გზით და ასეც მოხდება... რევოლუცია დღემდე ყველას ესმოდა ისე, რომ ეს იყო შინაურ ძალთა ჭიდილი, აჯანყება, აფეთქება, მაგრამ რევოლუცია, რომელიც გარეშე მოსულს შემოაქვს, შემოტანილი რევოლუცია – არასოდეს რევოლუცია არ არის – ის არის ყველგან და ყოველთვის დაპყრობა... პირწავარდნილი დაპყრობა სოციალისტურ ქურქში გახვეულ იმპერიალიზმისა... გარედან შემოსული ძალა ჩვენ ჩაგვაგდებინებს ქარქაშში პარტიულ ხმალს და ამოგვაღებინებს ქარქაშიდან თავდაცვის ხმალს... ჩვენ არ მოვწონვართ ორჯონიკიძეს და ეს იმიტომ, რომ ჩვენ ვრჩებით ძვირფას თვლად მთელ ამიერკავკასიაში...

ჩვენს ისტორიულ ბედს ვერავინ შეცვლის, ისე როგორც მზის ამოსავლას აღმოსავლეთით, ვერავინ გააუქმებს იმ გარემოებას, რომ იალბუზის ყინვით ნაკვეთი თავი მომავალშიც მზის სხივებს გაღიმებული შეეგებება და მისი ასხივოს-

ნებული თავი, ჩვენი დიდების გვირგვინად გაშლილი არა ერთსა და ორს მოშურნე მტერს აუჭრელებს თვალს სიხარბით დამთვრალს, მის ფერდობზე და კალთებზე კი ქართველი ერი მომავალშიც განაგრძობს ეკონომიკურ და პოლიტიკურ შემოქმედებას.“

„26 მაისი – რევოლუციური აქტია“

პირველმა მსოფლიო ომმა ცვლილებები დააჩქარა. ამ ცვლილებათაგან ზოგი საქართველოსთვის სასიკეთო იყო, ზოგიც საზიანო და საშიში. განსაკუთრებით დიდი ძვრებით აღინიშნებდა ეს ეპოქა რუსეთის, ავსტრია-უნგრეთის, ოსმალთა და გერმანიის იმპერიებისათვის. ეს იმპერიები კიდევაც შეეწირნენ ამ ომს.

რუსეთის იმპერიის ნგრევის და ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შედეგად საქართველოდან სასწრაფოდ გაიწვიეს რუსული საჯარისო შენაერთები, რომლებიც გარკვეულწილად შემაბრკოლებელ პირობებს ქმნიდნენ გარეშე მტრულად განწყობილი ქვეყნების შემოსევისათვის. გარს შემორტყმულ დამპყრობელთაგან ასეთი ქმედებით ბრძოლებისაგან დასუსტებული საქართველო პირისპირ დარჩა.

მოკავშირე სახელმწიფოების რჩევით საქართველომ 1921 წლის მაისში აღადგინა დამოუკიდებლობა და გახდა თავისუფალი ქვეყანა. ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენა, ანუ საქართველოს დამოუკიდებლობა შემთხვევითი მოვლენა არ იყო, იმდროინდელი პოლიტიკური ვითარება სხვა არაფერს მოასწავებდა. დამოუკიდებელი საქართველოს სათავეში მენშევიკები მოექცნენ.

მიუხედავად იმისა, რომ მათი ეროვნული თეორია მიუღებელი არ იყო იმდროინდელი საქართველოსათვის, რიგ საკითხებში მოუმზადებლობისა და გაუთვალისწინებლობის გამო მათი მოღვაწეობა ხანმოკლე აღმოჩნდა და საქართველო

კვლავ დამონებულ და რუსეთზე დამოკიდებულ ქვეყნად იქცა.

გერმანელებმა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე მიაღწიეს თურქეთის არმიის შეტევის შეჩერებას საქართველოს წინააღმდეგ.

გერმანელები შეეცადნენ, დაეყოლიებინათ რუსეთი, არ შეწინაღმდეგებოდა გერმანიის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობას.

პირველ მსოფლიო ომში გერმანიის დამარცხებამ, ასევე ერთა ლიგაში 1920 წლის 16 დეკემბერს გამართულ კენჭისყრისას საქართველოს მიღებაზე უარის თქმამ რუსეთს ხელფეხი გაუხსნა და ომის გამოუცხადებლად თავს დაესხა საქართველოს.

უთანასწორო ბრძოლაში, მეხუთე კოლონის დახმარებით თბილისზე 1923 წლის 25 თებერვალს წითელი დროშა აფრიალეს.

„მტრის მიერ დაპყრობილი თბილისი ნაღვლიანი გამოიყურებოდა რუსეთის ჯარის შემოსვლით. დედაქალაქი სამარისებული სიჩუმით შეხვდა, მათთვის წინააღმდეგობა არ გაუწევიათ“. მომხდარის გამო ერთა ლიგამ ამაო პროტესტი გამოთქვა.

მამულიშვილები, რომლებმაც თავი დადეს თავისუფლებისათვის ბრძოლაში მარადიული დიდებისა და თაყვანისცემის სანაცვლოდ ჯერ საძმო სასაფლაოს მიაბარეს და შემდეგ კი გულზე იმ მთავრობის სასახლე დაადგეს, რომლის წინააღმდეგ ბრძოლასაც შესწირეს თავი.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის ხანმოკლე მონაკვეთი, 1918 წლის 26 მაისიდან 1921 წლის

25 თებერვლამდე, სახელმწიფოებრივი ტრადიციის აღდგენის გარდა, ქვეყნისთვის იმითაც იყო უაღრესად მნიშვნელოვანი, რომ სწორედ ამ სამმა წელმა იხსნა ქვეყანა იმ ქაოსისა და ნგრევისაგან, რაც სამოქალაქო ომმა დაატეხა რუსეთს. ადვილი წარმოსადგენია რა მდგომარეობაში ჩავარდებოდა საქართველო, თუ მონაწილეობას მიიღებდა „თეთრებისა“ და „წითლების” ურთიერთანგარიშსწორებაში.

საქართველოს ოკუპაციის შემდეგ ქართული ეროვნული ძალების ნაწილმა სცადა „ბოლშევიკებთან“ თანამშრომლობა, ისინი მაინცდაამაინც დიდ სხვაობას ვერ ხედავდნენ „მენშევიკებსა“ და „ბოლშევიკებს“ შორის.

აქვე გთავაზობთ შალვა ნუცუბიძის მოსაზრებას გამოქვეყნებულს 1921 წლის 5 მაისს „სახალხო საქმეში“.

„26 მაისი რევოლუციური აქტია. ის ქართველი ერის სულთქმაა და ვინც 26 მაისის წარყვნას მოისურვებს, მან უნდა შესძლოს ქართველი ხალხის სულიერი წარყვნა.

მენშევიკები წინააღმდეგნი იყვნენ 26 მაისის აქტის, მაგრამ მათ ვერ შესძლეს ქართველი ხალხის სულის თქმის დახშობა და მიუხედავად მათი წინააღმდეგობისა, ქართველმა ხალხმა 26 მაისს თავისუფლად ამოისუნთქა.

მართალია, მენშევიკები შემდეგ დაეპატრონენ 26 მაისს, მაგრამ ეს მათ თავის საქმედ არ მიაჩნდათ, ისინი ამას იძულებით მიღებულ საქმედ სთვლიდნენ. მათი მიზანი ნათელი იყო – ამ გზით სურდათ ქართველი ხალხის სულს დაპატრონებოდნენ, მენშევიკებმა მიზანს მიაღწიეს. 26 მაისის აქტზე ჩაბღაუჭებით ისინი თუ სავსებით ვერ დაეპატრონენ ქართველი ხალხის სულს, მისი კონტროლიორები მაინც გახდნენ...

დღევანდელი პოლიტიკური ცხოვრება ქართველი ხალხისა, მენშევიზმ-ბოლშევიზმის შეტაკების ლიკვიდაციის ხანაა. აქვს ბრძოლასთან რაიმე კავშირი 26 მაისის აქტს? რა თქმა უნდა არა. დღეს ბოლშევიზმმა მენშევიზმი დასცა საქართველოში, ეცემა ამით 26 მაისის აქტი? სრულიადაც არა. მენშევიზმი იყო 26 მაისის აქტზე ამოსული სოკო. ბრძოლაში ეს სოკო მოგჯა, მაგრამ ალვის ხე ქართველ ხალხის ეროვნული სხეულისა ამით არ წაქცეულა, იგი ძველებურად ტანწერწეტად სდგას და მომავალში კიდევ უფრო უნდა ამაღლდეს... ვინც არ უნდა იყოს საქართველოში ხელისუფალი, ქართველ ხალხს მაინც აქვს უფლება, საღვთო უფლება, 26 მაისის დღესასწაულისა და წელს კიდევ უფრო ბუმბერაზი, კიდევ უფრო გრანდიოზული იქნება ქართველი ერის ოლიმპიური ზეიმი".

პირველი მსოფლიო ომი და საქართველოს დამოუკიდებლობა

პირველმა მსოფლიო ომმა დააჩქარა მოვლენები, რომლებიც განპირობებული იყო მსოფლიო ისტორიული განვითარების კანონზომიერებით. ამ ცვლილებათაგან ზოგი საქართველოსთვის სასიკეთო იყო, ზოგიც საზიანო და საშიშიც.

განსაკუთრებულად დიდი ძვრებით აღინიშნებოდა ეს ეპოქა რუსეთის, ავსტრია-უნგრეთის, ოსმალთა და გერმანიის იმპერიებისთვის – ეს იმპერიები კიდევაც შეეწირნენ ამ ომს.

პირველ მსოფლიო ომში საქართველომ გაგზავნა 320 ათასი მებრძოლი, მაშინ როდესაც რუსეთის იმპერიაში თავისი ხვედრითი წილისა და მობილიზაციის მასშტაბების გათვალისწინებით უნდა გაეგზავნა 160 ათასი, ანუ ორჯერ ნაკლები. 160 ათასზე მეტი დაეცა ბრძოლის ველზე. 1921 წლის თებერვალში რუსეთის თბილისზე თავდასხმის დროს საჭირო ძალის შეკრება გაჭირდა. მეორე მსოფლიო ომში საქართველოდან 750 ათასამდე მებრძოლი წავიდა ფრონტზე. 350 ათასი დაიღუპა, მნიშვნელოვანი რაოდენობა დაინვალიდდა. დამაფიქრებელი ფაქტია, ანალიზი თქვენთვის მომინდვია!!

განსაკუთრებით აღსანიშნავია 1917 წლის ოქტომბრის რევოლუცია, რომელმაც რუსეთში მონარქია დაამხო. რუსეთის იმპერიის ნგრევით და ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შედეგად საქართველოდან თავიანთი საჭიროებისთ-

ვის სასწრაფოდ გაიწვიეს რუსული საჯარისო შენაერთები, რომლებიც გარკვეულწილად შემაბრკოლებელ პირობებს ქმნიდნენ მეზობელი მტრულად განწყობილი ქვეყნების შემოსევებისაგან, რის შემდგომ გარს შემორტყმულ დამპყრობლებთან ომით დასუსტებული საქართველო პირისპირ დარჩა, რაც მას კატასტროფას უქადდა.

მოკავშირე სახელმწიფოების რჩევით და დახმარებით საქართველომ 1921 წლის 26 მაისს აღადგინა დამოუკიდებლობა და გახდა თავისუფალი დამოუკიდებელი ქვეყანა.

ეროვნული სახელმწიფოების აღდგენა, ანუ სახელმწიფოს დამოუკიდებლობა შემთხვევითი მოვლენა არ იყო იმდროინდელი პოლიტიკური ვითარება სხვა არაფერს მოასწავებდა.

დამოუკიდებელი საქართველოს მართვის სადავეები მენშევიკების ხელში მოექცა. საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნების შემდგომ გარკვეული რაოდენობის მანდატების მოპოვება სხვა პარტიებმაც შეძლეს. სოციალ-დემოკრატებმა „მენშევიკებმა“ გაიყვანეს 109 დეპუტატი, სოციალ-ფედერალისტება – 8, ეროვნულ დემოკრატებმა – 8, სოციალისტ-რევოლუციონრებმა – 5.

მენშევიკებმა, როგორც უმრავლესობამ მთავრობის თავმჯდომარედ ნოე ჟორდანიას კანდიდატურა წამოაყენეს, რომელსაც მხარი სხვა პარტიებმაც დაუჭირეს. ზოგიერთმა თავი შეიკავა ან ხმა არ მისცა.

მენშევიკების ეროვნული თეორია მიუღებელი არ იყო იმდროინდელი საქართველოსთვის, რიგ საკითხებში მოუმზადებლობისა და გაუთვალისწინებლობის გამო მათი მოღვაწეობა ხანმოკლე აღმოჩნდა.

ჩვენმა მოკავშირეებმა და პროტექტანტებმა, გერმანელებმა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე მიაღწიეს თურქეთის არმიის შეტევის შეჩერებას საქართველოს წინააღმდეგ, ასევე შეეცადნენ დაეყოლიებინათ რუსეთი, არ შეწინააღმდეგებოდა გერმანიის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობას.

რუსეთმაც აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა, თუმცა მალევე გააპროტესტა, ვითომცდა სამხედრო ძალების მზარდი მშენებლობა საფრთხეს უქმნიდა მის ქვეყანას, რის გამოც საქართველოს საზღვრებთან დიდი რაოდენობის ჯარს მოეყარა თავი.

პირველ მსოფლიო ომში გერმანიის დამარცხებამ იძულებული გახადა გერმანია დაეტოვებინა საქართველო. გერმანიის მიმართ მტრულად განწყობილმა ქვეყნებმა 1920 წლის 16 დეკემბერს ერთა ლიგაში გამართულ კენჭისყრაზე უარის თქმამ რუსეთს ხელ-ფეხი გაუხსნა და სხვადასხვა მხრიდან ომის გამოუცხადებლად თავს დაესხა საქართველოს.

შინაურ და გარეშე მტრებისაგან დასუსტებულმა საქართველომ კბილებამდე შეიარაღებულ და მრავალრიცხოვან რუსეთის ჯარს, რომელსაც მეხუთე კოლონაც შემოჰყვა, ვერ გაუწია წინააღმდეგობა. 1923 წლის 25 თებერვალს საქართველოს დედაქალაქში წითელი დროშა ააფრიალეს. რუსეთის ჯარის მიერ დაპყრობილი თბილისი ნაღვლიანად გამოიყურებოდა. დედაქალაქი სამარისებული სიჩუმე სუფევდა. მათთვის წინააღმდეგობა არ გაუწევიათ. მომხდარის გამო ერთა ლიგამ ამაო პროტესტი გამოთქვა.

ქართველი ერის ერთ-ერთი მოღალატე – ფილიპე მახარაძე ნაძალადევში მუშათა კლასთან შეხვედრისას სიამაყით

აღნიშნავდა: „დიახ, ჩვენ არ ვმალავთ, პირიქით, სიამაყით ვამბობთ, რომ ჩვენ აქ შემოვიყვანეთ წითელი ჯარი, ის ჯარი, რომელიც საუკეთესო დამცველია მშრომელებისა და მუშების ინტერესებისა. დიახ, ჩვენი ნებასურვილით მოვიდნენ საქართველოში წითელარმიელები, ჩვენ მივუძღოდით მათ, ნურავის ჰგონია, რომ ისინი თავისი ძალაუფლებით მოქმედებდნენ, ჩვენ რომ ვუთხრათ, ისინი დღესვე დასტოვებენ საქართველოს“. აქ არ შეიძლება არ გავიხსენოთ ედუარდ შევარდნაძის მიმართვა ქართველი ხალხისადმი 1989 წლის 9 აპრილს, როდესაც იგი საქართველოში ეროვნული მიტინგის დასარბევად შემოჰყვა რუსეთის ჯარს. როგორ ერთმანეთს ჰგავს 1921 წლის 25 თებერვალი და 1989 წლის 9 აპრილს რუსეთის რენეგატების მიერ მოწოდებები.

მამულიშვილები, რომლებმაც თავი დადეს თავისუფლებისათვის ბრძოლაში მარადიული დიდებისა და თაყვანისცემის სანაცვლოდ, ჯერ საძმო სასაფლაოს მიაბარეს და შემდეგ კი გულზე იმ მთავრობის სასახლე დაადგეს, რომლის წინააღმდეგ ბრძოლასაც შესწირეს თავი.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის ხანმოკლე მონაკვეთი, 1918 წლის 26 მაისიდან 1921 წლის 25 თებერვლამდე, სახელმწიფოებრივი ტრადიციის აღდგენის გარდა ქვეყნისთვის იმითაც იყო უაღრესად მნიშვნელოვანი, რომ სწორედ ამ სამმა წელმა იხსნა ქვეყანა იმ ქაოსისა და ნგრევისაგან, რაც სამოქალაქო ომმა დაატეხა რუსეთს. ადვილი წარმოსადგენია რა მდგომარეობაში ჩავარდებოდა საქართველო, თუ მონაწილეობას მიიღებდა „თეთრებისა“ და „წითლების“ ურთიერთანგარიშსწორებაში.

საქართველოს ოკუპაციის შემდეგ ქართული ეროვნული ძალების ნაწილმა სცადა „ბოლშევიკებთან“ თანამშრომლობა, ისინი მაინცდაამინც დიდ სხვაობას ვერ ხედავდნენ „მენშევიკებსა“ და „ბოლშევიკებს“ შორის.

აქვე გთავაზობთ შალვა ნუცუბიძის მოსაზრებას, გამოქვეყნებულს 1921 წლის 5 მაისს „სახალხო საქმეში“:

„26 მაისი რევოლუციური აქტია. ის ქართველი ერის სულთქმაა და ვინც 26 მაისის წარყვნას მოისურვებს, მან უნდა შესძლოს ქართველი ხალხის სულიერი წარყვნა.

მენშევიკები წინააღმდეგნი იყვნენ 26 მაისის აქტის, მაგრამ მათ ვერ შესძლეს ქართველი ხალხის სულის თქმის დახშობა და მიუხედავად მათი წინააღმდეგობისა, ქართველმა ხალხმა 26 მაისს თავისუფლად ამოისუნთქა.

მართალია, მენშევიკები შემდეგ დაეპატრონენ 26 მაისს, მაგრამ ეს მათ თავის საქმედ არ მიაჩნდათ, ისინი ამას იძულებით მიღებულ საქმედ სთვლიდნენ. მათი მიზანი ნათელი იყო – ამ გზით სურდათ ქართველი ხალხის სულს დაეპატრონებოდნენ. მენშევიკებმა მიზანს მიაღწიეს. 26 მაისის აქტზე ჩაბღაუჭებით ისინი თუ სავსებით ვერ დაეპატრონენ ქართველი ხალხის სულს, მისი კონტროლიორები მაინც გახდნენ. დღევანდელი პოლიტიკური ცხოვრება ქართველი ხალხისა, მენშევიზმ-ბოლშევიზმის შეტაკების ლიკვიდაციის ხანაა. აქვს ბრძოლასთან რაიმე კავშირი 26 მაისის აქტს? რა თქმა უნდა, არა. დღეს ბოლშევიზმმა მენშევიზმი დასცა საქართველოში, ეცემა ამით 26 მაისის აქტი? სრულიადაც არა. მენშევიზმი იყო 26 მაისის აქტზე ამოსული სოკო. ბრმოლაში ეს სოკო მოგლიჯა, მაგრამ ალვის ხე ქართველ ხალხის ეროვნული სხეულისა ამით არ წაქცეულა, იგი ძველებურად ტან-

წერწეტად დგას და მომავალში კიდევ უფრო უნდა ამაღლდეს... ვინც არ უნდა იყოს საქართველოში ხელისუფალი, ქართველ ხალხს მაინც აქვს უფლება, საღვთო უფლება, 26 მაისის დღესასწაულისა და წელს კიდევ უფრო ბუმბერაზი, კიდევ უფრო გრანდიოზული იქნება ქართველი ერის ოლიმპიური ზეიმი".

რუსეთის იმპერიული პოლიტიკა საქართველოში

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ეროვნულ-გამანათავისუფლებულმა მოძრაობამ საქართველოში სრულიად ახალი სახე მიიღო. ილიას და აკაკის მიერ დანთებული ეროვნული მოძრაობის ცეცხლი თანდათან ღვივთდებოდა და საბოლოოდ ქვეყნის დამოუკიდებლობით დაგვირგვინდა.

რუსეთის იმპერიის ნგრევის შედეგად საქართველომ შესძლო 1918 წლის 26 მაისს აღედგინა თავისი სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი და გამხდარიყო თავისუფალი ქვეყანა.

დამოუკიდებელი საქართველოს მართვის სადავეები მენშევიკების ხელში მოექცა. საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნების შემდგომ გარკვეული რაოდენობის მანდატების მოპოვება სხვა პარტიებმაც შეძლეს: სოციალ-დემოკრატებმა „მენშევიკებმა“ გაიყვანეს 109 დეპუტატი, სოციალ-ფედერალისტებმა – 8, ეროვნულ-დემოკრატებმა – 8, სოციალისტ-რევოლუციონერებმა – 5.

მენშევიკებმა როგორც უმრავლესობამ მთავრობის თავმჯდომარედ ნოე ჟორდანიას კანდიდატურა წამოაყენეს, რომელსაც მხარი დაუჭირეს სხვა პარტიებმაც. უმნიშვნელო ნაწილმა თავი შეიკავა, ან ხმა არ მისცა.

რუსეთმა აღიარა საქართვლოს დამოუკიდებლობა, თუმცა მალევე გააპროტესტა, ვითომცდა საქართველოს სამხედრო ძალების მზარდი მშენებლობა საფრთხეს უქმნიდა მის

ქვეყანას, რის გამოც საქართველოს საზღვრებთან დიდი რაოდენობით ჯარს მოუყარა თავი.

საქართველომ პროტესტი გამოთქვა აღნიშნული ქმედების გამო, რასაც დიდი ბრიტანეთიც გამოეხმაურა. რუსეთმა პირობა დასდო, რომ არ ჩაერეოდა საქართველოს შინაურ საქმეებში, მაგრამ მან აღებული ვალდებულება არ შეასრულა. ომის გამოუცხადებლად რამოდენიმე მხრიდან თავს დაესხა. შინაური და გარეული მტრებისგან დასუსტებულმა საქართველომ, ვერ გაუწია წინააღმდეგობა კბილებამდე შეიარაღებულ და მრავალრიცხოვან რუსეთის ჯარს და 1921 წლის 25 თებერვალს საქართველოს დედაქალაქში – თბილისში წითელი დროშა აიფრიალა.

როგორც პროფესორი ირაკლი ლომთაძე აღნიშნავს – „ქართველ ერს ეროვნულ-პოლიტიკური ტრაგიზმით, ტკივილებით ვერ გააკვირვებ, მაგრამ საქართველოს ისტორიაში ძნელად მოიპოვება 1921 წლის 21 თებერვლის ტოლფასი საბედისწერო დღე. ერი, რომელმაც საუკუნეების განმავლობაში გაუძლო რომაელთა, ბერძენთა, არაბთა, თათარ-მონგოლთა, სპარსელთა და სხვა უამრავ მტერთა გარემოცვას, 1921 წლის 25 თებერვალს თავისი საუკეთესო თავშეწირულ მამულიშვილთა დასაფლავების უფლებაც კი დაკარგა, რათა შემდეგ თითქმის მთელი სამოცდაათი წლის მანძილზე კვლავ მრავალჯერ გაუყენეს გოლგოთის გზას სამშობლოს ავისუფლებისათვის მებრძოლნი და თავშეწირულნი.

ქართველი ერის ერთ-ერთი მოღალატე – ფილიპე მახარაძე ნაბალადევში მუშათა კლასთან შეხვედრისას სიამაყით აღნიშნავდა – „დიახ, ჩვენ არ ვმალავთ, პირიქით, სიამაყით ვამბობთ, რომ ჩვენ აქ შემოვიყვანეთ წითელი ჯარი, ის ჯარი,

რომელიც საუკეთესო დამცველია მშრომელებისა და მუშების ინტერესებისა. დიახ, ჩვენი ნებასურვილით მოვიდნენ საქართველოში წითელი არმიელები, ჩვენ მოუმღვოდით მათ, ნურავის ჰგონია, რომ ისინი თავისი ძალაუფლებით მოქმედებდნენ. ჩვენ რომ ვუთხრათ ისინი დღესაც დასტოვებენ საქართველოს...“

აქ გამახსენდა ე. შევარდნაძის მიმართვა ქართველი ხალხისადმი 1989 წლის 9 აპრილს, როდესაც მან საქართველოში შემოიყვანა ეროვნული მოძრაობის მიტინგის დასარბევად რუსის ჯარი, როგორ ერთმანეთს ჰგავს 1921 წლის 25 თებერვალი და 1989 წლის 9 აპრილის რუსეთის რენეგატების მიერ მოწოდებები.

1921 წლის 17 მარტს საქართველოს ხელისუფლებამ ნოე ჟორდანიას მეთაურობით ბათუმის პორტიდან ფრანგული გემით საქართველო სამუდამოდ დატოვა.

პროფესორ გოგი ქავთარაძის მოსაზრებით „დროა მივხვდეთ, რომ რუსეთი, ვიდრე ის თავის იმპერიულ პოლიტიკას თავს არ დაანებებს, სინამდვილეში ერთადერთი ჩვენი არაკეთილმოსურნეა, რომელსაც არ შეიძლება აწყობდეს კავკასიონის ქუდის გადმოღმა მისი იმპერიული მიზნებისათვის გზის ჩამკეტი ქვეყნის არსებობა, მას ჩვენი მიწა-წყალი მხოლოდ პოლიტიკურად ესაჭიროებოდა ყოველთვის და დღესაც ესაჭიროება. თვითონ ნებით იგი არასოდეს არ შეურიგდება არც საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოებრივ არსებობას და არც ჩვენი ერის თავისუფალ განვითარებას და ერთიანობას“.

მეორე მსოფლიო ომი და „ვეფხისტყაოსანი“

შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ მრავალჯერ არის გამოცემული როგორც ქართულ, ასევე მსოფლიოს მრავალ ენაზე. მათგან გამოვყოფ ორს, რომლებსაც თარგმნის, ბეჭდვის და გავრცელების საინტერესო ისტორია აქვთ: შალვა ნუცუბიძის მიერ მოსკოვში 1941 წელს გამოცემული „ვეფხისტყაოსანის“ რუსულ ენაზე სრულ პოეტურ თარგმანს და დავით ხელაძის მიერ ბერლინში 1943 წელს ქართულ ენაზე გამოცემულ „ვეფხისტყაოსანს“.

საბჭოთა კავშირი გერმანიის მოკავშირედ გამოდიოდა და თავადაც მონაწილეობდა ევროპის გადანაწილების პროცესში. მას თითქოს საფრთხე არ ემუქრებოდა და ხალხი მშვიდად ცხოვრობდა.

1941 წელს მოსკოვში მასიური ტირაჟით გამოქვეყნდა შალვა ნუცუბიძის მიერ პატიმრობაში შესრულებული „ვეფხისტყაოსნის“ სრული პოეტური რუსული თარგმანი „რითაც დაგვირგვინდა სტალინისათვის ესოდენ მნიშვნელოვანი მიზანი – მსოფლიომ დაინახა და დარწმუნდა, რომ დიდი ბელადი უდიდესი ცივილიზაციის მქონე ქვეყნის შვილი იყო“.

„ვეფხისტყაოსნის“ შალვა ნუცუბიძისეული რუსული პოეტური თარგმანის სულისჩამდგმელი და არაოფიციალური რედაქტორი სტალინი იყო, რომელმაც თავად ბრძანა, რომ მისი სახელი პოემაში არსად ხსენებულიყო.

სტალინმა შალვა ნუცუბიძეს კრემლში თავად გადასცა თავისი ხელით ჩასწორებული და რედაქტირებული „ვეფხისტყაოსნის“ სასიგნალო ეგზემპლარი, რომლითაც ხელში

შალვა ნუცუბიძე ომში მოსკოვის თავდაცვისათვის სიკვდილ-სიცოცხლეს ებრძოდა. შალვა ნუცუბიძეს „ვეფხისტყაოსნის“ საკმაზზე თხოვნა წაეწერა: „თუ დავიღუპე, გთხოვთ, მპოვნელმა სტალინის ხელით ჩასწორებული „ვეფხისტყაოსანი“ ლიტერატურის მუზეუმს გადასცეთ“.

„გოსლიტი ზდატმა“ აღნიშნული თარგმანის პირველი და მეორე გამოცემა მასიური ტირაჟით გამოსცა, რომელიც მალე გაიყიდა. ჰონორარიც ძალიან სოლიდური იყო, მაგრამ იგი მთარგმნელს არ მიუღია.

შალვა ნუცუბიძეს დააწერინეს განცხადება, რომ „ვეფხისტყაოსნის“ რუსულ ენაზე მთარგმნელმა პროფესორმა – შალვა ნუცუბიძემ ჰონორარი მთლიანად შეიტანა თავდაცვის ფონდში. აღნიშნული გამოქვეყნდა გაზეთ „პრავდის“ მოწინავეში, რამაც სტიმული მისცა კულტურის მუშაკებს, თავიანთი ჰონორარი შეეტანათ თავდაცვის ფონდში და გაეძლიერებინათ ქვეყნის თავდაცვა.

1943 წელს გაზაფხულზე ბერლინში ცნობილმა ქართველმა გამომცემელმა დავით ხელაძემ გერმანული მხარის დაფინანსებით, ქართულ ენაზე დაბეჭდა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც განკუთვნილი იყო მეორე მსოფლიო ომის პერიოდში გერმანელებთან ტყვედ ჩავარდნილი ქართველი ჯარისკაცებისათვის – „ლეგიონერებისათვის“. კარგა ხნის განმავლობაში ქართული საზოგადოებისათვის უცნობი იყო ინფორმაცია აღნიშნული გამოცემის შესახებ, თუმცა სპეცსამსახურებისათვის ეს ცნობილი იყო და მკაცრ კონტროლს ექვემდებარებოდა. ლეგიონერებიც ერიდებოდნენ ამ საკითხზე საუბარს. მხოლოდ სამოციან წლებში ფართო რეაბილიტაციის შემდეგ ნაწილობრივ გახდა ცნობილი.

ამ გამოცემის შესახებ სრულ ინფორმაციას ფლობდნენ ტყვედ ჩავარდნილი ქართველები, რომელთა უდიდესი ნაწილი სამშობლოში აღარ დაბრუნებულა.

როგორც მკვლევარებისათვის ცნობილი გახდა, „ვეფხისტყაოსნის“ ნაწილი გამოცემული იყო თავფურცლით ხოლო ნაწილი – მისგარეშე, „რადგანაც ემიგრანტთა ნაწილი არ იზიარებდა გერმანულ იდეოლოგიას“.

ლეგიონერებს თავად ჰქონდათ ამოხეული წიგნებიდან თავფურცელი, „რადგან, როგორც საბჭოთა, ასევე მოკავშირეთა ჯარისკაცები ლეგიონერებს დაეძებდნენ და „ვეფხისტყაოსანი“ თავისი წინასიტყვაობით ნივთმტკიცება იყო.

საინტერესოა მკვლევართა მიერ მოძიებული ერთ-ერთი მამაცი ლეგიონერის ოჯახში მოკვლეული წინასიტყვაობა: „თავისუფლებისათვის განუწყვეტელ გმირულ ბრძოლებითა და კულტურული შემოქმედებით აღსავსე ათასი წლის სახელოვანი წარსული უზრუნველყოფს ქართველი ხალხისათვის საპატიო ადგილს ევროპის ერთა შორის. გერმანიის მეთაურობასაც ამიტომ აქვს მიზნად დასახული, დამსახურებისამებრ თავისუფალჰყოს რუსულ-ბოლშევიკური უღლიდან ეს რიცხვით მცირე, მაგრამ სულიერად ძლიერი ერი.

ახალი ევროპის ფარგლებში საქართველო გერმანიის ერთგული და თანასწორუფლებამოსილი თანამშრომელი გახდება მრავალტანჯული კონტინენტისა აღორძინების საქმეში და თავის ნაცად შემოქმედებით უნარს მიმართავს ყველა თავისუფალ ერთა საკეთილდღეოდ.

ხელახლა უნდა აღსდგეს ქართული კულტურის მაღალი დონე, რომელიც გამოსჭვივის სულმნათ შოთა რუსთაველის უკვდავ ნაწარმოებში.

დიდებული ქართველი მგოსნის თხზულების გერმანელების მიერ ეს გამოცემა უტყუარი ნიშანია ორივე ჩვენი კულტუროსანი ხალხის სულიერი კავშირისა.

ბერლინი
გაზაფხული – 1943 წ.“

ორატორის დარიგებანი

აღზრდაში მოზარდი თაობის ჰარმონიული განვითარების იდეამ ოპტიმალურად განხორციელება ჰპოვა ანტიკური საბერძნეთის დემოკრატიის აყვავების დროს, რაც განსაკუთრებით პერიკლეს მოღვაწეობას ემთხვევა. ამ დროს ათენელმა ბერძნებმა შექმნეს შედევრები ყველა მიმართულებით: არქიტექტურაში, სკულპტურაში, სახვით ხელოვნებაში, პოეზიაში, მხატვრულ

ლიტერატურაში, ფილოსოფიასა და მეცნიერების მრავალ დარგში.

როგორც პლუტარქე წერს, პერიკლე თავის ხალხს ასე მოძღვრავდა: „როცა სახელმწიფო საკმაოდაა აღჭურვილი ომისათვის საჭირო აუცილებელი სახსრებით, მისი ქონება იმ საქმეთაც უნდა მოხმარდეს, რომელთა აღსრულება საუკუნო სახელს მოუხვეჭს და რომელთა კეთება მაშინვე ქმნის კეთილდღეობას. თავს იჩენს მრავალგვარი სამუშაო და ნაირნაირი საჭიროება, რომელიც ხელოსნობის ყოველ დარგს აღვიძებს, ყოველ ხელს ამოძრავებს, თითქმის მთელი სახელმწიფოს შემოსავალს ქმნის და ამის წყალობით კიდეც ირთვება და კიდეც იკვებება... (პერიკლემ) ხალხს შესთავაზა დიად მშენებლობათა გეგმა, რომლის ხორცშესასხმელი პირობა მრავალგვარი ხელობის ხანგრძლივი გამოყენება იყო...

ყველაზე საოცარი გმირში საქმის შესრულების სისწრაფე გახლდათ... სწორედ ამიტომაა კარგად რომ გვაოცებს მცირე დროში, მაგრამ ხანგრძლივი არსებობისათვის შექმნილი პე-

რიკლეს ნაგებობანი. ყოველი ნაგებობა იმთავითვე ძველებური სილამაზისა გახლდათ, მაგრამ მშვენებითა და სიდიადით ისინი დღემდე ინარჩუნებენ სინორჩეს, თითქოს ახლახანს აუშენებიათო. დროისაგან ხელშეუხებელი ისეთი იერი აქვთ და მუდამ რაღაც ისეთი სიახლით ხასხასებენ, თითქოს ძალუმი სუნთქვა და უბერებელი სული იყოს შერწყმული მათში“.

ანტიკური ისტორიის სახელმძღვანელოებსა თუ დამხმარე სახელმძღვანელოებში ვკითხულობთ: „თვითონ პერიკლე და მისი გარემომცველი განათლებული მეგობრების ჯგუფი მიისწრაფოდნენ – გადაექციათ ქ. ათენი მაშინდელი სამყაროს კულტურის ცენტრად. პერიკლეს დროს გაზრდილმა და გამშვენიერებულმა ქ. ათენის ბრწყინვალებამ დაჩრდილა საბერძნეთის ყველა სხვა ქალაქი. ფილოსოფოსები, მწერლები, მეცნიერები, მხატვრები და ა.შ., – ყველა მიეშურება ათენისაკენ და იქ პოულობდნენ თავიანთი მოღვაწეობისათვის ფართე არენას. ჰეროდოტე, სოფისტები პროტაგორა და გორგია და ელინური სამყაროს მრავალი სხვა სახელგანთქმული პირი ნამყოფი იყო ათენში“.

როგორც ვიცით, მოზარდი თაობის აღზრდის ზემოაღნიშნული კლასიკურბერძნული პრაქტიკული გამოცდილება, რომაულთან ერთად, პირველად კვინტილიანემ (42-118 ახ. წ.). შექმნა დიდებული პედაგოგიური შრომა 12 წიგნად.

ამ დიდებულ ნაშრომს ლათინურად ჰქვია „ინსტიტუციო ორატორია“, რასაც ასე თარგმნიან: „ორატორული განათლება“; „ორატორის აღზრდა“... (ყველა სახელმძღვანელოსა და დამხმარე სახელმძღვანელოში პედაგოგიკის თეორიასა თუ ისტორიაში). ასეთი თარგმანი არ უნდა იყოს სწორი, რადგან

ამ ნაშრომში მ. ფ. კვინტილიანეს მიერ წარმოდგენილი აღზრდის მიზანი ვერაგზით ვერ მოთავსდება „მჭერმეტყველის“, „სიტყვაკაზმული მთქმელის“ შედარებით ვიწრო საზღვრებში. აღნიშნული ლათინური სახელწოდების შედარებით სწორი თარგმანი მოცემულია „პედაგოგიურ ლექსიკონში“, „ორატორის დარიგებანი“. უაღრესად განათლებული, განსწავლული კვინტილიანე ასევე თავმდაბალი და მოკრძალებული ყოფილა ფართო მკითხველთა წინაშე.

კვინტილიანე თავის ზემოხსენებულ ნაშრომში აღზრდის მიზნად სახავს

„ბერძენი რომაელის მომზადებას. ამისათვის მას საკმარის ნიმუშად არ მიაჩნია არც ციცერონი, დემოსთენე და არც ცეზარი, თუმცა სამივე ბრწყინვალე ორატორები იყვნენ. კვინტილიანე თვლის, რომ რომის იმპერიის სასწავლო-აღმზრდელობითმა დაწესებულებებმა უნდა ცხოვრებისათვის მოამზადონ ისეთი „ბრძენი რომაელი“, როგორიც იყო საბერძნეთისათვის პერიკლე: პერიკლეს გონებრივი განვითარება-განათლება უფრო ფართო იყო.

პერიკლეს დროინდელ ათენში შრომა იყო ქვეყნის სიმდიდრის ძირითადი წყარო. დაუსაქმებელი არ შეიძლება ვინმე ყოფილიყო და ამაზე უწინარეს ყოვლისა ზრუნავდა თვით პერიკლე: დაუსაქმებელთ ქვეყნის გარედ აგზავნიდა და კოლონიებად ჩაასახლებდა ხოლმე მოხერხებულ და ცხოვრებისათვის ხელსაყრელი პირობების მქონე ადგილებზე, ეხმარებოდა და მხარს უჭერდა მათ.

პერიკლეს მჭევრმეტყველების მსმენელებზე, ხალხზე დიდი ზეგავლენის „მიზეზი უბრალოდ სიტყვის ძალა კი არ გახლდათ, არამედ... პერიკლეს ცხოვრების სიდიადე და ამ

კაცისადმი უანგარო ნდობა. ყველასათვის ცხადზე ცხადი იყო მისი უანგაროება და მოუსყიდაობა“. პერიკლე „მრავალ ღარიბ კაცს შემწეობას უჩენდა“. „ოლიმპიელს ეძახდნენ ესოდენ სათნო ხასიათის კაცს, რომლის ცხოვრება სახელისუფლო ძლიერებაშიაც წმინდა და შეუბღალავი დარჩა“ და ა.შ.

მაღალი იყო პერიკლეს ესთეტიკური გემოვნება, ის ზრდიდა ხალხს მშვენიერების იმ გაგებით, რაც იგულისხმებოდა ტერმნიში – „კალოკაგათია“, რაზედაც გვქონდა საუბარი ზემოთ. ათენში ხელოვნების ყველა დარგი ვითარდებოდა პერიკლეს მხარდაჭერითა და ზრუნვით. პერიკლემ „ხმის მიცემით შემოიღო პირველად მუსიკალური შეჯიბრებების გამართვა პანათენურ დღეობებზე... მაშინ და მომდევნო ხანებშიც ოდეონში განუწყვეტლივ იმართებოდა მუსიკალური შეჯიბრებები“.

როგორც ვიცით, პერიკლეს დროს ათენურ სკოლებში ფიზიკური აღზრდა ისეთ დონეზე იყო, რომ ათენელები ამ მხრივ არ ჩამოუვარდებოდნენ და ხშირად სჯობნიდნენ კიდეც სპარტელებს, რაც არაერთხელ დაამტკიცეს პერიკლეს ხელმძღვანელობით. თავად პერიკლე ამ მხრივ „სრულიად უზადო გახლდათ“, „ლაშრქობათა ჟამს მამაცი ვაჟკაცი იყო და საფრთხეს არ გაურბოდა“...

როგორც ვხედავთ, აღზრდის შემადგენელი ყველა კომპონენტია აქ წარმოდგენილი: გონებრივი, ზნეობრივი, ესთეტიკური და ფიზიკური, რომელთა ერთდროულმა პრაქტიკულმა განხორციელებამ უნდა უზრუნველყოს ჰარმონიული, ყოველმხრივი განვითარება. მ. ფ. კვინტიალიანე აღზრდის ერთიანი პროცესის ამ აუცილებელ და ერთმანეთისაგან განუყოფელ კომპონენტებს (ერთი მათგანის უგულებელყოფა

ან შეუფასებლობა აღზრდას საბოლოოდ მიცემს ცალმხრივ, მაშასადამე, მცდარ მიმართულებას) ასე გამოკვეთილად და თანმიმდევრობით კარგადაა წარმოდგენილი პერიკლეს თვისებებში, ხოლო თავისუფალი რომაელი მოქალაქე იმთავითვე აღზრდას ბერძნული ენის დაცულობით იწყებდა, კვინტილიანეს დროინდელი რომის იმპერიის თავისუფალი მოქალაქეები თეორიული საკითხებით დაინტერესებულნი უშუალოდ ბერძნული წყაროებიდან იცნობდნენ.

აღზრდის არსის, მისი შემადგენელი კომპონენტების კვინტილიანესეული გაგების საილუსტრაციოდ ამონაწერები პერიკლეზე გავაკეთეთ უმთავრესად პლუტარქეს „რჩეული ბიოგრაფიებიდან“. ცხადია, გაცილებით მეტი რაოდენობის ფაქტების მოტანა შეიძლებოდა, მაგრამ მოტანილი ამონაწერებიც, ვფიქრობთ, საილუსტრაციოდ საკმარისია.

შალვა ნუცუბიძე –
„რუსთაველი და აღმოსავლეთის რენესანსი“

1947 წელს აკადემიკოს ბატონ კორნელი კეკელიძის რედაქტორობით, რომელიც მეცნიერებაში მოსვლამდე სასულიერო პირი, დეკანოზი გახლდათ, გამოიცა შალვა ნუცუბიძის ნაშრომი „რუსთაველი და აღმოსავლეთ რენესანსი“, რომელმაც სამეცნიერო წრეში და საზოგადოებაში ფართო გამოხმაურება ჰპოვა.

იმავე წელს მაშინდელი „იმელის“, მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის სააქტო დარბაზში დაინიშნა ნაშრომის საჯარო განხილვა, უკეთ რომ ვთქვათ, „გასამართლება“. სხდომები გრძელდებოდა ერთი თვის განმავლობაში, განხილვამ საზოგადოებაში დიდი ინტერესი გამოიწვია.

სხდომებს უამრავი ხალხი ესწრებოდა. გაძნელებული იყო მოსაწვევის შოვნა. შალვა ნუცუბიძემ თავის მეუღლეს, ქეთევანს, მოსაწვევი არ მისცა: შენ იქ ტაშს დამიკრავ, ისინი კი ტაშის დამკვრელებს იმახსოვრებენო. შენობის გარშემო წესრიგს ცხენოსანი მილიცია იცავდა.

სხდომას თავმჯდომარეობდა უშიშროების გენერალი, აკადემიკოსი, იდეოლოგიის დარგში, პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი პეტრე შარია.

მთავარ მომხსენებლად გამოყოფილი იყო რესპუბლიკის ყოფილი პროკურორი ვალიკო ტალახაძე. სხდომათა დარბაზში პირველ რიგში ისხდნენ ხელმძღვანელობის მაამებლები და ტაშის დამკვრელები. ვალიკო ტალახაძემ მოხსენების დაწყებისთანავე შალვა ნუცუბიძის ნაშრომი „რუსთაველი

და აღმოსავლეთის რენესანსი“ შოვინისტურ წიგნად გამოაცხადა და მრისხანედ იკითხა: „სად იყო ამ წიგნის ბეჭდვისას რედაქტორი?“ რედაქტორი აკადემიკოსი კორნელი კეკელიძე მოწიწებით წამოდგა და განაცხადა: „წიგნს წაუკითხავად დადებითი შეფასება მივეცი, ვენდე შალვა ნუცუბიძეს, მან კი შეცდომაში შემიყვანაო“.

შალვა ნუცუბიძემ არ დააყოვნა: „შენ, ჩემო კორნელი, ღმერთს უღალატე და რა გასაკვირია, რომ მეც მიღალატებდიო“. დარბაზი გამოცოცხლდა, იგრძნობოდა, რომ დამსწრეთა საზოგადოების უმრავლესობა აღმოსავლეთის რენესანსის იდეას მხარს უჭერდა. ერთ-ერთ ოპონენტს გამოსვლისას ნერვიულობისაგან, წყლის დალევისას წყალი დაწერილ მოხსენებაზე გადაესხა და ძალზე შეწუხდა. ნუცუბიძემ კი ხმამაღლა წარმოთქვა: „არა უშავს, წყალი-წყალს გადაესხა – განაგრძეთ!“

დარბაზი კვლავ გამოცოცხლდა. შალვა ნუცუბიძემ თავისი შესავალი სიტყვა ასე დაიწყო: „ეს წიგნი თავიდან ბოლომდე იდეოლოგიური ბრძოლაა დასავლეთ რენესანსისა პიროვნების წინააღმდეგ, მე პრინციპულად არ მინდოდა დავდგომოდი ციტირების გზას, არცერთი ციტატა მარქსისა არ მომყავს, მე გამოვდივარ ერთი ძირითადი დებულებით, რომ მარქსს ყველაფერი არ უთქვამს მეცნიერებაში“. „ფაქტებია საჭირო“, – ვიღაცამ ადგილიდან დაუძახა შალვა ნუცუბიძეს. შალვამ იმ წამს დაუყოვნებლივ უპასუხა: „ფაქტები რომ იყოს, მაშინ შენც ილაპარაკებდი ამ საკითხზე, აქ მიხვედრაა საჭირო და ამიტომ ვლაპარაკობ“, – მიახალა ნუცუბიძემ. აქ თავმჯდომარის დამქაშებმა ერთმანეთს გაბრწყინებული თვალებით გადახედეს, თავს უქნევდნენ ერთმანეთს.

თავმჯდომარემ განაცხადა: „დისკუსია რად უნდა ამას, თავად აღიარებს ყველაფერსო“. მოხსენების ბოლოს შალვამ დასძინა: „ამდენი ენერგია რომ დაიხარჯა ჩემს წინააღმდეგ საბრძოლველად, ამის მეათედი რომ დახარჯულიყო აზროვნების განვითარებაზე, ფილოსოფიის ინსტიტუტი ბევრს მოიგებდაო“. შალვა ნუცუბიძემ კვლავ დაიცვა აღმოსავლეთის რენესანსის იდეა და განაცხადა, რომ აღმოსავლეთის რენესანსის იდეებთან რუსთაველი დგას. აქ თავმჯდომარემ შეაწყვეტინა: „თქვენი რეგლამენტი ამოიწურაო“. „მე შემაწყვეტინეთ, მაგრამ სიტყვა არ დამიმთავრებია“, – თქვა ნუცუბიძემ და კათედრიდან ჩამოვიდა. თავმჯდომარემ შემაჯამებელ სიტყვაში განაცხადა: „ამხანაგებმა იციან ჩემი დაკავებულობა თანამდებობის გამო და საკითხის მოსამზადებლად ვერ მოვიცალე, როგორც გაირკვა, არ ღირდაო“.

შალვა ნუცუბიძემ დინჯად მიუგო: „ჩვენ ვერ გავუგებთ ერთმანეთს. მე თავით ვაზროვნებ, თქვენ კი სკამით“. სხდომის დამთავრების მეორე დღეს პეტრე შარია გაანთავისუფლეს დაკავებული თანამდებობიდან, მოგვიანებით კი დააპატიმრეს და გადაასახლეს. ცენტრალური კომიტერის მდივნად იდეოლოგიის დარგში დაინიშნა ვინმე შადური. შალვას ამ ფაქტის გამო არ გამოუხატავს აღფრთოვანება, მაგრამ განაცხადა: „მოისპო შარიანობა საქართველოში, დაიწყო ნიშადურობაო“.

პიროვნების ფორმირების პროცესი და აღზრდის ცალკეული კომპონენტები

თავისუფალი და დემოკრატიული საქართველოს მშენებლობაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ახალი თაობის აღზრდას, ცხოვრებისა და მოღვაწეობისათვის მის ჰარმონიულ მომზადებას. ამ საქმეში აუცილებელია წარსულის პედაგოგიური მემკვიდრეობისა და თანამედროვე აღზრდის და სწავლების თეორიული და პრაქტიკული მონაცემების ერთმანეთთან შერწყმა-შეთანხმება. დღეს განსაკუთებით გასათვალისწინებელია ქართველ სამოციანელებთან საგანმანათლებლო იდეები მოზარდი თაობის ჰარმონიული განვითარების, გონებრივი, ზნეობრივი, ესთეტიკური, ფიზიკური და შრომით-პოლიტექნიკური ჩამოყალიბების საკითხებზე.

მოსწავლის მთლიან პიროვნებაზე პედაგოგიური ზეგავლენის მეთოდთა კოორდინაციის მიზანშეწონილობიდან, პიროვნების ყველა მხარის ერთდროული ფორმირების კანონზომიერებიდან გამომდინარე, ვიდრე პიროვნების ჩამოყალიბების მთავარ საშუალებას – სახელმძღვანელოს შექმნიდა. იაკობ გოგებაშვილი წლების მანძილზე თანმიმდევრობით ასწავლიდა ყველა სასწავლო საგანს, რომ ჩაწვდომოდა მათ სპეციფიკას და გაეთვალისწინებინა იგი „დედა ენისა“ და „ბუნების კარის“ შედგენისას.

იაკობი წერს: „ჩვენ დიდი ხნის განმავლობაში ვიყავით მასწავლებელი და ხელმძღვანელი ექვს კლასიანი სასწავლებ-

ლისა... ჩვენ თერთმეტი წლის განმავლობაში, შესათვისებლად ბევრგვარი საგნებისა, ერთი საგნიდან გადავდიოდით მეორე საგანზედ და ვასწავლიდით სხვადასხვა დროსა გეოგრაფიასა, არითმეტიკასა, ისტორიასა, რუსულ ენასა, ქართულ ენასა, მეტყველებასა, ლიტერატურის ისტორიას... ჩვენ ვასწავლიდით არა მარტო უფროს კლასებში, არამედ მოსამზადებელში, სადაც მთელი თვეობით ვაძლევდით გაკვეთილებს, რომელზედაც მასწავლებელი იყო მხოლოდ მსმენელი და მაყურებელი... ჩვენ საშუალო კლასებშიაც ხშირად იმისთანა საგანსაც, როგორიც არის საზოგადო გეოგრაფია, ვასწავლიდით ქართულად გადათარგმნით რუსულ ენაზედ... ამიტომ ჩვენ სრული უფლება გვაქვს, რომ ჩვენი სახელმძღვანელოვანი არიან დედუქტიური მოსაზრებისა და პრაქტიკული გამოცდილებისა.

თავისი „ბუნების კარის“ გამო იაკობი შენიშნავს: ამ წიგნით „ყმაწვილი შეიტყობს, თუ ბუნება რა მდიდარია სხვადასხვა ცხოვრებითა და ნიჭიერებითა; პირუტყვზედ ის თავის აზრს შეიცვლის, უწინდებურად უგუნურ მაშინებად აღარ შერაცხავს და ცხადად იგრძნობს, რომ ზოგი მათგანი სულიერი სისრულით ახლოა თვითონ ადამიანზედ – ყმაწვილი მიხვდება, რომ ბუნება მრავალგვარი სიცოცხლით დუღს და დაუსრულებელი ცოდნის წყაროა. თუ ამ წიგნის სტატიები ყმაწვილს ზედმიწევნით მაინც აგრძნობინებს, რომ ბუნების გამოძიება არის წყარო ერთი მხრით ჭეშმარიტი სარგებლობისა და მეორეს მხრით ღრმა სიამოვნებისა, მაშინ ჩვენ შრომას ამაოდ აღარ ჩავაგდებთ“.

მივაქციოთ ყურადღება სიტყვებს: „ყმაწვილი შეიტყობს“, „აზრს შეიცვლის“, „ცხადად იგრძნობს“, „მიხვდება“. აქ იაკო-

ბის აზრი უფრო ნათელი გახდება ჩვენთვის, თუ გავიხსენებთ კიდევ ერთ ადგილს იაკობის თხზულებიდან: როცა ბავშვს „არ გაეგება მნიშვნელობა სწავლისა და არ იცის, თუ რა დამოკიდებულება არსებობს სწავლასა და ცხოვრებას შუა..., იგი მოკლებულია სურვილს, რომ თავისი საკუთარი მეცადინეობით გააგრძელოს სწავლა და ჩქარა ივიწყებს მას, რაც მცირე დროის განმავლობაში უსწავლია“.

იაკობის თანახმად, სკოლაში ორივემ „მდიდარმაც და ღარიბმაც უნდა საზოგადო განატლებასთან ერთად აქ შეიხორცონ ქართული მამულიშვილობა, აივსნენ ქართული თავისებურობით და გახდნენ ნამდვილნი, სრულნი ადამიანები, გამოსადეგნი თავის სამშობლოსათვის“.

ჰარმონიული პიროვნების ი. გოგებაშვილისეული კონცეფცია გულისხმობს პიროვნების როგორც საზოგაოების აქტიური და ორგანული წევრის ჩამოყალიბებას. ამ გაგებით პატრიოტიზმი ის კომპონენტია, რომელიც გულისხმობს პიროვნების ცნობიერ, მიზანდასახულ კავშირს საზოგადოებასთან, მთელს ერთიან, მის აწმყოსთან და მის ისტორიულ ცნობიერებასთან. ი. გოგებაშვილი საგანგებოდ აღნიშნავდა, რომ პატრიოტიზმის ჩამოყალიბებას განაპირობებს ერის კულტურული მემკვიდრეობის დაუფლება: „როდესაც ნორჩი იმერელი, გურული, მეგრელი, რაჭველი, ქართლელი, კახელი და ფშავ-ხევსური ჩვილს გონებას უხსნის, ამდიდრებს ერთსა და იგივე საუკეთესო მოთხრობებით, არაკებით, იგავებით, ლექსებით, გამოცანებით, ანდაზებით, ამით მკვიდრდება საძირკველი სულიერი ერთობისა. გონების კავშირისა და ზნეობით სიახლოვისა“; „ქართველები ყველა საუკუნეში ზეიმობდნენ ყველა ეროვნებების თანსწორუფლებიანობას, რომლებიც

მათს სამეფოში შედიოდა, და ანიჭებდნენ მათ ყველა უფლებას, რითაც თვითონ სარგებლობდნენ... და რადგან ქართველთა სამეფოში არ იყვნენ გერები და ბედკრულები, თავისი სამეფოს საზღვრებს ყველანი ისე თავდადებით იცავდნენ, როგორც ღვიძლი შვილები. სწორედ ამით აიხსნება ქართველთა პატარა სამეფოს განსაცვიფრებლად ხანგრძლივი არსებობა დედამიწის ყველაზე სახიფათო ადგილას". ი. გოგებაშვილი მიუთითებდა, რომ ქართველების დამოკიდებულება სხვა ეთნიკური ჯგუფებისადმი იყო ერთ-ერთი პირობა საქართველოს პოლიტიკური გადარჩენისა: „სწორედ ამ ძმური ურთიერთობით, რომელიც დამკვიდრდა თანასწორუფლებიანობის ბრძნული პოლიტიის გამო, აიხსნება, სხვათა შორის, ის საკვირველი ფაქტი, რომ პატარა საქართველომ შესძლო გამოსული ბრძოლის ატანა მრავალრიცხოვანი მტრების წინააღმდეგ მთელ რიგ საუკუნეთა მანძილზე".

ჰარმონიიული პიროვნების ი. გოგებაშვილისეული გაგება თავისებურად ირეკლება იმ პრინციპებში, რომელთაც მოითხოვს პედაგოგებისაგან, რომელაც უნდა ჰქონდეთ „მიუდგომელი დამოკიდებულება საქმისა და პიროვნებისადმი... მაღალზნეობრივი ცხოვრება", იყვნენ „მონანი თავისი წმინდა მოვალეობისა, პრინციპების დროშა მაღლა ეჭიროთ და ხალხში სინათლის მოფენა უნდა იყოს მთავარი მიზანი მათის მისწრაფებისა". „ქვეყნიერებაზე არ იკარგება არ მარტო ნივთიერება, არამედ ზნეობრივი ენერგიაც, რომელიც ხორციელდება მადლიანს ცხოვრებაში. წმინდა, პატიოსანი ცხოვრების მიმდევნი ავის ზნეობრივს მადლიანს ძალას ჰფენს თავის გარშემო... ამდიდრებს ქვეყანას ზნეობრივის თანხით, რომელიც ევრად უკეთესია ქონებრივს თანხაზედ"; ბედნიე-

რია პედაგოგი, „რომელიც ნაყოფიერ შრომასთან ერთად, მტკიცედ ადგია პრინციპებს, თავის ცხოვრებაში და თავის გარშემო ჰფენს ზნეობრივს მადლსა“.

ი. გოგებაშვილი უაღრესად დიდ მნიშვნელობას ანიჭებს პედაგოგს, როგორც მოსწავლეების ზნეობრივი ჩამოყალიბების, ასევე ცოდნით აღჭურვის პროცესში. მაგრამ, ამასთანავე, პედაგოგის როლი ორგანულად არის დაკავსირებული სახელმძღვანელოების, საკითხავი მასალის და საერთოდ – წიგნის ფუნქციასთან: „სახელმძღვანელო ეიგნებს დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხის განათლების მსვლელობაში. ყოველი მიმართულება ამ საქმეში ცოტად თუ ბევრად უძლურია. უფესვო და წარმავალი, ვიდრე იგი არსებობს მხოლოდ პროგრამებში, გონებაში და არ არის განხორცელებული სახელმძღვანელოებში... თუ მასში იხატება საღი, გონიერი მიმართულება, დამკვიდრებული პედაგოგიურს და ეროვნულს პრინციპზედ, სახელმძღვანელო აყენებს სწავლას სწორე და მტკიცე გზაზედ, აწარმოებს მას ნაყოფიერად და უწევს დიდ სამსახურს სკოლასაცა და საზოგადოებასაც“.

იაკობის აზრით, სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში მოსწავლის პიროვნების გეგმაზომიერი და ყოველმხრივი განვითარებისათვის პედაგოგიური თვალსაზრისით სწორად შედგენილი სახელმძღვანელო წიგნი აუცილებელია, როგორც მასწავლებლისათვის, ასევე მოსწავლისათვის: „თუ მასწავლებელი ხმარობს გონივრულად შედგენილს სახელმძღვანელოს, იგი ავარჯიშებს გონივრულად ჭკვა-გონებას არა მარტო მოსწავლეებისას, არამედ თავის საკუთარსაც. თანდათან წინ მიდის ნაკისრ საქმეებში და ხდება ღირსეული მოსპეციალე, ჩინებული ოსტატი. წინააღმდეგ ამისა, დაავალოთ

თვით უნიჭიერესს და მარჯვე მასწავლებელს ხმარება უგვანო და მახინჯი სახელმძღვანელოსი, და იგი ხანის განმავლობაში ჩამოვა იმავე სიმდაბლეზე, რომელზედაც დგას ეს წიგნი, ერთი სიტყვით, მასწავლებელი სახელმძღვანელოს ემსგავსება“.

„სახელმძღვანელო წიგნმა რომ ნამდვილად მოუტანოს სარგებელი ორივე მხარეს, აუცილებლად საჭიროა, რომ მასწავლებელი სვინდისიერად ეპყრობოდეს თავის თანამდებობასა, ყოველ გაკვეთილისთვის ემზადებოდეს, ცოცხალი სიტყვით შეათვისებინებდეს ბავშვს ყოველი პარაგრაფის შინაარსსა და წიგნს ხმარობდეს მაშველ ღონისძიებათა, გასამეორებლად და კითხვაში სავარჯიშოთ“. მასწავლებლები უნდა „დახელოვნდნენ იმ მეთოდისა და იმ სახელმძღვანელოების ხმარებაში, რომლენიც არიან განხილულნი და მოწონებულნი“.

მთლიანი, ყოველმხრივ განვითარებული პიროვნების აღზრდა ვერ მოხერხდება, თუ არ გამახვილდა ყურადღება მოსწავლეებში დამოუკიდებლად მოქმედების უნარ-ჩვევების ფორმირებაზე. მაგრამ ეს რომ განხორციელდეს, თვითონ პედაგოგი, აღმზრდელი არ უნდა იყოს შეზღუდული, ხელფეხშეკრული ინსტრუქციებითა და ხშირი ინსპექტირებით: „მადლიანსა და ბეჯითს მასწავლებელს მაგრე რიგად არ ესაჭიროება კონტროლირო, ინსპექტორი. იგი თვითონ არის საუკეთესო რევიზორი თავისი მოქმედებისა, მოღვაწეობისა, და სრულიად საკმარისია, რომ წელიწადში ერთხელ ინახულოს იგი მასწავლებელი და მისი სკოლა ან მდივანმა, ან წევრმა გამგეობისამ. მეტი მზრუნველობა მასწავლებლის კეთილდღეობაზე, მეტი ნდობა მისდამი – აი საუკეთესო წა-

მალი ჩვენის სკოლების განკურვნისა, აღორძინებისა, აყვავებისა“.

მოსწავლეთა პიროვნების ჩამოყაიბების პროცესმა მასწავლებლისა და მოსწავლის ურთიერთობა, იაკობის აზრით, უნდა აუცილებლად იყოს ნამდვილად პედაგოგიური, პედაგოგიკის შესაბამისი, ე.ი. მეგობრული, თანამშრომლობითი; მოსწავლე სკოლაში გრძნობდეს მშობლიურ სიყვარულსა და სითბოს; სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი უნდა იყოს სიცოცხლით სავსე, აუცილებლად ხალისიანი, რომ „სწავლა წვალებად არ იქცეს“.

ქართული მეცნიერული პედაგოგიკის ფუძემდებელმა იაკობ გოგებაშვილმა მეცნიერულ სიმაღლეზე აიყვანა პიროვნების ყოველმხრივი განვითარების იდეა და დაამუშავა მისი გამოყენების რეკომენდაციები, რომლებიც დღემდე ინარჩუნებენ აქტუალობას.

დიდი ქართველი პედაგოგის შეხედულებები პიროვნების ჰარმონიული განვითარების შესახებ მიეკუთვნება და ეფუძნება „ახალი ტიპის ქართველის“ აღზრდის შესახებ მსოფლმხედველობრივ კონცეფციას.

ყოველმხრივ განვითარებული „ახალი ტიპის ქართველის“ აღზრდაში გონებრივ და ესთეტიკურ აღზრდასთან ერთად დიდი ადგილი უჭირავს ზნეობრივ და რელიგიურ განვითარებას, რომლის შინაარსს შეადგენს ქრისტიანული მრწამსი, პატრიოტიზმის, მეგობრობა და თანასწორობა, საერთოდ ინტერესებისათვის ბრძოლა, ათი მცნების განუხრელი დაცვა.

„ცივი ომი“ – ცივი გონებით

გამოვიდა ცნობილი დიპლომატისა და მეცნიერის, პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორის, ზურაბ აბაშიძის წიგნი: „ცივი ომი – წარსული თუ დღევანდელობა? თბ., 2009“. ავტორი წინასიტყვაობაში აღნიშნავს, რომ: „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საერთაშორისო ურთიერთობების შესახებ ლექციათა კურსის კითხვისას უცნაური რამ აღმოვაჩინე – სტუდენტთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა ცოტა, ან თითქმის არაფერი იცის „ცივი ომის“ შესახებ. ის, რაც ჩემი თაობისათვის საყოველთაოდ ცნობილი, გუშინდელი მოვლენებია, მათთვის შორეული ისტორიული წარსულია, რომელსაც ნაკლები შეხება აქვს დღევანდელობასთან“. როგორც ჩანს, სწორედ ეს გახდა ზურაბ აბაშიძისათვის ის ბიძგი, რათა მას სტუდენტებისათვის და ამ საკითხებით დაინტერესებულ მკითხველისათვის შეექმნა ასეთი მშვენიერი ნაშრომი და მათთვის მიეწოდებინა დღემდე უცნობი ფაქტები. რაც მთავარია „ცივი ომის“ წლებში განვითარებული მოვლენებისადმი, გაეკეთებინა მეცნიერული და მიუკერძოებელი ანალიზი.

როგორც ცნობილია „ცივი ომი“ სათავეეს იღებს მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, კერძოდ, კი 1946 წლიდან, როდესაც ცხადი გახდა, რომ „შტეტინიდან ბალტიის ზღვაზე და ტრიესტამდე ადრიატიკის ზღვაზე, – მთელი კონტინენტის გადაკვეთით ევროპაში დაეშვა „რკინის ფარდა“. დასავლეთი მიხვდა, რომ დამთავრდა მოკავშირეთა თაფლობისა და სტალინისათვის არ „წყენინების“ ხანა.

ავტორი აანალიზებს რა ფაშისტური გერმანიის დამარცხებისა და პოსტდამის კონფერენციის შედეგებს, სავსებით სამართლიანად მიუთითებს: მისი (პოსტდამის კონფერენციის) ყველაზე „მშრალი ნალექი“ იყო, ევროპის გავლენის სფეროებად დაყოფა, რასაც XX საუკუნის მთავარი დაპირისპირება – „ცივი ომი“ მოჰყვა“. ზურაბ აბაშიძე, როგორც პროფესიონალი დიპლომატი დიდი ყურადღებით განიხილავს აშშ-ს საელჩოს თანამშრომლის 1946 წელს ჯერ კიდევ „ვინმე“ ჯორჯ კენანის „გრძელ ტელეგრამას“. ჩვენის აზრით, იგი სავსებით სამართლიანად სწორედ აქედან იწყებს „ცივი ომის“ ორმოცწლიანი ეპოპეის მეცნიერულ შესწავლა-გადმოცემას. ნაშრომში აქცენტი გამახვილებულია 1950-იან წლებში კორეის ნახევარკუნძულზე განვითარებულ დრამატულ მოვლენებზე. ავტორი სიღრმისეულად ხსნის ამ უცნაური ომის გამომწვევ მიზეზებს და ხასიათს. იგი ამას წარმატებით ახერხებს, როდესაც ამ ომის გამომწვევ მოვლენებსა და მიმდინარეობას მიზეზ-შედეგობრივ კავშირში განიხილავს.

ისტორიის ფალსიფიკატორებს ნ. ხრუშჩოვი სურთ წარმოადგინონ, როგორც მშვიდობის მტრედი, როგორც სსრკ-ში ისე მთელ მსოფლიოში. ისინი შეგნებულად თუ შეუგნებლად ივიწყებენ თბილისის 1956 წლის 9 მარტის და უნგრეთის ნოემბრის მოვლენებს, ნოვოჩერკასკის ამბებს. ზ. აბაშიძე მათ პასუხს სცემს ფაქტებისა და მოვლენების ღრმა ანალიზით, როდესაც წერს: „ხრუშჩოვის ეპოქის სიმბოლო-მშვიდობის მტრედი – ბუდაპეშტის ქუჩაში ეგდო ტანკით გასრესილი“.

ავტორის თვალთახედვის და გაანალიზების გარეშე არ არის დარჩენილი „ცივი ომის“ პერიოდში მიმდინარე არცერ-

თი მნიშვნელოვანი მოვლენა ასეთებია: ჩინეთის კულტურული რევოლუცია, ბერლინის კრიზისი, ატომური შანტაჟი კუბის ტროპიკებში, პრაღის გაზაფხული, 60-იან წლებში ახლო აღმოსავლეთში განვითარებული მოვლენები, ირანის ისლამური რევოლუცია, კამპუჩიური ქმერები, ავღანეთის ტრაგედია, პოლონური სოლიდარობა, აღმოსავლეთ ევროპის ხავერდოვანი რევოლუციები. რაც მთავარია, მეცნიერი ფაქტების გამოწვლილვითი შესწავლით, საქმის ღრმა ცოდნით იძლევა დასკვნებს „ცივი ომის" ეპოქის შესახებ.

ზ. აბაშიძე ოსტატურად გადმოგვცემს ჩინეთის „გაგიჟების" ამბებს. მას თხრობის პროცესში ისიც ეხმარება, რომ მამის, – ცნობილი პოეტის ი. აბაშიძისაგან ისეთი ფაქტები იცოდა, რომელიც საბჭოთა კავშირში გასაიდუმლოებული იყო. ზ. აბაშიძე დიპლომატი მოღვაწის გადასახედიდან გამომდინარე საინტერესოდ გადმოგვცემს 60-70-იანი წლების მიჯნაზე ჩინეთ-აშშ-ს შორის მიმდინარე საიდუმლო მოლაპარაკებებს (ე.წ. შანხაის კომუნიკე), რომლის შედეგებმა მოსკოვი დიდად შეაშფოთა და ფაქტობრივად „თამაშგარე" მდგომარეობაში დატოვა.

ავტორი, რომელიც „ცივი ომის" პერიოდში განვითარებულ მოვლენათა თანამედროვეა კრიტიკულად განი¬ხილავს აშშ-ს პოლიტიკას ვიეტნამთან მიმართებაში. იგი საუბრობს რა აშშ-ზე, როგორც თავისუფლების სიმბოლოზე, მეორე მხრივ საკმაოდ არაორაზროვნად აღნიშნავს: „ვიეტნამის ომი გარკვეულწილად გაუგებარი იყო ჩვენი თაობისათვის. ერთი მხრივ, ჩვენ დიდი სიმპათიით ვიყავით განწყობილი აშშ-ს მიმართ, მზად ვიყავით ნებისმიერი მისი ნაბიჯი გაგვემართლებინა, მაგრამ მეორე მხრივ, ომის საშინელი ქრონიკა, ნა-

პალმით დამწვარი ბავშვების კადრები სერიოზულ სკეფსისა და კითხვებს ბადებდა. რამდენად საჭირო იყო ასეთი სისასტიკე და ძალადობა? ამ კითხვაზე ჩვენ პასუხი არ გვქონდა". აგრძელებს რა თხრობას, მეცნიერი საფუძვლიანად განიხილავს ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის 1975 წლის ჰელსინკის კონფერენციას. იგი მიუთითებს რომ ეს კონფერენცია საბჭოთა კავშირისათვის დიდი მიღწევა იყო, ვინაიდან აკანონებდა II მსოფლიო ომის შემდეგ მოსკოვის გავლენის სფეროებში მოქცეული სახელმწიფოების საზღვრებს. თუმცა იქვე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირმა აღიარა რა ამ კონფერენციაზე ადამიანის ფუძემდებლური უფლებები, ისინი მოსკოვისათვის „უფრო საშიში აღმოჩნდა ვიდრე ნებისმიერი რადიუსის რაკეტა". სწორედ ჰელსინკში დაწყებული მოვლენების შემდეგ დაიწყო საბჭოთა რეჟიმის შეუქცევადი რღვევის პროცესი.

ჩვენი აზრით ზ. აბაშიძე ფსიქოლოგიური თვალსაზრისით „ცივი ომის" დასრულებას სავსებით სწორად უკავშირებს ბერლინის კედელის დანგრევას. თუმცა, აქვე უნდა დავუბრუნდეთ წიგნის სათაურს: „ცივი ომი – წარსული თუ დღევანდელობა?", სადაც დიპლომატი მრავალმნიშვნელოვან კითხვას სვამს. იქიდან გამომდინარე, რომ ჩვენი სამშობლო საქართველო ფაქტობრივად დღეს იგივე სიტუაციაშია, როგორშიც იყო მსოფლიო 1946-1990 წლებში. რაც კიდევ ერთხელ დაადასტურა 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომმა, სადაც მიუხედავად საერთაშორისო თანამეგობრობის უმწვავესი რეაქციისა რუსეთის აგრესიის მიმართ, სამწუხაროდ, ყველაფერი მაინც დასავლეთის მიერ რუსეთის მიმართ „შემწყნარებლობით" მთავრდება. აქვე ავტორი, ეხება

რა დღეს საქართველოში არსებულ მწვავე პრობლემებს, ხაზს უსვამს იმას, რომ აუცილებელია ჩვენს საზოგადოებაში არსებული „ცივი ომის“ დამთავრება, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდება სასიცოცხლოდ აუცილებელი ამოცანების გადაწვეტა. ამდენად სრულიად რეალისტური პოზიციებიდანაა ნააზრევი ავტორის ფრაზა: „მშვიდობის მოგება უფრო ძნელია, ვიდრე ომის“.

ზ. აბაშიძის წიგნი ძვირფასი შენაძენია, როგორც მეცნიერების ისე ქართული პოლიტიკური აზროვნების სფეროში. ვფიქრობთ, აღნიშნული ნაშრომის მიმართ დიდ ინტერესს გამოიჩენს ქართული სახელმწიფოს პოლიტიკური ისტებლიშმენტი, რომელთა საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი სამწუხაროდ, სახელმწიფოებრივი, პოლიტიკური და დიპლომატიური აზროვნების დეფიციტს განიცდის.

ნაშრომი ერთგვარი გაფრთხილებაა თანამედროვე კომპიუტერიზირებული მსოფლიოსათვის. ამის მაგალითია, ავტორის მიერ 1980 წლის ნოემბერში მოყვანილი ინციდენტი, როდესაც კომპიუტერის შეცდომამ კაცობრიობა ლამის დაღუპვამდე მიიყვანა, მაგრამ გადავრჩით...

დასასრულ, საგანგებოდ უნდა ავღნიშნოთ, რომ ეს არის წიგნი „ცივი ომის“ შესახებ, რომელიც დაწერილია ცივი გონებით. ჩვენი თხოვნა იქნება ზ. აბაშიძისადმი, რომ გააგრძელოს მუშაობა აღნიშნული თემის ირგვლივ, ვინაიდან, როგორც თავად აღნიშნავს – ამ თემაზე არსებული ლიტერატურის ნაწილი მისი ყურადღების გარეშე დარჩა, და უფრო ყოვლისმომცველი და დიდტანიანი ნაშრომი მიაწოდოს სტუდენტებსა და ქართველ საზოგადოებრიობას.

ზნეობრივი იდეალები და თანამედროვეობა

თანამედროვეობა ახალ ამოცანებს ბაყენებს სკოლისა და პედაგოგიკური მეცნიერების წინაშე. ჰარმონიულად განვითარებული ადამიანის აღზრდა არის ის ძირითადი მიზანი, რომელსაც უნდა ემსახურებოდეს სასწავლო-აღმზრდელობითი საქმიანობა. ამ ამოცანის წარმატებით გადაჭრა ორგანულად უკავშირდება ჩვენი პედაგოგიკის დიდ წინამორბედთა მდიდარი მემკვიდრეობის შემოქმე-დებით ათვისებასა და მასში ყოველივე იმის გამოვლენას, რაც განსაკუთრებით ესაჭიროება დღევანდელ თეორიასა და პრაქტიკას. წარსულის პროგრესული მემკვიდრეობის ახალ ამოცანათა შესაბამისად გაანალიზება ემყარება მოზარდი თაობის აღზრდისადმი კომპლექსური მიდგომის პრინციპს და იგი პედაგოგიკის აქტუალურ პრობლემათა ორგანული ნაწილია. კლასიკური პედაგოგიკური მემკვიდრეობის ანალიზი და განზოგადება აუცილებლად გულისხმობს ისეთ პრობლემურ ისტორიულ-პედაგოგიკურ კვლევას, რაც თანამედროვეობისაკენ არის მიმართული. ამ მხრივ უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს იაკობ გოგებაშვილის თეორიულ და მხატვრულ-პუბლიცისტური მემკვიდრეობის, მის მიერ პედაგოგიკურ აზროვნებაში შეტანილი წვლილის შეფასებას თანამედროვეობის პოზიციებიდან.

იაკობ გოგებაშვილის მოღვაწეობა წმინდა ისტორიული განზომილებით არ განისაზღვრება, იგი ინარჩუნებს მრავალმხრივ კავშირს მომდევნო ეპოქებთანაც. დრომ სავსებით ცხადყო, რომ გოგებაშვილის პედაგოგიკური შეხედულებანი, მი-

სი საქმე და მოქალაქეობრივი პოზიცია თავის არსისა და ძირითადი პრინციპებით სადღეისო ამოცანებსაც ემსახურება.

ას წელზე მეტმა განვლო ი. გოგებაშვილის მოღვაწეობის დასაწყისიდან, მას შემდეგ ძირეულად შეიცვლება საზოგადოებრივი ცხოვრება, ხოლო თვით პედაგოგიკური მეცნიერება ჭეშმარიტ მეცნიერულ-ფილოსოფიურ საფუძველს დაემყარა. ამიტომ წარსულის მემკვიდრეობიდან ყველაფრის ხელაღებით მიღება შეუძლებელია. წარსული უკვალოდ არ ქრება და განახლებული სახით განაგრძობს არსებობას აწმყოში. ი. გოგებაშვილის წვლილი დემოკრატიული პედაგოგიკის, აღზრდისა და განათლების მოწინავე იდეების დანერგვასთან, რომ დღესაც გვეხმარება იმ პრაქტიკულ-კონკრეტული და თეორიული პრობლემების გადაჭრაში, რომლებიც წამოიჭრება დღევანდელ ეტაპზე.

ი. გოგებაშვილის მოღვაწეობა ამ უძველესი ჰუმანისტური ტრადიციის იმ მნიშვნელოვან ეტაპს ეკუთვნის, როდესაც, მსოფლმხედველობის ზეგავლენის შედეგად ჰარმონიული ადამიანის დანიშნულების კონკრეტიზაცია ხდებოდა; როდესაც საზოგადოებისათვის თავდადებული პიროვნების განყენებული იდეალი მეტი შინაარსით აივსო, მთელი სიცხადით გაისმა მშრომელი ხალხის, ეროვნული და სოციალური იდეალებისათვის მებრძოლ ადამიანთა ჩამოყალიბებისათვის ბრძოლის აუცილებლობის მოთხოვნას.

ი. გოგებაშვილის წვლილი ქართულ დემოკრატიული პედაგოგიკის მეცნიერული სისტემის ჩამოყალიბებაში იმითაც არის ღირსშესანიშნავი, რომ შემუშავებულ იქნა არა საერთოდ ადამიანის, არამედ არსებულ ბოროტებასთან მებრძოლი მოქალაქის ფორმირების კონკრეტული ფორმები და

საშუალებანი საქართველოს ეროვნული თავისებურების შესაბამისად. მთელი თავისი პედაგოგიკური მოძღვრება ი. გოგებაშვილმა „ახალი ტიპის ქართველის“ აღზრდის კონკრეტულ ამოცანებს დაუქვემდებარა. დღესაც ინარჩუნებს თავის ძალას მამულიშვოლობის, პატრიოტობის ის განსაზღვრება, რომელიც ი. გოგებაშვილმა ასი წლის წინ ჩამოაყალიბა.

ზნეობრივი აღზრდისადმი პედაგოგიკის კლასიკოსის მიდგომაში განსაკუთრებით პროგრესულია თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ ადამიანი არაა გარემოს უბრალო ნაყოფი: პიროვნებას გარემო აყალიბებს, მაგრამ ამასთანავე იგი თვითონაც მონაწილეობს ამ გარემოს გარდაქმნაში.

„ბუნება და ადამიანი ერთმანეთზე განუწყვეტლად მოქმედებენ. ადამიანის ბუნებაში, ვიდრე არ დაამყარებს შესაძლო ჰარმონიას მისსა და თვის მოთხოვნებს შორის“.

ი. გოგებაშვილს ნათლად ჰქონდა შეგნებული, რომ ადამიანი არა მხოლოდ თავისი მიზნებისა და იდეალების შესაბამისად გარდაქმნის გარემოს, არამედ, ამასთანავე, თავის თავსაც, თავის შინაგან სამყაროსაც ასხვაფერებს.

დღეს, როდესაც ეგზისტენციალისტები და სხვა ბურჟუაზიული ფილოსოფოსები ცდილობენ დაამტკიცონ, თითქოს მორალური წარმოდგენები და სოციალურად მიზანდასახული ამოცანები ბოჭავენ პიროვნებას და მხოლოდ არატერმინირებული „შინაგანი თავისუფლების“ ილუზიურ სამყაროში მდებარეობს ჭეშმარიტი თავისუფლება, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ზნეობრიობის ჰუმანისტური გაგების შეთვისებას პედაგოგიკის კლასიკური მემკვიდრეობიდან. ი. გოგებაშვილს მიაჩნია, რომ ზნეობრივია მხოლოდ ისეთი ქმედება, როდესაც პიროვნების მიერ თავისი ნება-სურვილის

აღსრულება შეესაბამება საზოგადოების ინტერესებს. კერძოდ, ზნეობრიობის შესახებ ი. გოგებაშვილის შეხედულებანი დღესაც აქტუალურია და მისაღებია ჩვენთვის იმ მხრივ, რომ მას განუყრელ ერთიანობაში აქვს წარმოდგენილი ზნეობრიობა და თავისუფლება. ამასთან „ი. გოგებაშვილის დიდაქტიკაში განსაკუთრებით ღირსშესანიშნავია ისიც, რომ ის მტკიცედ იცავს და ავითარებს პროგრესულ შეხედულებებს იმის შესახებ, რომ სწავლებას უნდა ჰქონდეს აღმზრდელობითი მიმართულება, მას ვერ წარმოედგინა აღზრდისაგან მოწყვეტილი სწავლება“.

დადგენილია, რომ ზნეობრიობის ჩამოყალიბებაზე ნაყოფიერ ზეგავლენას ახდენს სასწავლო მასალის შინაარსი და სწავლების ისეთი მეთოდები, რომლებიც ხელს უწყობენ მოსწავლეთა შემეცნებით საქმიანობას და დადებით ზეგავლენას ახდენენ მორალურ განწყობაზე.

დიდი ქართველი პედაგოგი ყოველთვის იცავდა იმ აზრს, რომ მოსწავლეთა აღჭურვა ცოდნით მხოლოდ მაშინ აღწევს საბოლოო შემეცნებითსა და პედაგოგიურ მიზანს, როდესაც აღმზრდელები ამკვიდრებენ მათში „ზნეობრივ, ჰუმანურ პრინციპებს და, მაშასადამე, მოქმედებენ მათზე აღმზრდელობითი სულისკვეთებით და მიმართულებით“.

როგორც სწავლების პროცესში, ასევე სახელმძღვანელოებისა და პროგრამების შედგენისას თანამიმდევრულად უნდა იქნეს გათვალისწინებული მოთხოვნა იმის შესახებ, რომ სწავლა-განათლება, ამავე დროს, ზნეობრივ სრულყოფას უნდა ისახავდეს მიზნად. „პატიოსნის, კეთილშობილის გრძნობების აღზრდა მოზარდი თაობის გულში კიდევ უფრო სა-

ჭიროა და ძვირ-ფასია, ვიდრე გონების გამდიდრება სხვადასხვა ცოდნითა“.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა სწავლების, აღზრდისა და შრომისათვის მომზადების შემდგომი სრულყოფის შესახებ საზოგადოების მომავალ მოქალაქეთა ზნეობრივი აღზრდისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს მათში შრომითი ჩვევების დანერგვას. ამ მეტად მნიშვნელოვანი საქმის მაღალ დონეზე წარმართვა გულისხმობს სწორი თეორიული და მეთოდოლოგიური პრინციპების მომარჯვებას. ამ მხრივ სულ უფრო აქტუალურ მნიშვნელობას იძენს წარსულის პედაგოგიური აზრის გათვალისწინება. დებულება იმის შესახებ, რომ შრომა, საზოგადოებრივ-სასარგებლო საქმიანობა ზნეობრიობისა და ზნეობრივი აღზრდის საფუძველია, მრავალმხრივ და სხვადასხვაგვარად არის არგუმენტირებული გოგებაშვილის ნაშრომებში. იგი კვლავაც ინარჩუნებს გარდაუვალ ღირებულებას და ახალი შინაარსით იმსჭვალება ჩვენს ეპოქაში, როდესაც ყველა პირობაა შექმნილი პედაგოგიკის დიად წარმომადგენელთა ჰუმანისტური იდეალების ხორცშესხმისათვის.

სასკოლო ცხოვრების შრომითი აღზრდის პრინციპებზე აგების შესახებ აზრს რომ ავითარებდა, ი. გოგებაშვილი „იმ ჭეშმარიტი მატერიალისტური თეზისიდან გამოდიოდა, რომ ბუნება და ადამიანი ერთმანეთზე განუწყვეტლად მოქმედებენ, ადამიანს ბევრგვარი ცვლილება შეაქვს ბუნებაში“.

„ბუნების-კარის“ ყოველი მასალა შრომის გარდამქმნელი ძალისა და მნიშვნელობის ერთგვარი მხატვრული და მეცნიერული არგუმენტაციაა. ი. გოგებაშვილს არ შეუქმნია საგანგებო ნაშრომები ზნეობრივი აღზრდის შესახებ, მაგრამ მის

სტატიებში მთელი სიცხადით გამოსჭვივის, რომ ზნეობის საფუძველს შრომა და საზოგადოების საკეთილდღეოდ მოღვაწეობა წარმოადგენს. შრომის უგულებელყოფა, მისი აზრით, აუძლურებს პრივილეგიურ წოდებებს, ართმევს მათ ზნეობრივ ღირსებას და საფუძველს აცლის მათ არსებობას. იგი ქვეყნისათვის სასარგებლოდ მიიჩნევდა იმ წოდებათა გადაშენებას, რომლებიც „შრომის პრინციპის“ უგულებელყოფის გამო „დამჭკნარსა და გამხმარს ტოვებს“ დამსგავსებოდნენ და მოკლებული იყვნენ მომავლის პერსპექტივას“. ი. გოგებაშვილის აზრით, შრომა ჰარმონიული პიროვნების აღზრდის, მისი ფიზიკური, გონებრივი, ზნეობრივი და ესთეტიკური ფორმირბის აუცილებელი პირობაა.

ჩვენს სკოლებში დიდი ყურადღება ეთმობა მოსწავლეთა ჩაბმას საზოგადოებრივ-სასარგებლო და საწარმოო საქმიანობაში. მაგრამ ჯერ კიდევ ყოველთვის როდი ითვალისწინებენ, რომ ყოველივე ამან შეიძლება განაპირობოს როგორც შრომისმოყვარეობა, ასევე ნეგატიური დამოკიდებულება შრომისადმი. გოგებაშვილი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ შრომაში ჩაბმა მხოლოდ მაშინ ასრულებს ზნეობრივ ფუნქციას, როდესაც ეს პროცესი დადებით ემოციურ და აზრობრივ განცდებს იწვევს. შრომითი აქტიურობა მაშინ არის შესაძლებელი და მიზანშეწონილი, როდესაც შრომის ორგანიზაციის პროცესი მოსწავლეებში სიხარულის, კმაყოფილების განცდას იწვევს.

ი. გოგებაშვილი მოითხოვდა მოსწავლეებისათვის „ცხოვრებაში პრაქტიკულად საჭირო და უშუალოდ სასარგებლო საქმის“ ჩვევათა გამომუშავებას. იგი მოითხოვდა სასკოლო საქმის ისე ორგანიზებას, რომ ცოდნის შეძენის, შრომითი

აღზრდის, ზნეობრივი წრთობის პრინციპები ურთიერთდაკავშირებული ყოფილიყო. მისი აზრით, სკოლა უნდა იძლეოდეს „ერთად შეზავებულს გონებრივს, ზნეობრივსა და პრაქტიკულ სინათლეს“. მის ნაშრომებში გატარებულია აზრი, რომ სწავლების პროცესში აუცილებელია შემეცნების შეერთება სიამოვნებასთან, შრომითი აღზრდის პროცესს უნდა ჰქონდეს შემეცნებითი მნიშვნელობა, უნდა იყოს ხალისის მომგვრელი.

ი. გოგებაშვილის თეორიულ შეხედულებებში, მის დიდაქტიკურ მითითებებსა და სახელმძღვანელოებში თანამიმდევრულად არის გატარებული თვალსაზრისი ეთიკურისა და ესთეტიკურის მჭიდრო ურთიერთკავშირის შესახებ. ესთეტიკური განცდა მას მიაჩნია პიროვნების აღზრდის ერთერთ მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილად. მისი სახელმძღვანელოები – „დედა ენა“, „რუსკოე სლოვო“ და ნაწილობრივ – „ბუნების კარი“ წარმოადგენენ მოსწავლეთა პიროვნების ფორმირებაზე მხატვრული სიტყვის საშუალებით ზემოქმედების გოგებაშვილისეულ თეორიულ შეხედულებათა შესანიშნავ დადასტურებას. აქ წარმოდგენილია ქართველ და უცხოელ მწერალთა ისეთი ნაწარმოებები, რომელთაც არა მხოლოდ შემეცნებითი და წმინდა ესთეტიკური ღირებულება აქვთ, არამედ, ამასთანავე, განადიდებენ მაღალ ზნეობრივ თვისებებს.

ი. გოგებაშვილი მოითხოვდა, რომ ლიტერატურა „თავისი პირდაპირი დანიშნულების გარდა“ უნდა გამოირჩეოდეს „აღმზრდელი ხასიათით“.

ამიტომაა, რომ ამ სახელმძღვანელოებში მოთავსებული მასალის დიდმა ნაწილმა გაუძლო დროის გამოცდას და თა-

ვისი მკვიდრი ადგილი მოიპოვა დაწყებითი კლასების თანამედროვე სახელმძღვანელოებში. მოზარდი თაობებისათვის ლიტერატურული, მხატვრული მასალის შერჩევისას ესთეტიკური და მაღალზნეობრივი ჟღერადობის შერწყმის გოგებაშვილისეული პრინციპი მკაცრად უნდა იქნეს დაცული ყოველთვის, როცა სახელმძღვანელოებს ახალი ნაწარმოებებით ვავსებთ.

ი. გოგებაშვილის პედაგოგიკურ შეხედულებათა არსენალში დღესაც აქტუალურ და ცხოველმყოფელ იდეათა შორის ფრიად საგულისხმოა აგრეთვე თვალსაზრისი პიროვნების ჩამოყალიბების ერთიანი რთული პროცესის ორ-გვარი ხასიათის შესახებ:

ი. გოგებაშვილი არ ცნობდა მისი დროის პედაგოგიურ გამოკვლევებში გავრცელებულ აზრს, რომელიც პიროვნების ფორმირებას მთლიანად მემკვიდრეობითობის ან გარემოს ზეგავლენით ხსნის და ამდენად თვით პიროვნების აქტიურობას, მის ნებელობას უგულებელყოფს. მატერიალისტურ თვალსაზრისიდან გამომდინარე, გოგებაშვილი პიროვნებას ხედავს არა მხოლოდ საზოგადოებრივ ურთიერთობათა სისტემაში, არამედ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს აგრეთვე მის შინაგან სულიერ სამყაროს.

პიროვნების ფორმირების გოგებაშვილისეულ გააზრებაში დეტერმინიზმი არ აუქმებს თვით პიროვნების აქტიურობის პრობლემას. „საზოგადოების არიალს, ქვეყნის თვალს, აღნიშნავდა ი. გოგებაშვილი, – შეადგენენ ის პირნი, რომელნიც პიროვანი სიამოვნების მონანი კი არ არიან, არამედ მედგრად ემორჩილებიან თავის წმინდა მოვალეობას... სკოლამ ეს მხედველობაში უნდა იქონიოს ყოველთვის და მოსწავლე-

ებსაც ნელ-ნელა მიაჩვიოს იმისთანა სამუშაოებსაც, რომელიც უსიამოვნოა, მაგრამ მათთვის და საზოგადოებისათვის სასარგებლო“. იგი მოითხოვდა, რომ აღზრდისა და სწავლების, ჰარმონიული პიროვნების განვითარების პროცესი შეიცავდეს „ნებისა და მისწრაფების განვითარებას“.

ამგვარად, ი. გოგებაშვილის თვალსაზრისი, რომ მოსწავლეზე გარედან მომდინარე ზემოქმედება გაშუალებული და დაკავშირებულია მოსწავლის შინაგან განწყობასა და აქტიურობასთან, სავსებით შეესაბამება პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის უახლეს მიღწევებს. კერძოდ, დ. უზნაძის განწყობის თეორიას, სწავლებასა და აღზრდასთან დაკავშირებთ ეს იმას ნიშნავს, რომ მასწავლებელი. აღმზრდელი, კოლექტივი ჯეროვან ყურადღებას უნდა უთმობდნენ მოსწავლის არა მხოლოდ სათანადო ცოდნით აღჭურვას, არამედ აგრეთვე მისი შინაგანი ემოციური სამყაროსა და ცნობიერების წარმართვას სწორი მიმართულებით. ამასთანავე, აუცილებელია ამ პროცესის თეორიული პრობლემატიკის უფრო ღრმად შესწავლა დღევანდელ მონაპოვართა და ამოცანათა შესაბამისად.

ი. გოგებაშვილი მოითხოვდა, რომ აუცილებელია „გავამეფოთ ჩვენს ცხოვრებაში პრინციპი მომავლისა“. მისი ზნეობრივი იდეალებიც მიმართული იყო უკეთესი და ნათელი მომავლისაკენ. სწორედ ეს არის მათი გარდაუვალი ღირებულება.

კიდევ ერთხელ პედაგოგიკის საგნის კვლევის შესახებ

კვლევის საგნის საკითხი პედაგოგიკის კარდინალური მნიშვნელობის საკითხია ისევე, როგორც ყველა ნამდვილ მეცნიერებაშია ეს; თუ მეცნიერებამ ვერ გაარკვია თავისი კვლევის საგანი მისი სპეციფიკით, კითხვის ქვეშ დგება მისი დამოუკიდებლად არსებობის უფლება. საკვლევი საგნის განსაზღვრა, მისი სპეციფიკის დადგენა, არსში წვდომა, ჩაღრმავება და კვლევის ლოგიკით მიღებული შედეგების თანმიმდევრობით სისტემურად გადმოცემა ქმნის მოცემული მეცნიერების სტრუქტურას: რით დავიწყოთ, რა თანმიმდევრობით და მიმართულებით გავშალოთ მსჯელობა და საგნის შინაარსის გადმოცემა, რით დავასრულოთ. ლოგიკით მიღებული სტრუქტურის გათვალისწინება შემდეგში განსაზღვრავს მოცემულ მეცნიერებაში სასწავლო სახელმძღვანელოს შექმნასაც.

პედაგოგიკის საგნის, მისი სპეციფიკის გარკვევა-განსაზღვრაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს კლასიკოს პედაგოგთა პრაქტიკული და თეორიული გამოცდილების სერიოზულად შესწავლასა და გათვალისწინებას. ამ მხრივ იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიური მემკვიდრეობა უნიკალურია, რადგან მასში გათვალისწინებულია, როგორც იტყვიან, „კლასიკური პედაგოგიკის „ოქროს ფონდი“, ე.ი. ის ჭეშმარიტად მეცნიერული, რომელსაც ჟამთა სვლაში ჟანდი არ ეკიდება და ის სიახლეს, რაც თავად იაკობის ხანგრძლივი და

ფართო მასშტაბის პრაქტიკული პედაგოგიური მოღვაწეობითაა მოპოვებული და მისივე თხზულებებშია ასახული.

პროფ. ბ. თავზიშვილი, რომელიც ჯერ კიდევ XX საუკუნის 30-იანი წლების პირველ ნახევარში გულმოდგინედ კრებდა მასალებს პედაგოგიკაზე ქართული ენციკლოპედიისათვის, იაკობ გოგებაშვილის ბიოგრაფიასა და მის პედაგოგიურ მემკვიდრეობას განსაკუთრებული ყურადღებით სწავლობდა, კვლევამ მას აჩვენა, რომ ჯერ კიდევ თბლისის სასულიერო სემინარიაში ყოფნის დროსავე (1855-1861 წწ.) „გაეცნო იაკობი რუსეთის დიდი პედაგოგის კ. დ. უშინსკის პედაგოგიურ წერილებს, რომლებიც იბეჭდებოდა“ იმ დროს გამომავალ რუსეთის პედაოგიურ ჟურნალებში, რამაც აღუძრეს დიდი ინტერესი სახალხო განათლების საკითხებისა და პედაგოგიური მეცნიერებისადმი“.

ამავე დასკვნამდე მივიდა აკად. დ. ო. ლორთქიფანიძეც თავის ნაშრომში – „კ. დ. უშინსკის პედოგოგიური მოძღვრება“, სადაც აღნიშნულ საკითხს სპეციალური თავი მიუძღვნა.

ორივე ამ ავტორთა გამოკვლევით, კიევის აკადემიაში სწავლის წლებში (1861-1863 წწ.) „იაკობ გოგებაშვილი საფუძვლიანად გაეცნო დარვინს, ჰუმბოლტს, სპენსერს, შლოსერს. კითხლობდა კანტს, ჰეგელს და სხვებს. განსაკუთრებული ყურადღებით სწავლობდა რუსი დემოკრატების თხზულებებს. იაკობმა სერიოზულად მოჰკიდა ხელი აგრეთვე პედაგოგიური ლიტერატურის შესწავლას, დაამუშავა პედაგოგიკის კლასიკოსები (კომენსკი, რუსო, პესტალოცი, დისტერვეგი, პიროგოვი) და პედაგოგიკის ისტორიის ცალკე კურსები. დიდ ინტერესს იჩენდა იგი აგრეთვე პერიოდული პრესისადმი. გულმოდგინედ კითხულობდა „სოვრემენნიკ“-ს ჟურ-

ნალ „მინისტრესტვა ნაროდნოგო პროსვეშენია“-ს, რომელსაც 1860-1862 წლებში რედაქტორობდა კ. დ. უშინსკი, ჟურნალ „ვოსპიტანიე“-ს და სხვებს“.

პედაგოგიკოს მკვლევარებს დ. ლორთქიფანიძე, გ. თავზიშვილი სამართლიანობით უსვამენ ხაზს იაკობ გოგებაშვილზე კ. დ. უშინსკის დიდ გავლენას. პოლონეთის აჯანყების ჩახშობისა და თვითმყრობელობის რეაქციის გაძლიერების პირობებში, კ. დ. უშინსკიმ შეიცვალა მიმართულება პედაგოგიკის მეცნიერების საზიანოდ, რაც იძულებით და გარკვეული მოსაზრებით გააკეთა სინოდისა და იმპერიული ოფიციოზის წინააღმდეგ...

იაკობ გოგებაშვილმა კი შეითვისა კ. დ. უშინსკის პედაგოგიური მემკვიდრეობის ყველაზე საუკეთესო, რაც კი შექმნა კ. დ. უშინსკიმ 1857-1863 წლებში; 1863 წელს იაკობი უკვე საქართველოშია და, მიუხედავად სუსტი ჯანმრთელობისა, მთელი არსებით, მისთვის ჩვეული გულმოდგინებით ჩაება საზოგადოებრივ მოღვაწეობაშ, ქართველ ბავშვთა აღზრდის იმ დროს უმწვავესი პრობლემის პრაქტიკული გადაჭრის რთულ პროცესში.

იაკობ გოგებაშვილმა იმთავითვე არ მიიღო კ. დ. უშინსკის მცდარი მეთოდოლოგია, რადგან ამ დროისათვის იაკობი საკმაოდ გამობრძმედილი იყო არა მარტო თეორიულად, არამედ ამასთან ღრმა შინაარსიანი, ფართო მასშტაბის, ყოველმხრივ და საკმაოდ ხანგრძლივი, ნაყოფიერი პედაგოგიური პრაქტიკითაც.

არამედ, პედაგოგიკის მეცნიერების საკითხში, მისი კვლევის საგნის საკითხში, პედაგოგიკისათვის პედაგოგიური პრაქტიკის მნიშვნელობის საკითხში, ჰუმანიზმის გაგების

საკიტხში 1860-იანი წლების მეორე ნახევრიდან კ. დ. უშინსკის პოზიციის შეცვლის გამო იაკობი კ. დ. უშინსკის „მოწაფე და მიმდევარი“ კი არა, მისი პირდაპირი უარყოფაა; სასწავლო სახელმძღვანელოების შედგენის პრინციპების გაგებაშიაც იაკობი კ. დ. უშინსკიზე მაღლა დადგა განსაკუთრებით 1870-იანი წლების მეორე ნახევრიდან.

პედაგოგიკის მეცნიერების დაცვისათვის პრინციპულ, ინტენსიურ და შეუპოვარ ბრძოლაში იაკობი კ. დ. უშინსკის კაპიტალურ ნაშრომს „ადამიანი, როგორც აღზრდის საგანი“, თუმცა არ იყენებს, არ ეყრდნობა და არც ახსენებს, მაგრამ პირადად კ. დ. უშინსკის ბოლომდე გულთბილად და პატივისცემით, მოიხსენიებს პედაგოგიკის მეცნიერებაში იმ დამსახურებისათვის, რომელიც მას მიუძღვის განსაკუთრებით თავისი მოღვაწეობის პირველ ნახევარში 1864 წლამდე, როცა ის წმინდა პედაგოგიურ პოზიციაზე იდგა, იყო პედაგოგიკის მეცნიერებაში იმ დამსახურებისათვის, რომელიც მას მიუძღვის განსაკუთრებით თავისი მოღვაწეობის პირველ ნახევაში 1864 წლამდე, როცა ის წმინდა პედაგოგიურ პოზიციაზე იდგა, იყო პედაგოგიკის ორთოდოქსი მკვლევარი და პედაგოგიური პოზიციიდან წყვეტდა იმ პრობლემებს მოზარდი თაობის აღზრდის სფეროში, რომელი პრობლემებიც იაკობის წინაშე 1860-იანი წლებიდან, პედაგოგიური მოღვაწეობის დაწყების დღიდანვე მთელი სიმწვავით დადგა. 1901 წელს, კ. დ. უშინსკის გარდაცვალებიდან 30 წლის თავზე, იაკობმა ჟურნ. „კვალში“ მოათავსა სტატია, სადაც პირდაპირ წერს, რომ მასწავლებლობამ უნდა „წმინდად შეინახოს რუსული პედაგოგიკის მამის კ. დ. უშინსკი ანდერძი და არასდროს დაივიწყოს მისი სახელი“, რადგან სხვებს შორის „ის ეროვნული

სკოლების გახსნის ყველაზე ძლიერი მქადაგებელია და მშობლიური ენის მხურვალე დამცველი". ამასთან, იმავე 1901 წელს იაკობმა გაამზადა სტატია „პარიჟის გამოფენისათვის", სადაც გულისტკივილით წერს, რომ „პედადოგიური ნიჭი ვერ დაისადგურებს ვერც კერძო კაცში და ვერც ერში, გარეშე ნამდვილი ადამიანურის გრძნობისა. თუ ბერძნები გაცილებით სჯობდნენ რომაელებსა მოზარდი თაობის აღზრდისა და სწავლების საქმეში, ეს იმიტომ, მათზედ უფრო გაციებით კაცთმოყვარენი იყვნენ... ეგოისტ კაცთა და ტომთა არ ძალუძთ პედაგოგიკის სფეროში შემოქმედებითი ძალა აღმოიჩინონ".

ძნელი არ არის დავინახოლ აქ იაკობის მინიშნება იმაზე, რომ დიდი, დამპყრობი ერის დიდმპყრობელური სულისკვეთება თუ როგორ ზღუდავს თავისი უნიჭიერესი შვილების, პედაგოგ-მკვლევართა, ვთქვარ, როგორიც კ. დ. უშინსკია, კეთილშობილურ შემოქმედებით მოღვაწეობას და ახშობს მათში მაღალ ჰუმანურ გრძნობებს, რითაც აფერხებს და აკნინებს პედაგოგიკის მეცნიერების წინსვლას (და არა მარტო პედაგოგიკისა)...

პატარა საქართველო რუსეთის იმპერიაში თვითონ განიცდიდა დიდმპყრობელურ ჩაგვრასა და სწორედ აქ მოევლინა პედაგოგიკის მეცნიერებას იმ დროს ყველაზე საიმედო და შეუპოვარი მზრუნველი იაკობ გოგებაშვილის სახით, თავისი უკეთილშობილესი და ბავშვების უსაზღვრო სიყვარულით სავსე გულით.

იაკობი წერის, სკოლებმა სასურველი ნაყოფი რომ მოგვცეს, საჭიროა პედაგოგები „კარგად იცნობდნენ სკოლის ორგანიზაციის საქმეს" და იყვნენ დახელოვნებულნი სწავლა-

აღზრდის საქმეში, აქედან გამომდინარეობს, რომ პედაგოგიკის როგორც მეცნიერებისა და ოსტატობის სწავლებამ უნდა დაიკავოს სემინარიის განათლების სისტემაში ერთ-ერთი უპირველესი ადგილი.

იაკობი არაერთგზას მიუთითებს და აღნიშნავს, რომ სკოლა „უძლიერესი კულტურული ღონისძიებაა“, „დიდი და გამაცხოველებელი საუნჯეა“ თუ ის „პედაგოგიურს გზაზეა დაყენებული“, რომ „სკოლა, პედაგოგიურ საფუძველზე მოწყობილი, ყველგან და ყოველთვის წარმოადგენდა უდიდეს საგანმანათლებლო დაწესებულებას“, რომ „მრავალ-საუკუნოვანი პედაგოგიური გამოცდილება და სიბრძნე კაცობრიობის ყველა ბრწყინვალე გონების პატრონისა აღთქმად იმას გვიდებს, რომ სკოლა უწინარეს ყოვლისა პედაგოგიურად იყოს მოწყობილი და მერე სხვა ყოველივე თავის თავად წავაო“.

ერთი სიტყვით იაკობ გოგებაშვილი, როგორც დავინახეთ, ნორმალური სკოლის აგებისა და მისი მუშაობის ნორმალურად წარმართვის აიცულებლად თვლის, რომ მთელი ეს საქმიანობა ეყრდნობოდეს პედაგოგოკურ საფუძვლებს, ანუ მეცნიერულ საფუძვლებს, რადგან კ. დ. უშინსკისაგან განსხვავებით, იაკობისათვის პედაგოგიკა მეცნიერებაა, რომლის დაუფლებამ უნდა უზრუნველყოს მასწავლებლის, პედაგოგის პედაგოგიური პროფესიონალიზმი და კომპეტენტურობა, ამიტომაა აუცილებელი რომ პედაგოგთა მომზადებაში მან უნდა დაიკავოს „ერთ-ერთი უპირველესი ადგილი“.

ამ პოზიციით, ამგვარი მიდგომით, იაკობისათვის ცხადია, რომ როგორც ყოველ მეცნიერებას, პედაგოგიკასაც გააჩნია თავისი სპეციფიკური საკვლევი საგანი, რომლის არსი

ასევე მისთვის აუცილებელ და საჭირო ტერმინოლოგიის დაცვას, დაუშვებლად თვლის ცნებათა აღრევას, ის პირდა-პირ წერს: „როდესაც თქვენი ცნებები გაურკვეველი და არე-ულ-დარეულია, მაშინ არც თქვენი აზრი იმუშავეს სწორად“.

რა არის პედაგოგიკის საგანი, რას იკვლევს და შეისწავ-ლის პედაგოგიკა როგორც მეცნიერება?

დღეს მსოფლიოში პედაგოგიკის საგნად მიჩნეულია აღზრდა. იაკობ გოგებაშვილიც ამ თვალსაზრისზე იდგა და დარჩა ბოლომდე.

ევროპელ განმანათლებელთა მემკვიდრეობა

ი. გოგებაშვილის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება დიდად განსაზღვრა იმან, რომ იგი გასული საუკუნის სამოციანი წლების ქართველ განმანათლებლებს ეკუთვნოდა.

განმანათლებელთა აზრით, წარმავალი საზოგადოებრივი წყობილება, დროგადასული პოლიტიკური ინსტიტუტები და სოციალური მანკიერებანი შესაძლებელია შეიცვალოს მშვიდობიანი, ევოლუციური გზით, სიკეთის, სამართლიანობის იდეებისა და მეცნიერული ცოდნის გავრცელებით.

განმანათლებლობა საზოგადოებრივი წყობილების მანკიერებათა მიზეზად ადამიანის უვიცობას მიიჩნევს.

ქართველმა სამოციანელებმა ღრმად შეითვისეს ევროპელ განმანათლებელთა მემკვიდრეობა. ამ მხრივ არც ი. გოგებაშვილი არ იყო გამონაკლისი, რომელიც მჭიდროდ იყო დაკავშირებული ილია ჭავჭავაძესთან და მის დასთან. ამასთანავე, ქართველ სამოციანელთა მსოფლმხედველობაში ევროპელ განმანათლებელთა შეხედულებები უცვლელად არ ასახულა. ისინი ითვალისწინებდნენ იმ პერიოდის საქართველოს და ქართველი ერის წინაშე მდგარ გადაუდებელ, კონკრეტულ ამოცანებს. როგორც განმანათლებელს, ი. გოგებაშვილს მიაჩნდა, რომ მძიმე მდგომარეობიდან ერის გამოსავალი საშუალება განათლებაა, რომ „განათლებაზედ ბევრად დამოკიდებულია... მთელის ჩვენის სამშობლოს ბერ-იღბალი, არსებობა და მომავალი“.

განათლების დანიშნულებაზე იაკობის აზრი ილიას აზრს ემთხვევა. ილია ამბობს: „ვინ არ იცის, რომ თავი და ბოლო ჩვენის უბედურებისა – უმეცრება და უსწავლელობაა. ესეც ყველამ იცის, რომ უმეცრების და უსწავლელობის წამალი სხვათა შორის სკოლაა. სხვათა შორის-მეთქი, სხვათა შორის კი არა, ერთი უპირველესი და უმთავრესი ღონისძიება სასწავლებელია... მოგვეცით მართალი სკოლა, ქართველის სულისა და გულის ამამაღლებელი, გონების გამჩენელი“.

ი. გოგებაშვილის იდეალი იყო „ახალი ტიპის ქართველი“, რომლისთვისაც უპირველესი მოთხოვნილება არის ბრძოლა სამშობლოს ბედნიერებისათვის. მთელი თავისი პედაგოგიური მოძღვრება ი. გოგებაშვილმა ასეთი ქართველის აღზრდის კონკრეტულ ამოცანებს დაუქვემდებარა.

ჰარმონიული პიროვნების გოგებაშვილისეული კონცეფცია გულისხმობს პიროვნების როგორც საზოგადოების აქტიური და ორგანული წევრის ჩამოყალიბებას. ამ გაგებით პატრიოტიზმი ის კომპონენტია, რომელიც ითვალისწინებს პიროვნების ცნობიერ მიზანდასახულ კავშირს საზოგადოებასთან, მთელს ერთან, მის აწმყოსთან და მის ისტორიულ ცნობიერებასთან.

ი. გოგებაშვილი საგანგებოდ აღნიშნავდა, რომ პატრიოტიზმის ჩამოყალიბებას განაპირობებს ერის კულტურული მემკვიდრეობის დაუფლება: „როდესაც ნორჩი იმერელი, გურული, მეგრელი, რაჭველი, ქართლელი, კახელი და ფშავ-ხევსური ჩვილს გონებას იხნის, იმდიდრებს, ერთსადა-იგივე, საუკეთესო მოთხრობებით, არაკებით, იგავებით, ლექსებით, გამოცანებით, ანდაზებით, ამით მკვიდრდება საძირკ-

ველი სულიერი ერთობისა, გონების კავშირისა და ზნეობით სიახლოვისა“.

დღესაც ინარჩუნებს თავის ძალას მამულიშვილობის, პატრიოტობის ის განსაზღვრა, რომელიც დიდმა პედაგოგმა ასი წლის წინ ჩამოაყალიბა: „ვისა ჰქვიან პატრიტი? მას, ვისაც სიცოცხლის უმთავრეს საგნად გაიხდია მშობლიური ქვეყნის ბედნიერება, ვინც თავგამოდებულად და შეუპოვრად ებრძვის ყოველს დაბრკოლებას, რომელიც მის სამშობლო ქვეყანას წარმატების გზაზედ გადაღობებია, ვისაც მთლად დაკარგულად მიაჩნია ყოველი წამი, რომელიც არ მოუხმარნია მამულის ზრუნვისათვის, ვისაც ედაგვის გული მამულის ტანჯვითა, უხარის მის ბედნიერებით, უბედურია მისი უბედურებით და ვინც მზად არის ღიმილით შესწიროს მას თავისი სიცოცხლე“. ი. გოგებაშვილმა იცის, რომ მამულის ჭეშმარიტი სიყვარულის აღზრდა იოლი არ არის. ეს გრძნობა თან არ დაჰყვება ადამიანს დედის მუცლიდან. ამ გრძნობის აღზრდაზე საჭიროა ზრუნვა. „პატრიოტობა საზოგადოებამ და ცალკე პირმა უნდა დანერგონ, აღზარდონ და დააყენონ ჯეროვან სიმაღლეზე“.

პატრიოტული აღზრდის ყველაზე ძლიერ და უპირველეს საშუალებად იაკობს მიაჩნია მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლება. იგი აღრმავებს რუსული მეცნიერული პედაგოგიკის კლასიკოსის კ. უშინსკის მოსაზრებას ამ საკითხზე საქართველოს ეროვნული მოძრაობის მდიდარი ისტორიული გამოცდილების პოზიციიდან: „ერის განვითარება პირდაპირ დამოკიდებულია ენის განვითარებაზე. თუ ენა ერთ წერტილზეა შეჩერებული, ერის წინ მსვლელობაზ მოსპობილია“.

ამდენად, ი. გოგებაშვილის მტკიცე რწმენით, საქართველოს სკოლებში ქართველი ბავშვების პატრიოტულ აღზრდის მძლავრი საშუალებაა მშობლიური ენის სწავლება. „ქართული ენა, – გვეუბნება დიდი პედაგოგი, ისეთივე მრავალფეროვანია, როგორიც არის ჩვენი ერის ისტორია, წარსული ცხოვრება, სავსე მრავალგვარის მოქმედებითა, თვისებითა, აზროვნებითა, გრძნობითა, დიდი სიხარულითა ძლიერი მწუხარებითა და რომელიც წარმოადგენს იმ გვარს დრამას და დაუსრულებელს დრამას, რომ ასი შექსპირიც ვერ ამოსწურავდა მას ძირამდის“.

მომავალი თაობის პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდის პროცესში იაკობ გოგებაშვილი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა აგრეთვე მშობლიურ ისტორიისა და გეოგრაფიის შესწავლას. „სამშობლოს გეოგრაფია და ისტორია საძირკველია მამულიშვილობისა, სული და გული სახელმძღვანელოსი“. ამიტომ იგი ზრუნავდა, რომ შეერჩია ისეთი მასალა მოსწავლეთათვის, რომელიც გააფართოვებდა მათ ცოდნას საქართველოს შესახებ, გააღვიძებდა მათში სამშობლოს სიყვარულს და აღუძღვავდა პატივისცემის გრძნობას ქვეყნისათვის თავდადებულ გმირებისასმი. იაკობის აზრით, ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია „თავდადებული მღვდელი თევდორე“, „ცხრა ძმა ხერხეულიძე“, „სამასი არაგველი“ და მრავალი სხვა. ი. გოგებაშვილის „დედა-ენა“ და „ბუნების კარი“ პატრიოტული ხასიათის ბევრს საინტერესო მასალას შეიცავენ. ამავე დროს ი. გოგებაშვილი მოძღვრავს ქართველ მწერლობას: „ყოველი პოეტი და ლიტერატორი უნდა სწერდეს მას, რაც ქართველს გონებას უნათლებს და უმდიდრებს ცხოველი ცოდნით, სულ უმაგრებს, უსპეტაკებს, უმხნევებს

და უვსებს სასოებით მომავალზედ, ზნესა და ხასიათს უჩვენებს სახელმძღვანელო პრინციპებს და ჰხდის კარგად შეიარაღებულ და მარჯვე მეორად სასტიკ საარსებო ბრძოლაში. არც ერთი სიტყვა სახელისათვის, ყოველი სტრიქონი ქვეყნის სიკეთისა და ქართველთა გაუკეთესოებისათვის. აი პრინციპი, რომელიც უნდა თვალწინ ედგას ჩვენში ყველას, ვინც კი საზოგადოებას ემსახურება თავის კალმით“.

ი. გოგებაშვილის პატრიოტიზმი ღრმად დემო-კრატიულია. სხვა სამოციანელებთან ერთად იგი ებრძოდა ნიჰილიზმისა და შოვინიზმის ყოველგვარ გამოვლინებას, მოუწოდებდა ერთ შორის მეგობრობისაკენ, ურთიერთპატივისცემისა და ნდობისაკენ. იაკობი თავად წარმოადგენდა ნამდვილი, მებრძოლი ქართველი პატრიოტის სანიმუშო მაგალითს, რაც შეხამებული იყო მის დახვეწილ ინტელიგენტობასა და ღრმა განსწავლულობასთან.

იაკობ გოგებაშვილის აზრით, ჰარმონიული პიროვნების ჩამოყალიბებისათვის სხვა თვისებებთან ერთად უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება პატრიოტულ აღზრდას, რომელიც უპირისპირდება შოვინიზმსა და ნაციონალიზმს და გულისხმობს ეროვნულ სულიერ, ეთნიკურ და ესთეტიკურ ღირებულებათა შეთვისების გზით ორგანულ თანაზიარობას საკაცობრიო ოჯახთან.

იაკობ გოგებაშვილი ესთეტიკურ და საზოგადოებრივ იდეალთა ერთიანობის შესახებ

იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიური მოძღვრება ასახავს იდეალებს XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს იმ საზოგადოებრივი ძალებისა, რომლებიც მიზნად ისახავდნენ ქვეყნის განვითარებას პროგრესის გზით. ამ იდეალების შესაბამისად, ი. გოგებაშვილის, როგორც თეორიული პედაგოგიური ნააზრევი, ასევე პრაქტიკული მოღვაწეობა ემსახურებოდა პიროვნებაში ისეთი თვისებების ჩამოყალიბებას, როგორიცაა: სოციალური, ეროვნული და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა, საზოგადოებრივი მოვლენებისადმი სწორი იდეური და ემოციური რეაგირების უნარი და სხვ. ჰეშმარიტი მოქალაქის, პატრიოტის, სრულყოფილად და ჰარმონიულად განვითარებული პედაგოგიკის ფუძემდებელი დიდ როლს ანიჭებდა სწორი ესთეტიკური გემოვნების გამომუშავებას.

იაკობ გოგებაშვილის იდეალი იყო ისეთი პიროვნება, რომელიც არა მხოლოდ შეამჩნევდა და შეებრძოლებოდა სოციალურ უსამართლობას, მკვეთრად განასხვავებდა ერთმანეთისაგან მორალურსა და ამორალურს, არამედ ამასთანავე დაჯილდოვებული იქნებოდა მოვლენათა ესთეტიკური ღირებულების შეგრძნებისა და შეფასების, მებრძოლი ესთეტიკურის შექმნის უნარით. დიდი პედაგოგის ნაშრომებში გატარებულია ის აზრი, რომ პიროვნების ესთეტიკურ გემოვნებას, მშვენიერების აღქმის უნარსა და ხარისხს განაპირო-

ბებს არა თანდაყოლილი თვისებები, არამედ აღზრდის ხასიათი, გარემო პირობები და გამოყენებული ხელოვნებისა და ლიტერატურის ნაწარმოებები.

პიროვნების სწორი ესთეტიკური ფორმირება ი. გოგებაშვილის პედაგოგიურ სისტემაში წარმოადგენს არა თვითმიზანს, არამედ ჰარმონიული და სოციალურად და ეროვნულად აქტიური პიროვნების აღზრდის და სოციალურად და ეროვნულად აქტიური პიროვნების აღზრდის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კომპონენტს. ი. გოგებაშვილის თანახმად, პიროვნების ჩამოყალიბების ესთეტიკური იდეალი უნდა შეესაბამებოდეს საზოგადოების, ერის პროგრესულ ამოცანებს. დედა ენის შექმნისათვის გამოყოფილია ერთმანეთისაგან ესთეტიკური და საზოგადოებრივი იდეალები, ამიტომ საგანგებოდ აღნიშნავდა იგი: „სრულიად უგულო ეგოისტი უნდა იყოს ქართველი მწერალი, რომ მისდევდეს პრინციპსა: კაცია და გუნებაო, ხელოვნება ხელოვნებისათვისაო. ამ პრინციპს შეიძლება ადგილი მიეცეს მხოლოდ მაშინ, როდესაც მშვიდობით გავაღწევთ აწინდელს, მეტად საშიშარ ხანას ჩვენის ცხოვრებისას. იქამდინ კი ყოველი პოეტი და ლიტერატორი უნდა სწერდეს მას, რაც ქართველს გონებას უნათლებს და უმდიდრებს ცხოველთ ცოდნით, სულს უმაგრებს, უსპეტაკებს, უმხნევებს და უვსებს სასოებით მომავალზეც, ზნეს და ხასიათს, უჩვენებს სახელმძღვანელო პრინციპებს და ჰხდის კარგად შეიარაღებულ და მარჯვნივ მეომრად სასტიკ საარსებო ბრძოლაში“ (ი. გოგებაშვილი, თხზ. ტ, III, გვ. 122).

ესთეტიკური და საზოგადოებრივი იდეალების თვალსაზრისიდან გამომდინარე ი. გოგებაშვილი საგანგებოდ მოითხოვდა, რომ მხატვრული ლიტერატურა და საერთოდ ხე-

ლოვნება აღბეჭდილი უნდა იყოს „აღმზრდელი მიმართულებით“, ასახავდეს რეალურ სინამდვილეს, ხალხის ცხოვრებას და ემსახურებოდეს ხალხისავე ინტერესებს, რამდენადაც პიროვნების ჩამოყალიბებას ბავშვობიდანვე ეყრება საფუძველი, ამდენად საყმაწვილო ლიტერატურა უნდა ხასიათდებოდეს არა მხოლოდ ესთეტიკური ღირსებით, არამედ შემეცნებითი ასპექტითაც.

მხატვრული ლიტერატურა, მუსიკა, თეატრი, ხელოვნების ყველა დარგი და ფოლკლორი ი. გოგებაშვილის სრულყოფილი პიროვნების ესთეტიკური აღზრდის აუცილებელ კომპონენტად მიაჩნია.

იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიკურ მოძღვრებაში მის მიერ შექმნილ სახელმძღვანელოებში და მხატვრულ ნაწარმოებებში ნათლად იკვეთება სწრაფვა იმისაკენ, რომ პიროვნება ხედავდეს არა მხოლოდ ხელოვნების ნაწარმოებს, არამედ ბუნებისა და შრომის, ბრძოლისა და სიკეთის დამკვიდრების ესთეტიკურ მშვენიერებას.

ი. გოგებაშვილის პედაგოგიკურ შეხედულებათა სისტემაში გატარებულია ის აზრი, რომ პიროვნებას უნდა შესწევდეს უნარი დაინახოს და სწორად შეაფასოს არა მხოლოდ მხატვრული ლიტერატურა და ხელოვნება, არამედ ამასთანავე ესთეტიკურად განიცადოს სამყარო და თავადაც შესწევდეს ისეთი ესთეტიკური მშვენიერების შექმნის უნარი, რომელიც ხელს უწყობს და ემსახურება მშობლიური ხალხის, ქვეყნის პროგრესის საქმეს.

ამასთან ესთეტიკური მშვენიერება სინამდვილის ასახვას და ამ გზით სრულყოფილი პიროვნების ფორმირებას უნდა ემსახურებოდეს; ესთეტიკური სამყარო ი. გოგებაშვილისათ-

ვის არის ის საშუალება, რომელიც პიროვნებას აძლევს შესაძლებლობას აღიქვას და დატკბეს სამყაროს მშვენიერებით და სწორი დამოკიდებულება დაამყაროს სულიერ და მატერიალურ ღირებულებათა სისტემისადმი. ხაზი უნდა გაესვას კიდევ იმ მომენტს, რომ ქართული მეცნიერული პედაგოგიკის ფუძემდებლის შეხედულებათა თანახმად, პიროვნების ესთეტიკური აღზრდა გამოყენებული უნდა იქნას როგორც ეროვნული, ასევე ზოგადსაკაცობრიო მონაპოვართა საუკეთესო გამოვლინებაში.

იაკობ გოგებაშვილი ახალი თაობის ჰარმონიული განვითარების შესახებ

ადამიანის ჰარმონიული განვითარების იდეას მრავალსაუკუნოვანი ისტორია გააჩნია.

დიდი ქართველი პედაგოგი და განმანათლებელი იაკობ გოგებაშვილი სხვა გამოჩენილ ქართველ სამოციანელებთან ერთად, ამ იდეის მიმდევრად და განმავითარებლად გვევლინება.

მსოფლიო პედაგოგიკის დიდი კორიფეების: კომენსკის, რუსოს, პესტალოცის, უშინსკის მსგავსად, იაკობ გოგებაშვილი, თავისი სოციალურ-პოლიტიკური და ფილოსოფიური მსოფლმხედველობის შესაბამისად, აღზრდის მთავარ მიზანს ხედავს იმაში, რომ მომზადებულ იქნას ყოველმხრივ განვითარებული და სრულყოფილი მოქალაქე.

ი. გოგებაშვილი ქართველი ერის იმდროინდელი სინამდვილისათვის აღზრდის მთავარ და აუცილებელ პირობად თვლის მომზადდეს „ახალი ტიპის" ადამიანი, რომელიც არსებითად უნდა განსხვავდებოდეს ძველი ტიპის ადამიანისაგან. ადამიანი, რომელიც უპასუხებდა ქართველი ერის სასიცოცხლო ამოცანებს, რომელსაც შეეძლებოდა „უკუღმართი ცხოვრების" წინააღმდეგ შეუპოვარი ბრძოლა.

იაკობ გოგებაშვილი ახალგაზრდების სწავლა-განათლებით ფიქრობდა მშობლიური ერის დაწინაურებას, მისი გამარჯვების უზრუნველყოფას: „დიდია, ფრიად დიდი მნიშვნელობა ცოდნისა, განათლებისა, იგი იმდენადვე საჭიროა

ერის არსებობისა და წარმატებისათვის, რამდენადაც ჰაერი სუნთქვისა და სიცოცხლისათვის“.

ამავე დროს იაკობ გოგებაშვილი ნათლად ხედავს, რომ მისი დროის განათლების სისტემას არ ძალუძს აღზარდოს „ახალი ტიპის“ ადამიანი, რომელიც შესძლებს ბუნებასთან წარმატებით ბრძოლას და საზოგადოების სასურველ გარდაქმნას. იგი ასეთი ადამიანის აღზრდის პირობას რეალურ განათლებაში ხედავდა. მისი თქმით, „რეალური სკოლა – გაუმდიდრებს მოწაფეებს გონებას ნამდვილ კონკრეტულსა და ცოცხალის ცოდნით, ასწავლის ზედმიწევნით ბუნების ძალთა მოხმარებას, გულს უვსებს ადამიანური გრძნობებით, ანიჭებს მტკიცე ხასიათს, ზრდის მასში თაოსნობას, უნარსა, თავისი თავის იმედსა, თავაზიანობას, დარბაისლობას და ამზადებს სულითა და ხორცით საღ ადამიანებს, შეუპოვარი მეომართ ბუნებისა და უკუღმართი ცხოვრების წინააღმდეგ“.

იაობ გოგებაშვილს ღრმად სწამდა თავისი ქვეყნის მომავალი და ამავე რწმენით ზრდიდა იგი ჩვენს ახალგაზრდობას. იგი სიკვდილის წინაც იმედით იყო სავსე და ეს იმედი მისთვის მომავალი თაობა იყო. „მომავალი თაობის მეცნიერული აღზრდისათვის ბრძოლაში დაიფერფლა მისი დიდი სიცოცხლე“.

ქართველი ახალგაზროდბის წინაშე იაკობ გოგებაშვილი პირველყოვლისა აყენებდა საზოგადო მოღვაწეობის ამოცანას, ხალხისა და სამშობლოს სამსახურის ამოცანას. ი. გოგებაშვილის პედაგოგიური მოძღვრება აღზრდის ყველას სახეს მოიცავს: გონებრივ, ზნეობრივ, შრომით, ესთეტიკურ და ფიზიკურ აღზრდას.

იაკობი სამართლიანად ფიქრობს, რომ ადამიანს მრავალი შესაძლებლობა გააჩნია, დიდი უნარი აქვს და სწორმა აღზრდამ უნდა უზრუნველყოს მისი ჰარმონიული განვითარება, გამოავლინოს თანაზომიერად მისი შესაძლებლობა.

ი. გოგებაშვილი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, კერძოდ, ახალი თაობის შრომით აღზრდას. მას მიაჩნია, რომ ადამიანს ანვითარებს არა მხოლოდ „წიგნი და სასკოლო სწავლა“, არამედ ხალხის ყოფაცხოვრებისა და შრომის შესწავლა.

ახალი თაობის ჰარმონიული განვითარების საქმეში დიდი პედაგოგი მნიშვნელოვან როლს ანიჭებდა გონებრივი და ფიზიკური შრომის კავშირს. ცხოვრებასთან თეორიის დამოკიდებულება ი. გოგებაშვილს ესმოდა როგორც ადამიანის პრაქტიკული შემოქმედების გააზრება, „ცხოვრების გასაუმჯობესებელი გზების დასახვა“.

სამშობლოს თავდადებული სიყვარული და ბრძოლა ეროვნული განთავისუფლებისათვის, სოლიდარობა და ჰუმანიზმი, პატრიოტიზმი, სამართლიანობა და ბრძოლა ფლიდობისა და ორგულობის წინააღმდეგ – აი ძირითადი ზნეობრივი თვისებები, რომელთაც ნერგავდა ი. გოგებაშვილი მომავალ ქართველ მოქალაქეებში. მისი აზრით, „მაღალი და წმინდა ზნეობის შთანერგვა მოწაფის გულში აღძრდის მთავარი მიზანია“.

ეს მოტივი წითელ ზოად გასდევს მის საბავშვო ლექსებს, მოთხრობებს, ზღაპრებსა და არაკებს.

ი. გოგებაშვილის „ახალი ადამიანის“ აღზრდის პედაგოგიკურ პრინციპებს შორის ერთ-ერთი მნიშნელოვანი ადგილი უჭირავს ჰუმანისტურ აღზრდას. მისი აზრით, სავალდებულოა ადამიანის პიროვნული თვისებების დაფასება და პა-

ტივისცემა, ობლებზე და უპატრონო ბავშვებზე ზრუნვა, ღარიბ-ღატაკთა დახმარება და სხვ.

ადამიანის ჰარმონიული განვითარების საქმეში იაკობ გოგებაშვილი ჯეროვან ადგილს უთმობდა აღზრდას, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობდა სწავლების წარმატებასაც. მისი თქმით, სკოლა, სადაც ესთეტიკური აღზრდა თავმინებებულია ვერ შეძლებს მოამზადოს სრულყოფილი ადამიანი.

ი. გოგებაშვილი ახალი თაობის ჰარმონიული განვითარებისათვის ფიზიკურ აღზრდას საპატიო როლს ანიჭებდა. იგი მკაცრად მოითხოვდა, გონებრივ განათლებასთან ერთად, ბავშვს მისცემოდა სისტემატური ფიზიკური წრთვნა: ამტანობის, გამძლეობისა და სიმტკიცის გამომუშავებისათვის. ეს გასაგებია, რადგან ის ჯანმრთელი ახალი თაობის აღზრდას ისეთსავე მნიშვნელობის საზოგადოებრივ ამოცანად სთვლიდა, როგორც მის გონებრივ და ზნეობრივ განვითარებას. მისთვის ნათელია, რომ გონებრივად განვითარებული, მორალური მტკიცე, მაგრამ ფიზიკურად დაავადებული, „ფერმკრთალი“, „უილაჯო“ ყმაწვილების აღზრდა ვერ მისცემდა სამშობლოს „ახალი ტიპის“ ადამიანს, ადამიანს, რომელიც შესძლებდა ქვეყნის წინაშე დასმული გადაუდებელი ამოცანების გადაჭრას.

შეიძლება ითქვას, რომ ი. გოგებაშვილმა სწორად გაიგო ყოველმხრივად მომზადებული ადამიანის იდეა. მისი გაგება ცნებისა „ყოველმხრივი“ საგრძნობლად ახლოა ამ ამოცანის თანამედროვე გაგებასთან.

იოანე ლაზისა და პეტრე იბერის მიერ ანტიკური ფილოსოფიური მემკვიდრეობის ათვისება

საქართველოს პოლიტიკური აზროვნების შესწავლისას მხედველობაში აუცილებლად უნდა იყოს მიღებული ისტორიული პირობები, როდესაც პერიოდული შემოსევებისა და მასთან ერთად დაკავშირებული, ეკონომიკურ და კულტურულ მოღვაწეთა განადგურების გამო საქართველო ხშირად ვარდებოდა კვლავ პირველყოფილ მდგომარეობაში და თითქმის თავიდან უხდებოდა ეკონომიკისა და კულტურული ცხოვრების აღდგენა, რაც მას სწრაფი განვითარების საშუალებას არ აძლევდა.

ნაშრომში განხილულია ქართველ ტომთა აზროვნების პერიოდიზაცია.

ქართული მითოლოგიური ძეგლები, როგორც პოლიტიკური აზროვნების წინა პერიოდი. ეკონომიკური და სოციალური ვითარება მოგვიანო ანტიკურ პერიოდში საქართველოში, ერთის მხრივ აღმოსავლეთ საქართველოში – იბერიაში და მეორეს მხრივ, დასავლეთ საქართველოში – კოლხეთში. რელიგიურ-ფილოსოფიური მიმდინარეობა IV-V საუკუნეებში. ნაშრომში ასევე განხილულია პეტრე იბერის ნაშრომის „მიზეზთა წიგნის“ წარმოშობის შესახებ, რომელიც ატარებდა სახელს „კავშირნი თეოლოგიურნი“. ეს ნაშრომი ეკუთვნოდა V საუკუნის ფილოსოფოსს პროკლეს და შეიცავდა საკითხებს მიზეზთა შესახებ. არავის ეჭვი არ ებადებოდა, რომ ნაშრომი „კავშირნი თეოლოგიურნი“ მიზეზების

საკითხებსაც შეიცავდა, რომელიც ამოკრიფა პროკლეს წიგნიდან პეტრე იბერიელის მასწავლებელმა იოანე ლაზმა. გარდა მიზეზთა საკითხებისა პროკლეს ნაშრომი სხვა საკითხებსაც ეხებოდა, მაგრამ იოანე ლაზმა მხოლოდ მიზეზთა შესახებ საკითხები ამოირჩია. ეს მოხდა იმის გამო, რომ არისტოტელემ უარყო თავისი მასწავლებლის პლატონის მოძღვრება იდეებზე და მათ სანაცვლოდ მიზეზები მოათავსა, ამის გამო ეგონათ, რომ „წიგნი მიზეზთა" თითქოს არისტოტელეს დაწერილი ყოფილიყო და არა იოანე ლაზის მიერ გადმოღებული პროკლეს წიგნიდან „კავშირნი თეოლოგიურნი": ამიტომაც მოხდა, რომ არისტოტელეს შრომებთან ერთად „მიზეზთა წიგნი" XVI საუკუნემდე არისტოტელეს ნაშრომად საღდებოდა. პირველად ფილოსოფოსმა თომა აქვინელმა გამოაცხადა, რომ „მიზეზთა წიგნი არისტოტელეს არ ეკუთვნის, ე. ი. ნატყუარი (ფსევდო არისტოტელური წიგნი იყო). დარჩა აზრი, რომ „მიზეზთა წიგნი" გადამუშავებული იყო პროკლეს ნაშრომიდან და შემდეგ პეტრე იბერმა გადაამუშავა იგი V საუკუნის მეორე ნახევარში წიგნად „თეოლოგიის საწყისები", რომელიც დროთა ვითარებაში „მიზეზთა წიგნის" სახელით შემორჩა.

აკადემიკოსი შალვა ნუცუბიძე აღნიშნავს, რომ „პეტრე იბერის შეხედულებათა, რამდენადაც ისინი გადმოცემულია ბიოგრაფების მიერ, და არეოპაგიოსტულ იდეებს შორის მსგავსება არა მარტო ცალკეულ მომენტებს, როგორიც არის სიკეთის იდეა, ანუ სინათლის სახე, არის გზა სიკეთისაკენ. ბიოგრაფი მიაწერს პეტრე იბერს სიკეთის გზის შესახებ ისეთ შეხედულებას, რომლის თანახმად, ეს გზა სიკეთის სხივითაა მოფენილი. ფსევდო-დიონისე არეოპაგელი ლაპარაკობდა:

სიკეთე არ შეიძლება იყოს „სიკეთე ერთის მიმართ და არასიკეთე მეორის მიმართ, ანუ იგი არ შეიძლება იყოს მხოლოდ აქ და არ იყოს იმავე დროს იქ“.

აშკარაა, რომ მოცემული გვაქვს ერთ-ერთი სახე „სიკეთი-საკენ პირდაპირი გზისა“, ნათელია, რომ ბოროტების შესახებ რთული მოძღვრება, მისი სუბსტანციის პრობლემის დართ-ვით, ძნელი მისაწვდომი იყო ბიოგრაფისათვის, მაგრამ მთა-ვარი, რაც დამახასიათებელი იყო პეტრე იბერისათვის, მას საკმაო სიზუსტით აქვს დაცული და გვაჩვენებს, რომ ლაპა-რაკი იყო „სიკეთის პირდაპირ გზაზე“, ე. ი. ისეთ გზაზე, რო-გორიც უნდა იყოს სინათლის გავრცელების გზა, რასაც სივრცე ვერასოდეს გაამრუდებს. ამრიგად, პეტრე იბერი შეიძლება ყოფილიყო არეოპაგული წიგნების ავტორი.

გაირკვა, რომ მონოფიზიტ-დიოფიზიტების მიმართაც პეტრე იბერსა და ფსევდო-დიონისეს ერთი და იგივე პოზი-ცია ეჭირათ, რაც მათ იგივეობას განამტკიცებდა.

ფინანსური კონტროლი საბაზრო ეკონომიკის პირობებში

გაეროს განვითარების პროგრამის პროექტმა – „სახელმწიფო კონტროლის სისტემის ქმედუნარიანობის გაძლიერება“, საჯარო მოსამსახურის ბიბლიოთეკის სერიით – „დამხმარე სახელმძღვანელო მოხელეთათვის“, გამოსცა ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორების – გიორგი სახოკიას, ილია ზაქარიაძისა და ვახტანგ მუჯირიშვილის მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო – „ფინანსური კონტროლის საფუძვლები“.

სახელმძღვანელო მომზადდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბუღალტრული აღრიცხვის და აუდიტის კათედრასთან ერთად; პროფესორ ელენე ხარაბაძის რედაქტორობით.

ფინანსური ურთიერთობების მრავალფეროვნება განაპირობებს სახელმწიფო ფინანსური კონტროლის საქმიანობის ფართო სპექტრს; დემოკრატიული საზოგადოებისა და საბაზრო ეკონომიკის პირობებში სახელმწიფო ფინანსური კონტროლი საფინანსო სამართლის ნორმებზე დამყარებული ღონისძიებებისა და ორგანოების სისტემაა, რომლის ძირითად მიზანს წარმოადგენს სახელმწიფო ფულადი ფონდების წარმოშობის, განაწილებისა და გამოყენების კანონიერებისა და მიზანშეწონილობის კონტროლი.

ამდენად, აღნიშნულიდან გამომდინარე, დღეისათვის „ფინანსური კონტროლის საფუძვლების“, როგორც მეთოდო-

ლოგიური სახელმძღვანელოს, გამოცემა მეტად საშური და აუცილებელი საქმე იყო.

ავტორთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ წიგნში, გარდა ფინანსური კონტროლის არსისა და თეორიული საფუძვლებისა, ფართოდაა განხილული საბაზრო ეკონომიკის პირობებში ფინანსური კონტროლის სისტემის ორგანიზაციის სრულყოფის საკითხები; წამოყენებულია აუდიტორული კონტროლის ეფექტიანობის როლის ამაღლებისა და აუცილებლობის შესახებ; განხილულია საზოგადოებრივი, საგადასახადო, საბაჟო და სავალუტო კონტროლის დანიშნულება, განსაკუთრებით, ამ ეტაპისათვის. წარმოდგენილია აღრიცხვა-ანგარიშგების, როგორც ფინანსური კონტროლის საინფორმაციო წყაროს როლი; ასევე, გაშუქებულია საბიუჯეტო დაგეგმვისა და კონტროლის, სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის ანალიზისა და კონტროლის ურთიერთობებისა და ერთობლიობის საკითხები.

წიგნში ნაჩვენებია საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილება და მოცემულია მათი საქმიანობის ორგანიზაციულ-სამართლებრივი საფუძვლები, კერძოდ, ლიმას დეკლარაციით განსაზღვრული სახელმძღვანელო პრინციპები, მაკონტროლებელი ორგანოების დამოუკიდებლობის ფორმები და ორგანიზაციული სტრუქტურა, მათი უფლებამოსილებანი; გაანალიზებულია საზღვარგარეთის ცალკეული ქვეყნების (სამი კონტინენტის 9 სახელმწიფოს) სახელმწიფო უმღლესი მაკონტროლებელი ორგანოების საქმიანობის თავისებურებანი; განსაკუთრებული ადგილი უკავია საერთაშორისო მაკონტროლებელი ორგანოებისა და ორგანიზაციების უფლებამოსილებათა განხილვას.

სახელმძღვანელოს უფრო მეტი ღირსება შეჰმატა იმანაც, რომ ავტორებმა განსაზღვრული ადგილი დაუთმეს ფინანსური კონტროლის როლსა და ადგილს დემოკრატიულ და დამოუკიდებელ საქართველოში (1918-21 წწ). ხაზგასმულია, რომ იმ პერიოდისათვის არსებული საკანონმდებლო ბაზა კონტროლს განსაზღვრავდა არა როგორც ნაკლოვანებათა და დარღვევათა ფიქსაციის იარაღს, არამედ სახელმწიფო კონტროლის მოვალეობათა შესრულებისათვის დაწესებულ წინასწარი, შემდგომი და ფაქტიური კონტროლის მექანიზმს და აქედან გამომდინარე, სახელმწიფო კონტროლის არსი დემოკრატიულ საქართველოს მესვეურებს გააზრებული ჰქონდათ, როგორც ფართო მასშტაბური და ზოგადსახელმწიფოებრივი უფლებებით აღჭურვილი ფენომენი.

აღსანიშნავია, რომ ავტორებს მიზანშეწონილად და საჭიროდ არ ჩა-უთვლიათ, განეხილათ და გაეანალიზებინათ საბჭოთა საქართველოს ფინანსური კონტროლის სისტემა, სამაგიეროდ, ფართო ადგილი ეთმობა თანამედროვე, დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფო ფინანსური კონტროლის საერთო მდგომარეობის ანალიზს, ნაჩვენებია „საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“ საქართველოს კანონისა და რეგლამენტის მოქმედების არეალი და მიმართულებები; გაშუქებულია შიდა კონტროლის სისტემის ზოგადი და დეტალური სტანდარტების არსი და მნიშვნელობა.

ავტორებს ფართოდ აქვთ გაშუქებული ფინანსური კონტროლის მეთოდიკის საკითხები – საკონტროლო-სარევიზიო სამუშაოთა ორგანიზაცია და დაგეგმვა, საქართველოს კონტროლის პალატის სამართლებრივი აქტების მომზადება და მოქმედების წესი, რევიზია-შემოწმებათა ჩატარების პროცე-

სები. დეტალურად აქვთ განხილული სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის კონტროლისა და რევიზიის საკითხები საწარმო-დაწესებულებათა (როგორც საბიუჯეტო-საჯარო, ასევე კერძო სექტორში) საქმიანობის სახეების მიხედვით, კერძოდ, მოცემული აქვთ მატერიალური და არამატერიალური აქტივების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა მარაგების მოძრაობის, ფულადი საშუალებებისა და საკრედიტო-საანგარიშსწორებო ოპერაციების, დებიტორ-კრედიტორების და ინვესტიციებთან დაკავშირებული ოპერაციების, შემოსავლების, ხარჯების და ფინანსური შედეგების კონტროლის და რევიზიის დროს გამოყენებული ინდივიდუალური სპეციფიკური ხასიათის ხერხები და მეთოდები.

სახელმძღვანელოს ბოლო თავი ეძღვნება რევიზია-შემოწმებათა შედეგების რეალიზაციას – რევიზიის აქტის რაობასა და მოხსენებითი ბარათის შედგენას, მის შინაარსსა და დანიშნულებას, კონტროლის პალატის პრეზიდიუმზე, განსახილველი საკითხების შერჩევას, პრეზიდიუმის სხდომის მომზადებისა და ჩატარების წესს, პრეზიდიუმის დადგენილების პროექტის მომზადების პროცესს, სამართალდამცავ ორგანოებზე შემოწმების მასალების გადაგზავნისა და მათზე რეაგირების კანონმდებლობით დადგენილ წესებს და ა.შ. აქვე განხილულია გენერალური პროკურატურისა და კონტროლის პალატის ურთიერთთანამშრომლობის საკითხები „საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“ და „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონების მოთხოვნების ჭრილში.

სახელმძღვანელოს დასკვნით ნაწილში ავტორები ეხებიან რა ბრიტანეთის საერთაშორისო განვითარების ფონდის

– GTZ-ის, გაეროს განვითარების პროგრამის (uNDP) და სხვა ღონისძიებების ხელშეწყობით შემუშავებულ „საქართველოს კონტროლის პალატის განვითარების გრძელვადიანი გეგმის“ უმთავრეს მიზანს – საქართველოს კონტროლის პალატის, როგორც საქართველოს სახელმწიფო საფინანსო-ეკონომიკური კონტროლის უმაღლესი ორგანოს, ჩამოყალიბებას საჯარო სექტორის თანამედროვე დამოუკიდებელ აუდიტორულ სამსახურად, ყურადღებას ამახვილებენ აღნიშნული რეფორმის დამამთავრებელ ეტაპზე პალატის ახალი ფუნქციების გათვალისწინებით მისთვის სახელწოდების შეცვლისა და შესაბამისად, საქართველოს კონსტიტუციაში სათანადო ცვლილებების შეტანის საკითხებზე, ასევე, რეფორმის შემდგომი პალატის მიერ სახელმწიფო სექტორისათვის ეფექტური დამოუკიდებელი აუდიტორული მომსახურების ძირითად მიმართულებებზე, რომელიც უნდა განხორციელდეს:

– შეფასებითი აუდიტის სახით, რაც ითვალისწინებს საჯარო პროგრამების საქმიანობის მენეჯმენტისა და ოპერაციული შესრულების ეკონომიურობის, ეფექტურობის და მიზნობრიობის შეფასებით აუდიტს;

– შესაბამისობას აუდიტის სახით, რაც გულისხმობს სამართლებრივი და ადმინისტრაციული შესაბამისობის შემოწმებას, ადმინისტრაციის მიუკერძოებლობას, შესაბამისობას და ა.შ.;

– ფინანსური აუდიტის სახით, როცა მოწმდება ფინანსური დოკუმენტაცია და ანგარიშგება, საანგარიშგებო სისტემები და ფინანსური დოკუმენტაციის შესაბამისობა ანგარიშგების ნორმებთან და დადგენილ სტანდარტებთან;

– დარღვევების გამოძიების სახით და სხვ.

ჩვენი აზრით, მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო – „ფინანსური კონტროლის საფუძვლები“, ორიგინალური სახელმძღვანელოა თავისი ფორმითაც და შინაარსით და ეკონომიკურ-სამეცნიერო ლიტერატურის ღირსეული შენაძენია; ვფიქრობთ, რომ იგი დახმარებას გაუწევს საქართველოს ეკონომიკის სხვადასხვა დარგებსა და სახელმწიფო-საფინანსო სისტემის პრაქტიკოს მუშაკებსა და უმაღლესი სასწავლებლების შესაბამისი პროფილის სტუდენტებსა და მაგისტრანტებს.

ვახუშტი ბატონიშვილის შემოქმედებითი პორტრეტი

ქართული სამეფო გვარის შტო ოდითგანვე გამოირჩეოდა მეცნიერებისა და ხელოვნების თაყვანისცემით. ამ გვარმა მრავალი თვალსაჩინო მეცნიერი და შემოქმედი მისცა ქვეყანას. თავად ვახუშტი ბატონიშვილის მამა ვახტანგ VI არის ამის უტყუარი მაგალითი.

ვახუშტის ნიჭი და გონიერება განისაზღვრება არა მარტო დიდი წიგნიერებითა და განათლებით, არამედ პრაქტიკული მოღვაწეობის უნარითაც.

დიდ განათლებასთან ერთად გონების გამჭრიახობა, ურთიერთობის მაღალი კულტურა საშუალებას აძლევდა ვახუშტი ბატონიშვილს ფრიად რთული პრობლემებიც კი ადვილად გადაეჭრა.

ვახუშტი ბატონიშვილი ყოველგვარი საინტერესო წამოწყების თანამონაწილე იყო. იმ პერიოდში ქართლში გატარდა ისეთი სერიოზული ღონისძიებანი, როგორიც იყო 1709 წ. თბილისში პირველი სტამბის დაარსება, შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემა და სხვ.

ვახუშტი ბატონიშვილს სურდა ქართული სტამბა რუსეთშიც აღედგინა და როგორც მიუთითებენ, ის იყო საგამომცემლო გეგმის შემომქმედი და ქართული სტამბის ინიციატორი.

რა თქმა უნდა, მეტად საინტერესოა ვახუშტი ბატონიშვილის სახე როგორც სწავლულისა და მკვლევარისა, მაგრამ არანაკლებ საინტერესოა მისი შემოქმედებითი პორტრეტი.

ვახუშტი ბატონიშვილი ღრმა განათლებულობასთან ერთად დიდი შემოქმედებითი ნიჭის პიროვნებაც იყო.

ისიც აღსანიშნავია, რომ შემოქმედებით მუშაობასთან ერთად ვახუშტი ბატონიშვილი მთარგმნელობით მუშაობასაც ეწეოდა. იგი სხვა ენებიდან თარგმნიდა როგორც მეცნიერულ, ისე რელიგიურ ნაშრომებს, რომელთა ნაკლებობას იმდროინდელი ქართული მეცნიერება და სარწმუნოებრივი სამსახური მართლაც განიცდიდა. სწორედ ამ ვაკუუმების შევსებას ცდილობდა დიდი მოღვაწე. მას უთარგმნია როგორც ისტორიული, ისე გეოგრაფიული სამეცნიერო ნაშრომები, რომელთა დანიშნულება იყო გაემდიდრებინა ქართული მეცნიერების სარბიელი. „მრავალმხრივი შემოქმედი ვახუშტი ბაგრატიონი შესანიშნავი პოეტიც იყო“.

ვახუშტი ბატონიშვილის მზრუნველი ხელი შეძლებისდაგვარად არცერთ სფეროს არ დაკლებია, მეცნიერება იქნებოდა იგი თუ ხელოვნება, პრაქტიკული საქმიანობა თუ საქართველოს მომავალზე ფიქრი.

ყველა სხვა ღირსებასთან ერთად ვახუშტი ბატონიშვილი ჩინეულბლი მეუღლე, მამა და მეოჯახეა. მაშინ, როდესაც მთელი საქართველოს განათლების დონის ასამაღლებლად იღწვოდა, შეუძლებელია საკუთარ ოჯახსა და საკუთარი შვილების განათლებაზეც არ ეზრუნა. მან დიდი ენერგია მოახმარა შვილების სათანადო მამულიშვილებად აღზრდის საქმეს.

დაუღალავ მეცნიერს, მწერალს, სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწეს, ვახუშტი ბატონიშვილს, არ დასცალდა თავისი ელვარე ნიჭი მთლიანად გამოეცლინა, რადგან ის ჯერ კიდევ ენერგიით სავსე გარდაიცვალა 1738 წლის 4 თებერვალს.

წლები გადიოდა, ვახუშტი ბატონიშვილს ფასი და მნიშვნელობა ემატებოდა, მისი ისტორიული თხზულებანი თუ რუკები დიდი პოპულარობით სარგებლობდა საქართველოში და მათზე მოთხოვნილებაც იყო და არა მარტო საქართველოში, საზღვარგარეთაც კი საქართველოთი დაინტერესებული ვახუშტის ნაშრომებიც აინტერესებდათ. რუკები გამოსცა ასტრონომმა და გეოგრაფმა ჟ. დელილმა პარიზში.

XIX საუკუნეში მომზადდა პირობები ვახუშტის ნაშრომის გამოსაცემად.

ამ საქმეში ქართველ მოღვაწეთაგან თვალსაჩინოდ იღვაწა ფრანგმა ორიენტალისტმა მარი ბროსემ.

დ. ბაქრაძის, მ. ჯანაშვილის, ე. თაყაიშვილის, ბ. ჭიჭინაძის მეოხებით XIX საუკუნის მიწურულიდან ვახუშტოლოგიის მნიშვნელოვანი გამოკვლევები და გამოცემები შეემატა საქართველოში...

ვახუშტი ბატონიშვილის შრომებმა („აღწერა“, კავკასია - საქართველოს რუკები) ერთბაშად აამაღლა რუსეთში კავკასიათმცოდნეობის დონე და კიდევ უფრო შეუწყო ხელი ამ საინტერესო წარსულისა და მდიდარი მხარის შესწავლას.

საინტერესოა მასალები ვახუშტი ბატონიშვილის ცხოვრებიდან, თუმცა როგორც მკვლევარები მიუთითებენ, იგი საკმაოდ მწირია იმ დიდ მუშაობასთან სედარებით, რასაც ეს ღირსეული მამულიშვილი ეწეოდა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, არ დარჩენილა იმდროინდელი მეცნიერების თიტქმის არცერთი დარგი, რომ მას თავისი მოკრძალებული სიტყვა არ ეთქვას. ზოგჯერ კი თავად იყო მკვლევარიც და პირველშემქმნელიც ზოგიერთი დარგისა. შეიძლება ვთქვათ, რომ ამ საოცარი ენერგიის ადამიანმა რამდენიმე ადამიანის საკეთებელი

აკეთა, რამდენიმე მეცნიერული დარგი გაამდიდრა, გაახალისა და გაამრავალფეროვნა და, ამასთან ერთად, ორიგინალური ლიტერატურული ნააზრევიც დაგვიტოვა. ვახუშტი ბატონიშვილის როგორც მეცნიერისა და როგორც მამულიშვილის სახე საუკუნეთა განმავლობაში კიდევ უფრო გაბრწყინდება.

რაც უფრო მეტად დაფასდება ეროვნული საქმე საქართველოში, მით უფრო მეტად გაიზრდება მისი სახელი და მისეულად ვცნობთ მის სულიერ კულტურას. ჯერ კიდევ ვერაა მისი მემკვიდრეობა სათანადოდ გააზრებული საქართველოში, მაგრამ ის ყოველმხრივი მუშაობა, რომელიც მან გასწია საქართველოსა და ქართული მეცნიერებისათვის, ყოველთვის და ყველგან ნათელი სვეტივით წარმოგვიდგება წინ და იმედია, სამომავლოდ კიდევ უფრო მეტად შევისწავლით, დავაფასებთ დიდი მამულიშვილის სახელის უკვდავებას.

„ქართლის ცხოვრება“ მოგვითხრობს

საქართველოს ეკლესიის დამაარსებლად რელიგიის მკვლევარები თომა მოციქულს მიიჩნევენ. ასე რომ, ქრისტიანობა ქრისტეს მოღვაწეობის დროიდან, პირველივე საუკუნიდან ქართველებისთვის ცნობილი და ახლობელი რელიგიაა. თუმცა მაშინ ის სახელმწიფო სარწმუნოება არ იყო. ჩვენში წმინდა ნინოს შემოსვლამდე პატარ-პატარა ქრისტიანული თემები არსებობდნენ და საკმაო გავლენითაც სარგებლობდნენ. ძველი ისტორიული წყაროები უფრო მეტსაც ამტკიცებენ (ირინეოსი) - ქართველებმა იგივე იბერებმა, იგივე კოლხებმა ქრისტიანობა ჯერ კიდევ რომის იმპერატორ ტრაიანემდე (98-117 წწ.) მიიღეს.

„ქართლის ცხოვრებაში“ არის საკმარისი ცნობები იმის შესახებ, რომ პირველ საუკუნეში ქრისტიანობას ეზიარნენ კოლხები (მეგრელები) და კლარჯები (მესხები), ასე რომ, საქართველოში ქრისტიანულ სარწმუნოებას საფუძვლიანად იცნობდნენ და სწორედ მაშინ შეიქმნა ის ნიადაგი, რომელმაც მეთოხე საუკუნეში წმინდა ნინომ თავისი კეთილშობილური მისიით წარმატებით დააგვირგვინა - ქრისტიანობა იქცა სახელმწიფო რელიგიად. წმინდა ნინოს საქართველოში დახვდა ქრისტეს მოციქულთა მიერ ჩატარებული დიდი სამუშაოები. წმინდა ნინო საქართელოში შემოვიდა 303 წელს. 317-318 წლებში კი ქართლის მეფე მირიანმა ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად აღიარა, 324 წელს კი ქართველები ერთიანად მოინათლნენ.

680 წელს კონსტანტინეპოლში გაიმართა VI საეკლესიო კრება. აქ განიხილეს ქართული ეკლესიის სრული დამოუკიდებლობის საკითხი. ამასთანავე ქართული ეკლესიის მეთაურს მიენიჭა პატრიარქის ტიტული. ამ კრების დადგენილებით საქართველოს მიეცა მირონის მოხარშვის უფლებაც.

მერვე საუკუნეში საქართველოს ახალი მტარვალები შემოესივნენ. ესენი იყვნენ არაბები. საქართველო და ჩვენი ეკლესია ისევ მძიმე გასაჭირში აღმოჩნდნენ. არაბთა ბატონობის მიუხედავად, სწორედ ამ პერიოდში შეიქმნა ქრისტიანული კულტურის დიდი საგანძური - ქართული ჰომნოგრაფია. ამავე პერიოდში გამობრწყინდნენ საქართელოს ეკლესიის წმინდა მოწამეები - აბო თბილელი, დავით და კონსტანტინე მხეიძეები. ეს წმინდანები საშინელი წამებით დახოცეს არაბებმა. საქართველოს ერთიანი სამეფოც დაიშალა. ამას მოჰყვა საკათალიკოსოს ორად გაყოფაც - აფხაზეთისა და ქართლის საკათალიკოსოებად. მცხეთის კათალიკოსს „უხუცესს“ უწოდებდნენ, აფხაზეთისას კი „უმრწმესს“. მერვე საუკუნის შუა წლებში, როგორც იქნა, მურვან ყრუმ დატოვა საქართველო და კალრჯეთში აღსდგა ოპიზას მონასტერი. განახლდა სამონასტრო ცხოვრება. მაშინ წმინდა გრიგოლმა დააფუძნა უბისა. მანვე თავის მონასტრისთვის შეიძინა იერუსალიმის წმინდა ტიპიკონი. ასევე შექმნა ჰიმნოგრაფიული კრებული „იადიგარი“.

1089 წელს საქართველოს მოევლინა უბრწყინვალესი პიროვნება - მეფე დავით მეოთხე ბაგრატიონი (აღმაშენებელი). მან გვერდში ამოიყენა გენიალური პიროვნება გიორგი ჭყონდიდელი. სწორედ მათი ძალისხმევით ქრისტიანულმა საქართველომ უდიდეს წარმატებებს მიაღწია. აღმაშენებლის

ყველა დიდი გამარჯვება პირდაპირ ქრისტიანობასთან იყო დაკავშირებული. მან უცხო ტომის დამპყრობლებისაგან მთლიანად გაათავისუფლა თბილისი (400 წელი აქ არაბები ბოგინობდნენ). დავითის დიდი მონდომებითა და თაოსნობით სინას მთაზე, სადაც მოსემ და ელიამ იხილა ღმერთი, აიგო მონასტერი. განათლებამ იმ დროს საქართველოში უდიდეს წარმატებებს მიაღწია. მაშინ დაარსდა გელათის რელიგიური და სამეცნიერო ცენტრი - აკადემია. იქ განათლების მისაღებად უცხო ქვეყნებიდან ჩამოვიდნენ ახალგაზრდები. დავითმა საქართველოში ააგებინა აგრეთვე უამრავი ეკლესია-მონასტერი. ასეთი საქმიანობა დიდი მონდომებით განაგრძო მისმა ვაჟმა დემეტრე პირველმა. ასევე ხდებოდა ჩვენი შემდგომი მეფეების დავით მეხუთისა და გიორგი მესამის დროს. განსაკუთრებით კი - თამარის მეფობისას. იგი მთელ კავკასიას განაგებდა და მოსახლეობაშიც უდიდესი პოპულარობით გამოირჩეოდა. მის სახელზე შენდებოდა მრავალი ეკლესია და სალოცავი. ქართველმა ერტმა და ეკლესიამ აღმაშენებელი და თამარი წმინდანებად შერაცხა.

ამ დიდი პიროვნებების შემდეგ კი, ჩვენდა სამწუხაროდ, საქართველოს მშვიდი ცხოვრება შეირყა.

მეთოთხმეტე საუკუნისათვის საქართველოს ისევ მოევლინა დიდი ქრისტიანი და ბრწყინვალე მეფე - გიორგი ბრწყინვალე. მან საქართველო ისევ გააერთიანა. თავის სასახლეში იხმო ქართლისა და აფხაზეთის კათალიკოსები და გაერთიანებისა და განმტკიცებისაკენ მოუწოდა. საქართველოს ეკლესია მაშინ არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც (იერუსალიმში) ავრცელებდა თავის უფ-

ლებებს. შემონახულია ცნობები, რომლის მიხედვითაც გიორგი ბრწყინვალის მეფობისას ქრისტეს სამარხის გასაღები ქართველებს ეკუთვნოდათ (სამწუხაროდ, შემდეგსი ეს გასაღები ფრანცისკანელებმა ჩამოგვართვეს). გიორგი ბრწყინვალეს დროს განეკუთვნება პეტრიწონის მონასტრის მუშაობა ბულგარეთში. იქ სასულიერო სემინარიაც მოქმედებდა. ამ ძლიერმა მონარქმა 28 წელი იმეფა. 1346 წელს გარდაიცვალა თბილისში.

მეჩვიდმეტე საუკუნეც არ იყო საქართველოსთვის და მისი ეკლესიისათვის წარმატებული. ადამიანები თავის გადარჩებისათვის ღალატობდნენ სარწმუნოებას და ზოგ შემთხვევაში, ეროვნებასაც. თუმცა იყვნენ დიდი ქართველებიც. რად ღირს კახეთის დედოფლის - ქეთევან წამებულის სახელი, ანდა მეფე ლუარსაბ მეორე. მათმა თავდადებამ და თვითგანწირვამ გადაარჩინა ქართველი ერი სრულ დეგრადაციას. მეფე ლუარსაბ მეორე ეწამა 1622 წელს. ქართულმა ეკლესიამ ეს დიდებული ერისშვილები წმინდანებად შერაცხა. ასევე წმინდანებად უნდა მოვიხსენიეოთ 1616 წელს დავით გარეჯელის უდაბნოში ამოწყვეტილი ექვსი ათასი მოწამე. ასეთივე რანგშია აყვანილი ცხრა ძმა ხერხეულიძე. მათთან მარაბდაში დაღუპული ცხრა ათასი ქართველი. 1642 წელს საშინელი წამებით ამოხადეს სული საქართველოს ეკლესიის მეთაურს, კათალიკოს ევდემოზს, 1661 წელს შეეწირნენ საქართველოს ბიძინა ჩოლოყაშვილი და ელიზბარ და შალვა ერისთავები. 1969 წელს დაიღუპნენ წმინდა მამები - შიო, დავითი და გავრიელი, მამა თევდორე.

დიდი ქართველები თავგამოდებით იღვწოდნენ ქართული ეკლესიის გადასარჩენად. მოითხოვდნენ ავტოკეფალიის

აღდგენას. ქართული ენის დაცვას და საერთოდ, ჩვენი კულტურის გადარჩენას. ამ საქმეში სიცოცხლეს არ იშურებდნენ: ილია ჭავჭავაძე, ექვთიმე თაყაიშვილი, ნიკო მარი, ალექსანდრე ხახანაშვილი, იაკობ გოგებაშვილი და სხვა მრავალი ქართველი პატრიოტი. ამ საქმეში თვით რუსი საღად მოაზროვნე ადამიანებიც კი გვიჭერდნენ მხარს. განსაკუთრებით კი გამოირჩეოდა ცნობილი ფილოსოფოსი ვლადიმერ სოლოვიოვი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი ორი დიდი მამულიშვილი ილია ჭავჭავაძე და ექვთიმე თაყაიშვილი მართლმადიდებლურმა ეკლესიამ მოგვიანებით წმინდანებად შერაცხა.

1917 წელს ჩვენ პლანეტაზე მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა - რუსებმა საკუთარი მეფე ტახტიდან ჩამოაგდეს, ქვეყანას განაგებდა იმჟერად პრემიერ-მინისტრი კერენსკი. ეს ამბავი თებერვალში მოხდა. ქართველმა პატრიოტებმა დრო იხელეთეს და მომენტი გამოიყენეს. 1917 წლის მარტში მცხეთაში, სვეტიცხოველში შეიკრიბნენ. მათ სიტყვით მიმართა ეპისკოპოსმა ლეონიდე ოქროპირიძემ. საზეიმოდ გამოაცხადეს საქართველოს ეკლესიისთვის ავტოკეფალიის აღდგენა. იმავე წლის 17 სექტემბერს ქართველი ეკლესიის კათალიკოს-პატრიარქად აირჩიეს კირიონი. 1918 წლის 26 მაისს კი საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარეს. შეიქმნა საქართველოს მთავრობა. იმჟერად, მეფის ნაცვლად, სწორედ ეს მთავრობა მართავდა ქვეყანას და ეს მმართველები სოციალისტები იყვნენ - ხალხი, რომლებიც ათეისტური აზროვნებით გამოირჩეოდნენ. 1918 წლის 17 ივნისს, მარტყოფში საზარელი ფაქტი მოხდა - ვერაგულად მოკლეს საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი კირიონი.

1921 წლის 25 თებერვალს კი მეორე საზარელი მოვლენის მომსწრენი გახდნენ. რუსეთმა (ამჯერად კომუნისტებმა) მეორედ დაიპყრო საქართველო. ქართული ეკლესიის მეთაური კათალიკოსი ლეონიდე გულის შეტევით გარდაიცვალა. ეკლესიამ ახალ კათოლიკოს-პატრიარქად აირჩია ეპისკოპოსი ამბროსი ხელაია. ამ პიროვნების მამულიშვილობამ და დიდმა მონდომებამ ვერ უშველა ქართულ ეკლესიას.

საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის დიდი ძალისხმევით მსოფლიოს მართლმადიდებლურმა სამყარომ ოფიციალურად ცნო და აღიარა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია. ეს მოხდა 1990 წლის 25 იანვარს. ილია მეორის პირადი მონდომებით საქართველოში აღდგა მრავალი ეკლესია-მონასტერი, ასევე შენდება უამრავი ახალი ტაძარი თუ მონასტერი. საჯაროდ ინათლებიან ადამიანები მართლმადიდებელ ქრისტიანებად. თბილისში აიგო წმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ეკლესია. თავისი გრანდიოზულობით გამორჩეულ ტაძარი საქართველოში ერთადერთია. მსგავსი ანალოგი ქრისტიანულ საქართველოს ისტორიას არ გააჩნია. დღევანდელ საქართველოში წარმატებით ფუნქციობს ქართული სასულიერო აკადემია, ასევე მრავალი სასულიერო სემინარია. მაღალ დონეზეა ბეჭდვითი გამოცემის საქმიანობაც. ქართულ რადიოში არსებობს სპეციალური არხი და ასევე წარმატებულია ქართული სატელევიზიო არხი „ერთსულოვნება“.

მთელის თვისება სპეციფიკურია და ნაწილების თვისებებს არ უდრის

რუსეთის იმპერიაში გრანდიოზული მოვლენების შემდეგ საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ახალ ფაზაში შევიდა. იმპერიული თვითმპყრობელობის ავტორიტეტის ძლიერმა შერყევამ, იძულებითმა დემოკრატიულმა დათმობებმა ახალი ვითარება და შესაძლებლობები შექმნა, ახალი სოციალური ძალები წარმოაჩინა, რის გამოც იდეოლოგია დაზუსტებას მოითხოვდა ახალი ვითარების შესაბამისად, რაც მომდევნო თაობას უნდა გაეკეთებინა. აქ წინა პლანზე ისევ წამოიწია იდეოლოგიისადმი ფილოსოფიურ-მეცნიერული მიდგომა.

ჭეშმარიტებისათვის პირდაპირ და გაბედულად უნდა შეეხედათ და მეცნიერული ანალიზით ლოგიკური დასკვნა გამოეტანათ, ამიტომ შემეცნების თეორიის პრობლემები აქტუალური კვლევის საგნად იქცა.

ამ მხრივ ბევრი მნიშვნელოვანი რამ გააკეთა მეოცე საუკუნის პირველი მეოთხედის ბოლო 15 წელიწადში, ქართულმა ფილოსოფიურმა აზრმა დაიწყო თავისი განვითარების ახალ ეტაპში შესვლა და, უნდა სიამაყით აღინიშნოს, რომ ამ განვითარების სათავეებთან იდგა შავლა ნუცუბიძე, რომელიც იკვლევდა შემეცნების, ჭეშმარიტების ურთულეს პრობლემებს და დიმიტრი უზნაძე, რომელმაც ძირითადად ფსიქოლოგიის მეთოდოლოგიური პრობლემების კვლევაში შეიტანა არსებითი წვლილი. პირველის ტიტანურ მეცნიერულ-ფილოსოფიურ კვლევას (ურთულეს და უმძიმეს პირობებში)

მოჰყვა სახელოვნო ქართული ფილოსოფიური სკოლის ჩამოყალიბება, მეორისას კი - ქართული ფსიქოლოგიური სკოლის შექმნა.

ამ პერიოდში შ. ნუცუბიძემ შექმნა მეთოდოლოგიური თვალსაზრისით უაღრესად საყურადღებო ფილოსოფიური შრომები: „ბოლცანო და მეცნიერების თეორია“, „ცნების ბუნების შესახებ“, „ფილოსოფიის შესავალი“, „ალეთოლოგიის საფუძვლები“ და სხვა მრავალი. რაც შეეხება, დ. უზნაძის გამოკვლევებს,აქ უწინარეს ყოვლისა, უნდა დავასახელოთ: „რა არის შემეცნების თეორია“, და „ინდივიდუალობა და მისი გენეზისი“. დ. უზნაძემ პირველმა დასვა საკითხი ფსიქოლოგიზმისა დ ამისი დაძლევის აუცილებლობაზე.

აკადემიკოს შალვა ნუცუბიძის მომდევნო თაობიდან, რომელთაც წარმატებით გააგრძელეს კვლევა შემეცნების თეორიის პრობლემებზე, გამოირჩევიან კ. ბაქრაძე, ს. წერეთელი და სხვები.

აკადემიკოსი ანგია ბოჭორიშვილი იცნობდა რა ორივე ამ სკოლის მიღწევებს, თავად შექმნა უაღრესად საყურადღებო გამოკვლევები, როგორიცაა: „ფსიქოლოგიის პრინციპული საკიტხები“, „ფსიქოლოგიზმი და ანტიფსიქოლოგიზმი ფსიქოლოგიაში“, „ფსიქოლოგიის მეთოდოლოგიისათვის“ და სხვა მრავალი.

იკვლევდა რა სხვა მეცნიერებათა სფეროში ფსიქოლოგიის შეჭრის ფაქტს, მიზეზსა და შედეგს, ფსიქოლოგიზმის უარყოფით შედეგებს როგორც სხვა მეცნიერების, ისე თვით ფსიქოლოგიისათვის, ანგია ბოჭორიშვილმა გააკეთა ორი მნიშვნელოვანი დასკვნა:

1. „ყოველ მეცნიერებას, თუ ის ყოველმხრივ გამართლებული და კანონიერია, აქცს კვლევის საკუთარი საგანი, რომელსაც მხოლოდ ეს მეცნიერება იკვლევს, და იკვლევს მას, ყოველმხრივ, რა მხრივაც მისი კვლევა საჭიროა და შესაძლებელი. არცერთ სხვა მეცნიერებას არა აქვს უფლება ამ მეცნიერების საგანი იკვლიოს“;

2. მცდარია „დებულება“, რომლის მიხედვით მთელი მხოლოდ უბრალო არითმეტიკული ჯამია ნაწილებისა, რომ ნაწილების ცოდნა იმავე დროს იყოს მთელის ცოდნაც...

მთელის ცოდნა სპეციფიურია და ნაწილების თვისებებს არ უდრის, ამიტომ რჩება შესასწავლი მთლიანი, ნაწილების მდგარი კანონზომიერება.

აღმოჩნდა, რომ, როგორც ფსიქოლოგიის, ასე პედაგოგიკის გასაჭირი ამ პრინციპული მნიშვნელობის მეთოდოლოგიურ დებულებათა უგულვებელყოფითაა გამოწვეული.

მსჯელობს რა ფსიქოლოგიის მეცნიერების გასაჭირზე, აკად. ანგია ბოჭორიშვილი წერს: „მომავალ თაობას უთუოდ უცნაურად მოეჩვენება ის ფაქტი, რომ ფსიქოლოგთა ერთერთი თათბირი იმით დამთავრდა, რომ ფსიქიკურის კანონზომიერების საკითხი ღიად დატოვა და მისი გამორკვევა შედგომი კვლევა-ძიებისათვის გადაიდო“.

ა. ბოჭორიშვილი ისევ უბრუნდება აღნიშნულ ფაქტს და წერს: „აქვს ფსიქიკურს თავისი კანონზომიერება თუ არა? რა უნდა აღმოაჩინოს ფსიქოლოგიამ და როგორ, რათა მან ნამდვილი მეცნიერების სახელი გაამართლოს?

უნდა გვახსოვდეს „როცა რომელიმე კერძო მეცნიერული დისციპლინაა გასარკვევი, ამ მეცნიერებას სპეციალისტები იკვლევენ“, ამასთან კვლევის მეთოდი „უნდა შეესაბამებო-

დეს საგანს, ე.ი. ამ საგანთან მივიდეს, მისი „ხილვა“ შეძლოს“, რაც შეეხება, კერძოდ, ფსიქოლოგიას, „ფსიქოლოგიის საგნის ძებნა და მისი მეთოდის ძებნა ერთი პროცესია, რომელსაც ორი მხარე, ორი პოლუსი აქვს. სადაც ეს პრინციპული მნიშვნელობის დებულება უგულვებელყოფილია... და ცალ-ცალკე წარმოებს საგნისა და მეთოდის ძებნა, იქ წარმატებას არ უნდა ველოდეთ.

რადგან „მეცნიერების ბუნებას მისი საგნის ბუნება განსაზღვრავს“, ზემოთ დასახელებული ორი მეთოდოლოგიური დებულების თანახმად, „ფსიქოლოგიის საგანი არის განცდა, ფსიქიკა როგორც განცდა, არის ფსიქოლოგიის შესწავლის ობიექტი... საქმე ეხება არა იმას, თუ რა არის და როგორ არის რაიმე ჩვენგან დამოუკიდებლად, თავისთავად, არამედ იმას, თუ როგორ არის „იგი“ „რაიმე“ ჩვენთვის“.

ქართული ფილოსოფიური სკოლის მიღწევების გათვალისწინებით და ქართველ ფსიქოლოგთა სკოლის სწორი მეტოდოლოგიური მიდგომის შედეგად, განსხვავებით რუსეთის ცნობილ ფსიქოლოგთაგან, ფსიქოლოგიას განსაზღვრავენ როგორც „მეცნიერებას ფსიქიკის შესახებ. ფსიქოლოგია ფსიქიკური ცხოვრების კანონზომიერებას იკვლევს“. რაც შეეხება ფსიქიკურ ფუნქციებს, როგორიცაა „აღქმა, ყურადღება, მეხსიერება, აზროვნება, ფანტაზია, ემოციები და ნებისყოფა დამოუკიდებლად არც არსებობენ და არც მოქმედებენ. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მოქმედებს პიროვნება - კონკრეტული მთლიანი ადამიანი ამ ფუნქციათა ამოქმედების გზით“.

მეოცე საუკუნის ქარტული ფილოსოფიური და ფსიქოლოგიური სკოლის მეთოდოლოგიური გამოკვლევებით

დადგინდა, რომ მცდარია „დებულება, რომლის მიხედვით მთელი მხოლოდ უბრალო არითმეტიკული ჯამია ნაწილებისა, რომ ნაწილების ცოდნა იმავე დროს იყოს მთელის ცოდნა. მთელის თვისება სპეციფიკურია და ნაწილების თვისებას არ უდრის. ამიტომ რჩება შესასწავლი მთლიანი ნაწილების ზევით მდგარი კანონზომიერება“.

შ ი ნ ა ა რ ს ი

წინასიტყვაობა 3
გრამატიკა ფილოსოფიაა ენისა 13
საინფორმაციო სივრცის გლობალიზაცია 20
მასმედია, როგორც საზოგადოებრივ ცნობიერებაზე
მანიპულირების საშუალება 25
დიდსულოვნება შეუძლებელია სრულყოფილების გარეშე 27
გლობალიზაცია და დემოკრატია 34
წილი ნაყარია – დასავლეთი 42
„26 მაისი – რევოლუციური აქტია“ 48
პირველი მსოფლიო ომი და საქართველოს დამოუკიდებლობა 52
რუსეთის იმპერიული პოლიტიკა საქართველოში 58
მეორე მსოფლიო ომი და „ვეფხისტყაოსანი“ 61
ორატორის დარიგებანი 65
შალვა წუცუბიძე – „რუსთაველი და აღმოსავლეთის რენესანსი“ .. 70
პიროვნების ფორმირების პროცესი და აღზრდის
ცალკეული კომპონენტები 73
„ცივი ომი“ – ცივი გონებით 80
ზნეობრივი იდეალები და თანამედროვეობა 85
კიდევ ერთხელ პედაგოგიკის საგნის კვლევის შესახებ 94
ევროპელ განმანათლებელთა მემკვიდრეობა 101
იაკობ გოგებაშვილი ესთეტიკურ და საზოგადოებრივ
იდეალთა ერთიანობის შესახებ 106
იაკობ გოგებაშვლი ახალი თაობის ჰარმონიული
განვითარების შესახებ 110
იოანე ლაზისა და პეტრე იბერის მიერ ანტიკური
ფილოსოფიური მემკვიდრეობის ათვისება 114
ფინანსური კონტროლი საბაზრო ეკონომიკის პირობებში 117
ვახუშტი ბატონიშვილის შემოქმედებითი პორტრეტი 123
„ქართლის ცხოვრება“ მოგვითხრობს 127
მთელის თვისება სპეციფიკურია და ნაწილების
თვისებებს არ უდრის 133